დამოუკიდებელი და ზეპარტიული
WWW.ASAVALI.COM

# ასავალ დასავალი

2025 წლის 5 - 11 მაისი
N 19 1590
ფასი 3 ლარი და 90 თეთრი

# გაუქმდეს!



## ფაშიზმი საქართველოშიც უნდა ამოიძირკვოს!

# მოისპოს!

2-3

## ფაშიზმზე გამარჯვება 80 წლისაა!



დიდ სამამულო ომში ქართველები ზუსტად ისე მიდიოდნენ, როგორც დიდგორში, მარტყოფსა და ხრესილში, რადგან ერის ისტორიულ მეხსიერებაში მოხდა წარმოუდგენელი გარღვევა და დავით აღმაშენებელი, გიორგი სააკაძე და სოლომონ პირველი დიდ სტალინში გაერთიანდნენ!

15

## ეს ჩვენი ომი იყო!



4-6

12-14

გიორგი აბდალაძე, მაყვალა გონაშვილი, მამუკა კვარაცხელია, გიორგი ნემსაძე და შალვა ოგბაიძე





# ამხელენ!



20-21

22-23

## მიხეილ ცაგარელი: წინ საკმაოდ რთული 2 თვე გვაქვს!



7

ბიძინა ივანიშვილს ვურჩევდი, გამოვიდეს და აგვიხსნას, რა ხდება! ხალხში ძალიან ბევრი კითხვაა გაჩენილი და მისი ტელევიზიით გამოსვლა აუცილებელია!

8-9



# ნაციონალური მოძრაობის აკრძალვა მთელი 13 წლით არის დაგვიანებული!



# გაუქმდეს!

***მეორე მსოფლიო ომში ფაშიზმის დამარცხებიდან 80 წლის შემდეგაც ცივილიზებულ სამყაროში კვლავ აქტუალურია სახეცვლილ და სახელგამოცვლილ ფაშიზმთან ბრძოლა, ვინაიდან კაცობრიობა ამ საშინელი სენისაგან ბოლომდე ჯერაც არ გათავისუფლებულა.***

არ გათავისუფლებულა კი არა, ისიც საკითხავია, **ევროპა დღეს უფრო მეტად ხომ არ არის მოქცეული ფაშიზმის მარწუხებში, ვიდრე 80 წლის წინათ იყო?**

**თუ ევროპაში ფაშიზმი ბოლომდე დამარცხებულია,** მაშ, ევროკავშირის სივრცეში, ანუ კოლექტიურ **ფონ დერ ლაიენთა** სამფლობელოში რატომ არის ჩახშობილი თავისუფალი სიტყვა და განსხვავებული აზრი, რომელიც გაბატონებულ იდეოლოგიას — ლიბერალიზმს ეწინააღმდეგება? **თუ ევროპაში ფაშიზმი ბოლომდე დამარცხებულია,** რატომ აუქმებენ ევროკავშირის ქვეყნებში არჩევნების შედეგებს, როცა მასში კოლექტიური **ფონ დერ ლაიენისათვის** მიუღებელი კანდიდატი იმარჯვებს, როგორც ეს რუმინეთში მოხდა? **თუ ევროპაში ფაშიზმი ბოლომდე დამარცხებულია,** ევროკავშირში რატომ დევნიან და ასამართლებენ მზარდი რეიტინგის მქონე ანტილიბერალ ოპოზიციონერ ლიდერებს, როგორც ეს საფრანგეთში **მარინ ლეპენს** გაუკეთა მაკრონის მთავრობამ? **თუ ევროპაში ფაშიზმი ბოლომდე დამარცხებულია,** რატომ გამოაცხადა გერმანიის მთავრობამ ექსტრემისტულ ორგანიზაციად მთავარი ოპოზიციური პარტია **„ალტერნატივა გერმანიისათვის“,** რომელიც მიმდინარე წლის თებერვალში ბუნდესტაგის რიგგარეშე არჩევნებში მეორე ადგილზე გავიდა და თანდათან სულ უფრო მეტ მხარდაჭერას იხვეჭს?

ყოველივე ეს ერთადერთ რამეზე მეტყველებს და მიუთითებს — **მეორე მსოფლიო ომში ფაშიზმზე გამარჯვებიდან 80 წლისთავზე ევროპაში ფაშიზმი კვლავ დასამარცხებელია!**

მათ შორის, ფაშიზმი დასამარცხებელია საქართველოშიც, რომელმაც 80 წლის წინათ ფაშიზმთან ბრძოლაში 300 000-ზე მეტი შვილი დაკარგა!

კი, სანამ არსებობისა და პოლიტიკური საქმიანობის უფლება აქვს ისეთ **ნეოფაშისტურ ძალას,** როგორიც **ნაციონალური მოძრაობაა,** საქართველოში **ფაშიზმი** დამარცხებულად ვერ ჩაითვლება!

საქართველოში ფაშიზმი

## მეორე მსოფლიო ომში ფაშიზმზე გამარჯვების 80 წლისთავზე საქართველოში ფაშიზმის უკანასკნელი ბაცილა – ნაციონალური მოძრაობა უნდა განადგურდეს!

## კვირგვინოსნები

**ირაკლი კობახიძე**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



დღეს საქართველო არის **დამოუკიდებელი და სუვერენული, როგორც არასდროს,** ესეც არის ერთ-ერთი მთავარი მიღწევა, რაც ჩვენს ქვეყანას აქვს 2012 წლის შემდეგ — **2012 წლამდე ქვეყანას სრულად ჰქონდა დაკარგული სუვერენიტეტი. მშვიდობის, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გარეშე** ვერ იქნება ვერავითარი ეკონომიკური წინსვლა, ჩვენი პასუხისმგებლობაა საზოგადოების წინაშე, **მაქსიმუმი გავაკეთოთ ქვეყნის შემდგომი განვითარებისთვის.**

„იმედინიუსი“

**მიხეილ ყაველაშვილი**
*საქართველოს პრეზიდენტი*



ერთგული ვართ **კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების** პოლიტიკის, რომელიც ეყრდნობა **რუსეთის მიერ ორი რეგიონის დეოკუპაციას** და საოკუპაციო ხაზით გაყოფილი მოსახლეობის შერიგებას.

„პირველი არხი“

**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*



მზად ვართ, აშშ-თან ურთიერთობა ვაქციოთ **ნამდვილ სტრატეგიულ ურთიერთობად და არა — ფარისევლობად,** რომელსაც **ბაიდენის** ადმინისტრაცია გვაჩვენებდა.

„რეზონანსი“

**მამუკა მდინარაძე**
*საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი*



რუსეთი ვიდრე უკრაინაში არ შეიჭრა, მანამდე **ზოგი რუსი ბანი იყო, ზოგი რუსეთში კონცერტებს ატარებდა, საქართველოს დაღუპული გმირი მათთვის პრობლემა არ იყო.** საპარლამენტო ცხოვრება მიდის, 2012 წლიდან რისი მიღებაც გარედან გვაიძულეს, მისი გასწორება მიმდინარეობს, რათა მაქსიმალურად მოერგოს დამოუკიდებლობის გაზრდის ხარისხის ინტერესებს.

„პირველი არხი“

**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*



არავის მიეცემა შესაძლებლობა, **საქართველო ვინმეს უკანა ეზო იყოს** — როგორც აშშ-თან, ისე ევროპასთან **გვსურს მეგობრობა, თანამშრომლობა და არა ბატონყმური ურთიერთობა.**

„აიპრესი“

დამარცხებულად და ბოლომდე აღმოფხვრილად რომ ჩაითვალოს, ნეოფაშისტურ ძალას — **ნაციონალურ მოძრაობას პოლიტიკაში ყოფნა კონსტიტუციის ძალით უნდა აეკრძალოს!**

საქართველოს პარლამენტში შექმნილი საგამოძიებო კომისიის მთავარი დანიშნულება და მიზანიც სწორედ ეს უნდა იყოს და ამ პროცესში თუნდაც ნახევარი ნაბიჯით უკან დახევა და პოლიტიკური ლავირება კატეგორიულად დაუშვებელია!

არადა,

**ბოლო დროს „ქართული ოცნების“ მხრიდან სწორედ რომ უკან დახევისა და პოლიტიკური ლავირების ნიშნები იკვეთება, რაც ქართველი საზოგადოების უდიდესი ნაწილისათვის, ცოტა არ იყოს, შემაშფოთებელია!**

კერძოდ, **მმართველი პარტიის ლიდერთა მხრიდან უკვე გახმიანდა მოსაზრება იმის შესახებ, რომ მიმდინარე წლის ოქტომბრამდე, ანუ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე ნაციონალური მოძრაობის აკრძალვა, შესაძლოა, ვერ მოესწროს და**

# ფაშიზმი დასამარცხებელია საქართველოშიც, რომელმაც 80 წლის წინათ ფაშიზმთან ბრძოლაში 300 000-ზე მეტი შვილი დაკარგა!

**მკვლელების, მწამებლებისა და გამაუპატიურებლების პარტიას კიდევ ერთ არჩევნებში მონაწილეობის საშუალება მიეცეს!**

მიზეზად სამართლებრივი პროცედურები და პოლიტიკური მიზანშეწონილობა სახელდება — ჩვენ რომ ახლა ნაცმოძრაობის აკრძალვის მოთხოვნით საკონსტიტუციო სარჩელის შეტანა სპეციალურად დავაჩქაროთ, ეს სპეკულაციების საგანი გახდებაო!

არადა, **რომელ დაჩქარებაზეა საუბარი, როცა ნაციონალური მოძრაობის აკრძალვა მთელი 13 წლით არის დაგვიანებული!**

დიახ, ის, რასაც ახლა საქართველოს პარლამენტის საგამოძიებო კომისია აკეთებს, ჯერ **კიდევ 13 წლის წინათ, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე უნდა გაკეთებულიყო** და დღეისათვის ქვეყანაში ნეოფაშისტური ნაცპარტიის სახსენებელი აღარ ყოფილიყო!

თუმცა, ქართველი საზოგადოების საღად მოაზროვნე ნაწილს ის ობიექტური ფაქტორებიც კარგად ესმის და გაეგება, რომელთა გამოც **ქართული „ნიურნბერგის პროცესის“** გამართვა **„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში** მოსვლისთანავე ვერ მოხერხდა!

სამაგიეროდ, ქართველი საზოგადოების საღად მოაზროვნე ნაწილი დღეს უკვე არანაირი მიზეზით **ᲐᲦᲐᲠ ᲨᲔᲔᲒᲣᲔᲑᲐ ᲘᲛᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲜᲔᲝᲤᲐᲨᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲜᲐᲪᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲣᲠᲘ ᲒᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲕᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲒᲐᲓᲐᲕᲐᲓᲔᲡ ᲓᲐ ᲚᲝᲒᲘᲙᲣᲠ ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲐᲛᲓᲔ ᲐᲠ ᲛᲘᲕᲘᲓᲔᲡ!**

მეორე მსოფლიო ომში ფაშიზმზე გამარჯვების 80 წლისთავზე საქართველოში ფაშიზმის უკანასკნელი ბაცილა — **ნაციონალური მოძრაობა უნდა განადგურდეს!** — ასეთია ქართველი ხალხის დაკვეთა საქართველოს ხელისუფლებისადმი.

ქვეყანაში, რომელმაც დიდ სამამულო ომში ფაშიზმთან ბრძოლას ლამის ნახევარი მილიონი კაცი შესწირა, ნეოფაშისტური ორგანიზაცია — **ნაციონალური მოძრაობა აღარ უნდა არსებობდეს!** — ასეთია ქართველი საზოგადოების მტკიცე პოზიცია და **განწყობა, რომელიც არავითარ გადამოწმებას არ ექვემდებარება!**

და კიდევ: **პარლამენტის საგამოძიებო კომისიას ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს ფაშისტური ნაცმოძრაობის მიერ ჩადენილი ერთ-ერთი უმძიმესი დანაშაული — დიდ სამამულო ომში დაღუპული გმირების ხსოვნისადმი მიძღვნილი „დიდების მემორიალის“ აფეთქება, რასაც ქუთაისში მოქალაქე ეკა ცუცხვაშვილისა და მისი 10 წლის ქალიშვილის — ᲜᲘᲜᲝ ᲯᲘᲜᲭᲐᲠᲐᲫᲘᲡ სიცოცხლე შეეწირა!**

ფაშიზმთან ბრძოლაში დაცემული ქართველი გმირების ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალის ამფეთქებელი ნაციონალური მოძრაობა კანონსა და სამართალზე უნდა აფეთქდეს და პოლიტიკურ ნაკუწებად იქცეს!

**მეორე მსოფლიო ომში ფაშიზმზე გამარჯვების 80 წლისთავზე საქართველოში ფაშიზმის უკანასკნელი ციტადელი — ნაციონალური მოძრაობა უნდა გაუქმდეს და მოისპოს!**

ამ საქმის კიდევ ერთხელ გადადებას ქართველი ხალხი საქართველოს ხელისუფლებას აღარ აპატიებს!

***ᲯᲐᲑᲐ ᲮᲣᲑᲣᲐ***

# ᲛᲝᲘᲡᲞᲝᲡ!

**ფაშიზმთან ბრძოლაში დაცემული ქართველი გმირების ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალის ამფეთქებელი ნაციონალური მოძრაობა კანონსა და სამართალზე უნდა აფეთქდეს!**





***2009 ᲬᲚᲘᲡ 19 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ ᲓᲘᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲛᲝᲠᲘᲐᲚᲘᲡ ᲐᲤᲔᲗᲥᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲐᲓ ᲓᲐᲦᲣᲞᲣᲚᲘ ᲓᲔᲓᲐ-ᲨᲕᲘᲚᲘ ᲔᲙᲐ ᲪᲣᲪᲮᲕᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲜᲘᲜᲝ ᲯᲘᲜᲭᲐᲠᲐᲫᲔ***

**პარლამენტის საგამოძიებო კომისიას ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს ფაშისტური ნაცმოძრაობის მიერ ჩადენილი ერთ-ერთი უმძიმესი დანაშაული — დიდ სამამულო ომში დაღუპული გმირების ხსოვნისადმი მიძღვნილი „დიდების მემორიალის“ აფეთქება, რასაც ქუთაისში მოქალაქე ეკა ცუცხვაშვილისა და მისი 10 წლის ქალიშვილის — ნინო ჯინჭარაძის სიცოცხლე შეეწირა!**

## ᲙᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲝᲡᲜᲔᲑᲘ

**ᲕᲝᲚᲝᲓᲘᲛᲘᲠ ᲖᲔᲚᲔᲜᲡᲙᲘ**
*უკრაინის პრეზიდენტი*



**უკრაინა 9 მაისს მოსკოვში** სხვა ქვეყნების წარმომადგენელთა **უსაფრთხოებას ვერ უზრუნველყოფს!**

„ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡᲜᲘᲣᲡᲘ“

**ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲛᲔᲓᲕᲔᲓᲔᲕᲘ**
*რუსეთის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე*



ᲖᲔᲚᲔᲜᲡᲙᲘᲡ უნდა ესმოდეს, რომ **9 მაისს პროვოკაციის შემთხვევაში,** შეიძლება კიევში **10 მაისი არ დადგეს!**

„ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡᲜᲘᲣᲡᲘ“

**ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲐᲗᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ**
*პარლამენტარი*



სურვილები, რომლებიც გააჩნდათ **რადიკალ ოპოზიციონერებს,** ე.წ. ექსპერტებს **ქვეყნის ეკონომიკის ჩამონგრევასთან დაკავშირებით,** ეს ყველაფერი ჩამოიშალა ბანქოს სახლივით, რადგანაც **რეალური მონაცემები ეკონომიკური წინსვლისა, მკაფიოა. ადგილობრივ არჩევნებზე ოპოზიციური პარტიების მონაწილეობა** არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს ის კონკრეტული წყარო — **გლობალური დიფ სთეითი,** რომელიც მართავს აგენტურას საქართველოში.

„ᲘᲛᲔᲓᲘᲜᲘᲣᲡᲘ“

**ᲚᲔᲕᲐᲜ ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ**
*სახალხო დამცველი*



50 ადამიანს **ქუჩის გადაკეტვის ლეგიტიმაცია** არ გააჩნია!

„ᲠᲔᲖᲝᲜᲐᲜᲡᲘ“

**ᲠᲐᲛᲐᲖ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘᲫᲔ**
*ექსპერტი*



გაუგებარია, **როგორი ხელისუფლებისთვის იბრძვიან** პროტესტის მონაწილეები.

„ᲠᲔᲖᲝᲜᲐᲜᲡᲘ“



# გიორგი აბდალაძე: გლდანის ციხის თანამშრომლები ერთმანეთში სანაძლეოს დებდნენ, თუ რომელი არ აასცდენდა მიზანს და პატიმარს ზემოდან ზუსტად დააფურთხებდა!

***2011 წლის 7 ივლისს, დილის 3 საათზე, სააკაშვილის კუდ-მა საკუთარ საცხოვრებელ ბინაში დააპატიმრა ცნობილი ქართველი ფოტოგრაფი გიორგი აბდალაძე. მასთან ერთად დაიჭირეს სხვა ფოტოგრაფებიც — სააკაშვილის პირადი ფოტოგრაფი ირაკლი გედენიძე, მისი ცოლი ნათია გედენიძე, შახ აივაზოვი და ზურაბ ქურციკიძე...***

*ნაცსექტის გარყვნილმა და მწვალებელმა რეჟიმმა სწორედ ასე შეკერა „ფოტოგრაფების“ საქმე“ და ზემოხსენებული პირები „ჯაშუშობისა და სახელმწიფო ღალატის“ ბრალდებით გლდანის საკონცენტრაციო ბანაკის გზას გაუყენა...*

***არადა, სინამდვილეში ფოტოგრაფების დაპატიმრებისა და ტანჯვა-წამების მიზეზი ის იყო, რომ 2011 წლის 26 მაისს, გამთენიისას, მათ გაბედეს და სააკაშვილის რეჟიმის მიერ რუსთაველის პროსპექტზე მოწყობილი სასაკლაო, ხელფეხშეკრული ადამიანების ჩეხვა და სისხლის ტბები გადაიღეს, რაც საერთაშორისო მედიაში მოხვდა და სააკაშვილი და მისი ბანდა, როგორც მკვლელებისა და მწამებლების ჯოგი, სამთელქვეყნოდ გამოჭენდა!***

*გლდანის მე-8 საპყრობილეში, სადაც სააკაშვილს ადამიანების საწამებელი კონვეიერი ჰქონდა მოწყობილი, **გიორგი აბდალაძემ** 15 დღე გაატარა და ჯოჯოხეთი გამოიარა... სწორედ ნაცმოძრაობის საკონცენტრაციო ბანაკში გატარებულ იმ 15 დღეზე ისაუბრა მან, როცა წინა კვირას **თეა წულუკიანის თავმჯდომარეობით შექმნილ პარლამენტის საგამოძიებო კომისიას** ჩვენება მისცა. **აბდალაძემ** თავისი სიტყვა იმ ნაცსექტანტებისა და დამნაშავე რეჟიმის აპოლოგეტებისადმი მიმართვით დაიწყო, რომლებიც სოციალურ ქსელებში რაღაც სისულელეებს ჯღაბნიან და გაჰკივიან, თითქოს დღეს საქართველოში 37 წელია!*

**გიორგი აბდალაძე:** — ვიღაცები ფეისბუქში წერენ, საქართველოში 37 წელიაო! 37 წელი ის იყო, რაც ჩვენ გამოვიარეთ. დილის 3 საათზე სახლში შემოვარდნენ, ცრუბრალდებით სრულიად უდანაშაულო ადამიანები დაგვიჭირეს, გვაწამეს და გვაღიარებინეს ის, რაც არ ჩაგვიდენია, მითუმეტეს, სამშობლოს ღალატი! ყოველთვის მადლობას ვეტყვი **ბიძინა ივანიშვილს** და იმ პოლიტიკურ ძალას, რომლის წყალობითაც დღეს უამრავი ადამიანი გადარჩა და ცოცხალია. ნაციონალური მოძრაობა რომ საქართველოს ხელისუფლებაში ყოფილიყო, ჩათვალეთ, ყოველდღე, სულ მცირე, ერთი ადამიანი მაინც დაიღუპებოდა საპატიმროშიც და ქუჩაშიც! **ამისთვის მადლობას ვუხდი პირადად ბიძინა ივანიშვილს, რომელმაც ეს ყველაფერი შეცვალა და უამრავ ადამიანს სიცოცხლე აჩუქა!**

რაც შეეხება ჩვენს ამბავს, ყველაფერი დაიწყო 2011 წლის 26 მაისს გადაღებული ფოტოებით. ჩემს ზურგსუკან თქვენ უყურებთ ფოტოსურათებს, რომლებიც 2011 წლის 26 მაისს არის გადაღებული... ეს არ ყოფილა მიტინგის დაშლა და დარბევა, ეს იყო საკუთარი ხალხის განადგურება. საპატიმროში შევიტყვე იმის შესახებ, რომ, თურმე, გადამიღია ერთ-ერთი ის ადამიანი, ამათ რომ დაპატიმრებული და ცოცხალი მიჰყავდათ და შემდეგ მაღაზიის სახურავზე აღმოაჩინეს მკვდარი. ამის შესახებ არ ვიცოდი, რადგან იმ დღეს ვაკეთებდი რეპორტაჟს. საკმაოდ რთული დღე იყო, უამრავ ფოტორეპორტიორს თავსხმა წვიმის გამო აპარატურა გაუფუჭდა. სპეცრაზმი სცემდა არამარტო მომიტინგეებს, არამედ ჟურნალისტებს. ამის მაგალითია **„ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტები, რომლებსაც რეზინის ტყვიები ესროლეს!**

დარბევის დროს, სპეცრაზმმა გასასვლელი და გასაქცევი არ დაუტოვა ვინმეს. მაშინ ჩემთან ერთად იმყოფებოდა ერთ-ერთი უკრაინელი ფოტორეპორტიორი, „ასოშეიტედ პრესის“ კორესპონდენტი, რომელიც უამრავ ომსა და კონფლიქტშია ნამყოფი, საოცარი ფოტოები აქვს გადაღებული და არაერთი საერთაშორისო პრიზი და პრემია აქვს აღებული. 26 მაისის ღამეს კაცი ისე იყო დაბნეული და გაოგნებული, მე მეკითხებოდა — როგორ მოვიქცე, რა გავაკეთოო?

***თეა წულუკიანი: — რა გვარი იყო?***

**გიორგი აბდალაძე:** — **ეფრემ ლუკაცკი!** ავღანეთი, სირია, ერაყი, აფხაზეთი, სამაჩაბლო, ყველაფერი მოვლილი ჰქონდა, მაგრამ 2011 წლის 26 მაისს იმ ჯოჯოხეთს რომ უყურებდა, მისი გაოგნებული სახე არ დამავიწყდება. მახსოვს, ვუთხარი — ***ისაუბრე მხოლოდ ინგლისურად! იმიტომ, რომ ჩვენს საცემად რომ მოდიოდნენ და ინგლისურს გაიგონებდნენ, რატომღაც ჩერდებოდნენ და უკან იხევდნენ.*** „ასოშეიტედ პრესის“ ოფისი იყო ახლოს, სასტუმრო „მარიოტის“ ქვემოთ და ოფისში რომ ჩავედით, **ეფრემმა** მითხრა — **გია, მე ვერაფერი გადავიღეო!** კაცი ნანახით იმდენად შოკირებული იყო, ვერ გადაიღო... ისე უმოწყალოდ სცემდნენ ხელებშეკრულ ადამიანებს, ისე ტანჯავდნენ და აწამებდნენ, მე არ ვიცი... ხელფეხშეკრული ხალხი ქუჩაში ეყარა, ყველას თავი ჰქონდა გახეთქილი და სისხლი სდიოდა!

***თეა წულუკიანი: — ბატონო გიორგი, ვინც არ იცის, იმათ შევახსენებთ, რომ ეს ყველაფერი ხდება 2011 წელს, როცა 26 მაისი თენდება, ხომ? კი გვიკვირს, მაგრამ არის ხალხი, ვინც ეს არ იცის!***

**გიორგი აბდალაძემ** დეტალურად გაიხსენა იმ საშინელი ხოცვა-ჟლეტის დეტალები, რომელიც **სააკაშვილმა** და მისმა ასპიტებმა 2011 წლის 26 მაისს რუსთაველზე დაატრიალეს. მისი განცხადებით, თავპირდაჩეხილი და დასისხლიანებული ხალხი სააკაშვილის რეჟიმის მანქურთებმა ქვეყნის მთავარ გამზირზე ისე ჩაატარეს, როგორც სამხედრო ტყვეები:

**გიორგი აბდალაძე:** — ღამის 00:00 საათი რომ შესრულდა, სპეცრაზმელები ფარებითა და ყველანაირი აღჭურვილობით, წამოვიდნენ მომიტინგეებისკენ. კინოთეატრ „რუსთაველთან“ რაღაც რკინის ტროსი იყო გაბმული. ჩვენ, ყველა რეპორტიორი, კინოთეატრ „რუსთაველის“ შესასვლელის ქვეშ ვიდექით. თავსხმა წვიმა იყო... უამრავ ფოტორეპორტიორს წვიმამ გაუფუჭა კამერა და ვერ გადაიღო. მათ შორის ვერ გადაიღო „როიტერის“ კორესპონდენტმაც. საშინლად სცემეს ადამიანები. კინოთეატრ „რუსთაველში“ შევარდნენ. მახსოვს, უამრავი ადამიანი გამოიყვანეს იქიდან ნაცემი. **შალვა ოგბაიძე** იყო ნაცემი და მეც და **ირაკლი გედენიძემაც** გადავიღეთ.

ხალხის ძირითადი ნაკადი პარლამენტის შიდა სივრცისკენ გარეკეს, რათა ვერსად გაქცეულიყვნენ. თითქმის ყველას თავი ჰქონდა გახეთქილი. ქალი, კაცი, დიდი, პატარა, მოხუცი, ახალგაზრდა, მნიშვნელობა არ ჰქონდა, ყველას თავი ჰქონდა გახეთქილი, ხელბორკილები რომ დაადეს, მერე ეს ადამიანები რუსთაველზე, იმ თავსხმა წვიმაში ასფალტზე დაყარეს. ადამიანები შველას ითხოვდნენ. ამის გამო უარესად სცემდნენ ხელებშეკრულ და მიწაზე დაყრილ ხალხს. ხელბორკილები რომ დაადეს, მერე რუსთაველზე ჩაატარეს ეს ადამიანები მსვლელობით და წაიყვანეს საპყრობილეში.

გლდანის ციხეში შემხვდა ერთ-ერთი მომიტინგე, რომელიც ოთხი შვილის მამა იყო და 26 მაისის მიტინგის დარბევის დროს დააპატიმრეს. ის მიყვებოდა — ***ყოველდღე მცემდნენ, მაგრამ, რადგან გული ადრე მიწუხდებოდა, მერე თავი გამანებესო!*** ძირითადად შემოდიოდნენ „სავარჯიშოდ“ და ეს ხდებოდა უმეტესწილად პარასკევ დღეს, რადგან შაბათ დღეს თუ გამოუვიდოდა პატიმარს სილურჯე, ჩასვამდნენ კარცერში და სანამ ეს სილურჯე და სიშავე არ გაუქრებოდა, მანამდე უფლებას არ აძლევდნენ, ოჯახის წევრი ან ადვოკატი ენახა.

მიტინგის დარბევის დროს, ზემოთ რომ ავიხედეთ, პარლამენტის სახურავზე დავინახეთ ადამიანები, რომლებიც ამ ყველაფერს კამერით იღებდნენ და, სავარაუდოდ, სპეცრაზმს მიმართულებას აძლევდნენ. სწორედ ამიტომ იყო, რომ ჟურნალისტებს დასდევდნენ და აბსოლუტურად ყველას სცემდნენ. მე გადამარჩინა ***ეფრემ ლუკაცკის***





რეზინის ტყვიებით დაცხრილული და სასტიკად ნაცემი **„ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტები** ბექა სივსივაძე და გიორგი მამაცაშვილი. **2011 წლის 26 მაისი.**

## „სპეცრაზმი სცემდა არამარტო მომიტინგეებს, არამედ ჟურნალისტებს. ამის მაგალითია „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტები, რომლებსაც რეზინის ტყვიები ესროლეს!“

## კვირგვინოსნები

**სოზარ სუბარი**
*„ხალხის ძალის“ თავმჯდომარე*



**ალექსანდრე მუხაძე,** მეტსახელად **„ქილერა“,** ჯერ სასჯელაღსრულების სამკურნალო დაწესებულების დირექტორი იყო, სადაც **პატიმრების წამებით გამოირჩეოდა** და შემდეგ — მე-8 დაწესებულების დირექტორი. ეს იყო ადამიანი, რომელიც **პირადად მონაწილეობდა პატიმრების წამებაში და დაუსწრებლად არაერთ საქმეზე არის მსჯავრდადებული,** ზოგ საქმეზე კი ბრალდებულია, რადგან დღესაც არაერთ საქმეზე გრძელდება გამოძიება. ჩემი სახალხო დამცველობის პერიოდში გაკეთებულ **ყველა მოხსენებაში ხვდებოდა მისი გვარი და სახელი** და, მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტში წარდგენილი ყოველი ანგარიშის დროს **საპარლამენტო ტრიბუნიდან ხმამაღლა ვლაპარაკობდი,** როგორ აწამებდა ის პირადად პატიმრებს, 2010 წელს **მიხეილ სააკაშვილმა ღირსების ორდენით დააჯილდოვა,** 2012 წლის 12 მაისს კი — **ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენით.**

„იმედინიუსი“

**ელიშერ გვენეტაძე**
*ექსპერტი*



დაიწყო **ნანულას და ნანუნალასნაირების,** ანუ ძალადობრივი აქციების დამფინანსებელი **ფონდების ხელმძღვანელთა ჩხრეკა.** ნახეთ, როგორ ცხოვრობენ ეს ავაზაკები, **საიდან ამდენი მილიონის ქონებები? მხოლოდ ქვეყნის ღალატის ხარჯზე.** მჯერა, **ახალი ნიურნბერგის პროცესის მოწმეები გავხდებით,** სადაც დანაშაულებრივი ორგანიზაცია — **ნაციონალური მოძრაობა კანონგარეშედ გამოცხადდება,** ანუ მისი ლიდერები და თავად პარტია **არჩევნებში მონაწილეობას ვერასოდეს ვერ მიიღებენ.** „იმედინიუსი“

**გიორგი ზერეკიძე**
*ყოფილი პოლიტპატიმარი*



**ნანული ჟორჟოლიანს** ვუსმენდი, **რომც დამიჭირონ, რა უჭირს, ჩემს ეგოს დავიკმაყოფილებ, ისტორია მრავალფეროვანი გამიხდებაო.** ხო, არა? კარგია, „ოცნების“ აშენებულ საქართველოში დანაშაულს თუ ჩაიდენ, იცი, რომ **კანონით მოგეთხოვება და არა ოჯახის განადგურებით ან იმაზე ფიქრით, ციხეში გადარჩები თუ არა?**

„რეპორტიორი“

ინგლისურად საუბარმა, რადგან ისინი რომ მოდიოდნენ, ეფრემი ინგლისურად ეუბნებოდა — „პრეს, პრეს!“ — და უკან იხევდნენ. სპეცრაზმს რამდენიმე რკალი ჰქონდა გაკეთებული, რათა ვერცერთი მომიტინგე იქიდან ვერ გასულიყო. მიუხედავად ამისა, სრულიად შემთხვევით ვიღაც-ვიღაცებმა გასვლა შეძლეს. კარგად მახსოვს, ახლა რომ სახელმწიფო მუზეუმია, იქ დიდი თხრილი იყო, სადაც უამრავი ადამიანი იმალებოდა. მათ გამთენიისას დატოვეს ის ადგილები.

სააკაშვილის მანქურთებმა ნაცემი და დასისხლიანებული ხალხი რუსთაველზე რომ ჩაატარეს, **გიორგი აბდალაძემ** და **ეფრემ ლუკაკაცკიმ** რუსთაველი დატოვეს და „ასოშეიტედ პრესის“ ოფისში ჩავიდნენ, საიდანაც მიტინგის ხოცვა-ჟლეტის ამსახველი ფოტოსურათები საერთაშორისო მედიას გადაუგზავნეს! აი, აქ დაიწყო რაც დაიწყო... საერთაშორისო მედიაში დიდი ალიაქოთი ატყდა, რადგან **ყველამ თვალნათლივ დაინახა, რომ ამერიკელების მიერ „დემოკრატიის შუქურად“ შერაცხილი სააკაშვილი სინამდვილეში პირსისხლიანი და გვამების შემგროვებელი მანიაკი იყო, რომელმაც საკუთარ ხალხს უკვე მერამდენედ მოუწყო „ბართლომეს ღამე“!**

*გიორგი აბდალაძე: — მოგეხსენებათ, სააკაშვილი და მისი ბანდა ისე ჩქმალავდნენ ყველაფერს, ისე ჩაატარეს მეორე დღეს ალლუმი და ისე დაარიგეს მედლები და ღირსების ორდენები, რომ არავის უხსენებია დახოცილი, ნაცემი, ნაწამები და დაჩეხილი ადამიანები... მოკლედ, მიშას უთხრეს — **საერთაშორისო მედიაში ასეთი და ასეთი ფოტოსურათები გავრცელდაო!** სააკაშვილს უთქვამს — **ვინც იმ დღეს რუსთაველზე იყო და სურათებს იღებდა, ყველა დაიჭირეთო! ასე გაუცია მას ჩვენი დაპატიმრების ბრძანება.***

ამის შემდეგ **თეა წულუკიანმა აბდალაძეს** ჰკითხა, — თუ რა დრო გავიდა 2011 წლის 26 მაისიდან მის დაპატიმრებამდე! პასუხად აბდალაძემ დეტალურად გაიხსენა 2011 წლის 7 ივლისი, თავისი ცოლის დაბადების დღე, როცა სახლში შეუვარდნენ და დააპატიმრეს:

*— მეშვიდე თვის შვიდი რიცხვი იყო, ჩემს მეუღლეს დაბადების დღე ჰქონდა... სამსახურიდან დავაგვიანე შინ მისვლა და შვილს ვთხოვე — არ დაიძინო, ყვავილებს ვიყიდი და დედას ერთად მივულოცოთ დაბადების დღე-მეთქი! სახლში რომ მივედი, დაახლოებით პირველის წუთები იყო... მივუტანე თაიგული, მეუღლეს ბავშვთან ერთად მივულოცე დაბადების დღე და მერე დავწექი, დავიძინე. 3 საათზე კარზე ზარის და კაკუნის ხმა გაისმა. ჭუჭრუტანაში რომ გავიხედე, ადამიანების სილუეტები დავინახე და ვიფიქრე, ჩემი უბნელი მეგობრები არიან და, ალბათ, რაღაც პრობლემა აქვთ-მეთქი! სახელი მივაძახე — შენა ხარ-მეთქი? — კი, მე ვარო! რომ გავაღე, უცბად შემოვარდნენ, ალბათ, 10-15 ადამიანი იქნებოდა. ოჯახის წევრები გაოგნებული იყვნენ — რა ხდებაო?*




*შემიკითხეს ბრალდება — ჯაშუშობაში გედებათ ბრალიო! დამადეს ხელბორკილები... სიმართლე გითხრათ, თავიდან გამეცინა — რაღაც სისულელეს აკეთებთ-მეთქი! დაიწყეს ჩხრეკა... ბავშვის ოთახში რომ შევიდნენ, ერთ-ერთს ერთადერთი რამ ვთხოვე — ბავშვი არ გამიღვიძოთ, ასე ხელბორკილებით არ მინდა, მნახოს-მეთქი! გამთენიისას დაასრულეს ეს ვითომ ჩხრეკა. ჩვენი პატიმრობის დროს, ერთ-ერთ საიტზე გამოქვეყნდა **ვანო მერაბიშვილის, უტიაშვილის, ხიზანიშვილის, ბოკერიას, სააკაშვილის და ადეიშვილის საუბრები,** სადაც მე მაგინებენ. ვანო მაგინებს მე, რადგან მშრალი შიმშილობა მქონდა გამოცხადებული. ხუთი დღე ვიშიმშილე...*

**გიორგი აბდალაძის** ამ უკანასკნელი განცხადების გამო, **ბოკერიას ცოლი თამარა ჩერგოლეიშვილი** ლამის „კრუჟაოიანი“ ნიფხვიდან ამოხტა, **გიორგი აბდალაძეს** სულ მატყუარა ეძახა, ბილწი სიტყვებით შეამკო, რაღაც ჩანაწერი გამოაქვეყნა და განაცხადა — **აბა, სად არის აქ ბოკერიას ლაპარაკიო?!** სხვათაშორის, **ჩერგოლეიშვილმა** პირიდან გველ-ბაყაყი მაშინაც ამოუშვა და ყველაფერი დაიპუტა, როცა ცხონებულმა **სულხან მოლაშვილმა** ხელი სწორედ **გიგა ბოკერიას** დაადო — **ადეიშვილმა და ბოკერიამ, რომლებსაც ნიღბები ეკეთათ, მაწამესო!**

სახლიდან გლდანის საკონცენტრაციო ბანაკში გადაყვანის სცენა **გიორგი აბდალაძემ** ასე აღწერა:

*— მანქანაში რომ ჩამსვეს, ხელები უკან შემიკრეს. — ხელები წინ შემიკარით, არსად გაქცევას არ ვაპირებ-მეთქი! — **ეგრე იყავიო!** — მიბრძანეს. მერე მკითხეს — **ხომ იცი, რაზეც დაგიჭირესო?** — რაზე დამიჭირეს?! სისულელეა, აბსურდია, გაირკვევა ყველაფერი უახლოეს ხანებში-მეთქი! დამიწყეს გინება... „მოდულის“ შენობასთან რომ მიმიყვანეს, რაცია ჩართული ჰქონდათ და კარგად გავიგონე, ერთიეუბნებოდა მეორეს — **ყველა დავიჭირეთო!** მივხვდი, რომ მარტო არ ვიყავი. შინაგანად ვგრძნობდი, რომ 26 მაისის ფოტოებს უკავშირდებოდა ეს ყველაფერი, რადგან ეს იმდენად მძიმე ფოტოებია, მსგავსი კადრები არ არსებობს... „მოდულში“ რომ მიმიყვანეს, ჩამიყვანეს ქვემოთ. ერთმა ელექტროშოკერები გამოიტანა და მეორეს ჰკითხა — ეს მუშაობს? — მუშაობს თუ არ მუშაობს, რას კითხულობ, აი, ამაზე შეამოწმე, აგერ არ არის?! — მიუთითა ჩემზე.*

**გიორგი აბდალაძის დაპატიმრების შესახებ რომ შევიტყვეთ, მისმა მეგობრებმა და თანამშრომლებმა „მოდულის“ წინ საპროტესტო აქციები დავიწყეთ, რასაც საერთაშორისო გამოხმაურება მოჰყვა. სააკაშვილის ხელისუფლების ვირთხებმა და განსაკუთრებით ვანო მერაბიშვილის კლონმა და ეკა კვესიტაძის „ცოლმა“ — შოთა უტიაშვილმა,** რომელიც საერთაშორისო მედიაში ატეხილი განგაშით შეშინებული იყო, სააკაშვილის მითითებით, სასწრაფოდ შეთითხნა საქმე და გრიფით „საიდუმლო“ დაადო მასალას, რომლის თანახმადაც **გიორგი აბდალაძემ** თითქოსდა საგარეო საქმეთა სამინისტროში იჯაშუშა და რაღაც საიდუმლო დოკუმენტები უკანონოდ გაიტანა! **აბდალაძის მიმართ წაყენებული „ბრალდება“ იმდენად აბსურდული იყო, მთელი საპყრობილე ხარხარებდა... აი, რა უთხრა ამის შესახებ აბდალაძემ კომისიას:**

*— საკანში ოთხი კაცი ვიჯექით. ერთი მკვლელობისთვის იჯდა, ერთი — ნარკოტიკების გამო და ერთიც — ეკონომიკური დანაშაულისთვის. მე რომ მკითხა ერთმა — რაზე ზიხარო? — სურათის გადაღებისთვის-მეთქი! — ვუპასუხე. — რამდენს გისჯიანო? — ალბათ, ოც წელს-მეთქი! — რა გადაიღე, ბიჭო, ამისთანა, ამან კაცი მოკლა და შვიდ წელს უსჯიანო! ამაზე მთელი ციხე იცინოდა... მერე გლდანში რომ ვიყავი, იქ შემხვდა ერთ-ერთი ის პატიმარი, რომელიც ნარკოტიკებისთვის იჯდა და კედელს თავს ურტყამდა — აქ სად მოვხვდიო!*

ძნელია იმის გააზრება და შეფასება, რაც გიორგი აბდალაძემ **გლდანის მე-8 დაწესებულების,** ანუ სააკაშვილის საკონცენტრაციო ბანაკში არსებული მდგომარეობის შესახებ კომისიის წინაშე ილაპარაკა:

*— „მოდულის“ შენობიდან გლდანში როცა გადავყავდით, ერთ-ერთმა სპეცრაზმელმა მანქანაში მითხრა — ეს გზა კარგად დაიმახსოვრე, გლდანიდან შენ ცოცხალი ვერ გამოხვალ, ეს შენი უკანასკნელი გასეირნებააო! გლდანის საპყრობილე ციხე არ იყო, ეს იყო „კონცლაგერი“ — ადამიანების წამებითა და განადგურებით... **დღეს რომ სასამართლო პროცესზე პატიმრები გაღიმებული გამოდიან და ოვაციებით ხვდებიან, ძალიან მიხარია ეს ამბავი, რადგან პატიმარი არ უნდა იყოს იმ მდგომარეობაში, რა ჯოჯოხეთიც ჩვენ გამოვიარეთ.** ესეც იმ პოლიტიკური ძალისა და იმ ადამიანის დამსახურებაა, რომელიც 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ მოვიდა. მაშინ ჟურნალისტებს სასამართლოს ეზოში შესვლის უფლებას არ აძლევდნენ. ვინ ვის მისცემდა უფლებას სასამართლო პროცესზე ფოტოაპარატი ამოეღო ან მობილურით რამე გადაეღო? **გლდანის საპყრობილეში მიხვდებოდი, რომ საქართველოში არსებობდა კიდევ პატარა საქართველო, რომელიც პირადად სააკაშვილისა და მისი ხროვის საკუთრებაში იყო, სადაც ადამიანის ღირებულებასა და ფუნქციას არავითარი ფასი არ ჰქონდა!** ადამიანი საერთოდ არაფრად მიაჩნდათ... რომ შედიოდი, ამას მაშინვე გრძნობდი. რაღაც ხომ უნდა შეგევსო, გინებით და წიხლებით მივყავდით დოკუმენტების შესავსებად. გვაფურთხებდნენ... — რაზე ზიხარ? — მეკითხება ერთი აგდებულად. — რა ვიცი, ჯაშუშობას მაბრალებენ-მეთქი! — ვაა, შეხედე ამას... რა პროფესიის ხარ? — ჟურნალისტი ვარ-მეთქი! — „ჟურნალისტი, ჟურნალისტი!“ გადაულაპარაკეს ერთმანეთს და მერე ვიღაცას უთხრეს — ეს კარანტინში არ ჩაიყვანოთ, პირდაპირ „ფუქსებში“ ჩაიყვანეთ!*

*„ფუქსი“ საკანია მეტრო მეტროზე... „ფუქსში“ იატაკზე ვიწექით, რომ გვესუნთქა. ფეხზე რომ დადგე, ჟანგბადი არ არის, ამიტომ იატაკზე უნდა დაწვე, რათა ისუნთქო! იქ შევიტყვეთ, რომ ხუთი კაცი ვიყავით დაპატიმრებული... ერთ-ერთი — ფოტორეპორტიორი **შახ აივაზოვი** გაუშვეს. ის მუშაობდა **„ასოშეიტედ პრესის“** კორესპონდენტად. როგორც მერე შახმა მიამბო, მეუღლეს უთხრა, რომ დაერეკა „ეიპიში“. „ეიპიმ“ დარეკა ამერიკის საელჩოში, ხოლო ამერიკის საელჩომ დაურეკა **ვანო მერაბიშვილს** — რა ხდება ამ ხალხთან დაკავშირებითო? ვანოს უთქვამს — არა, ეგ დაკავებული არ არის, მაგასთან, უბრალოდ, რამდენიმე შეკითხვა გვქონდაო! იმ დღესვე, ჩვენი დაპატიმრების დღეს, გაუშვეს **შახ აივაზოვი,** მხოლოდ უთხრეს — **პრესის წინ არ გახვიდეო!** ისიც უკანა კარიდან გამოვიდა!*

**თეა წულუკიანი: — იმიტომ, რომ ამერიკის საელჩო ჩაერია?**

გიორგი აბდალაძე: — დიახ, იმიტომ, რომ ამერიკის საელჩო ჩაერია!

**თეა წულუკიანი: — ამ კონკრეტული პირის გათავისუფლება ითხოვა ამერიკის საელჩომ?**

გიორგი აბდალაძე: — დიახ, რადგან **შახ აივაზოვი** ამერიკულ „ასოშეიტედ პრესის“ შტატიანი ფოტორეპორტიორი იყო, ხოლო ჩვენზე არ ჰქონდათ ინფორმაცია და არ იცოდნენ, თუ მანდაც ვმუშაობდით!

ცხადია, ამერიკის საელჩომ მხოლოდ **შახ აივაზოვის** გათავისუფლებაზე იზრუნა, რომელიც ამერიკული სააგენტოს შტატიანი კორესპონდენტი იყო, ხოლო **გიორგი აბდალაძე** და დანარჩენები სააკაშვილის ინკვიზიციას მიუგდო, რადგან „დემოკრატიის შუქურას“ — სააკაშვილს ახალი მსხვერპლი სჭირდებოდა.

ცნობილი და გახმაურებული ფილმის — „შინდლერის სიის“ სიუჟეტშიც კი ვერ ნახავთ იმ სისაძაგლეს, რის შესახებაც **გიორგი აბდალაძემ** კომისიას განუცხადა — ***„გლდანის საკონცენტრაციო ბანაკში პატიმრები გასეირნებაზე უარს ამბობდნენ, რადგან ციხის თანამშრომლები ერთმანეთში სანაძლეოს დებდნენ, თუ რომელი არ აცდენდა მიზანს და პატიმარს ზემოდან ზუსტად დააფურთხებდა!“***

შემზარავია **გიორგი აბდალაძის** მიერ აღწერილი გლდანის ციხე, სადაც ადამიანები ხორცსაკეპ მანქანაში იყვნენ ჩაყრილი, მაგრამ კიდევ უფრო შემზარავია ის საუბრები, რომელიც სააკაშვილის პირად მსხვერპლსა და რეჟიმის დამცველებს შორის პერმანენტულად იმართებოდა. აი, რას იხსენებს **გიორგი აბდალაძე:**

*— საკნებში საშინელი სუნი იდგა... ჩვენც ისეთ მდგომარეობაში ვიყავით, სადაც შევდიოდი, ბოდიშს ვიხდიდი, რადგან დაბანის საშუალება არ გვქონდა. გვითიშავდნენ წყალს, აბაზანაში არ გვიშვებდნენ და ჩვეულებრივად ვყარდით. იმ „ფუქსში“ რომ ვიყავი და იატაკზე ვიწექი, ჩემი ერთ-ერთი მეგობარი ჩემ წინ იყო, **ირაკლი გედენიძე** აქეთ იყო, ხოლო ირაკლის მოპირდაპირე მხარეს ერთი პატიმარი იყო, რომელსაც გალიის გარეთ ჰქონდა ხელი გამოყოფილი, იატაკზე იჯდა და გარედან ბორკილები ეკეთა, რათა ვერ ამდგარიყო. ნაცემი, დასისხლიანებული იყო და მაისური ჰქონდა გადაფარებული თავზე. ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყო, ტიროდა... მე ვამშვიდებდი, როგორც შემეძლო.*

***თეა წულუკიანი: — ხომ არ გახსოვთ მისი სახელი და გვარი?***

*გიორგი აბდალაძე: — არა, არც მიკითხავს, რადგან ჩვენ სა-*

გაგრძელება მე-6 გვერდზე



## „ნაციონალური მოძრაობა რომ დღემდე ხელისუფლებაში ყოფილიყო, ჩათვალეთ, ყოველდღე, სულ მცირე, ერთი ადამიანი მაინც დაიღუპებოდა საპატიმროშიც და ქუჩაშიც!“

## კვირგვინოსნები



**მიხეილ სააკაშვილი**
*პატიმარი*

**ნანუკა ჟორჟოლიანს** ერჩიან იმიტომ, რომ **შურთ და ეშინიათ მისი ნიჭიერების, გაბედულობის, სილამაზისა და გონიერების?**

„პირველი არხი“



**მიხეილ სარჯველაძე**
*ჯანდაცვის მინისტრი*

ოპოზიციურად განწყობილ ფსევდოექსპერტებში დიდია მოტივაცია, **შექმნან ხელოვნური აჟიოტაჟი, რათა ზიანი მიაყენონ ეკონომიკას,** ფაქტია, გავიდა სამი თვე და **ეკონომიკა არ ჩამოშლილა.**

„პირველი არხი“



**არჩილ გორდულაძე**
*პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე*

როგორც ჩანს, **სალომე ზურაბიშვილი კიდევ ერთ ფანჩატურს აანონსებს.** ქართველი ხალხის წინააღმდეგ ბრძოლაში **კიდევ ერთხელ სახელოვნად დამარცხდებიან.**

„აიპრესი“



**ირაკლი კირცხალია**
*პარლამენტარი*

**„ევროპის სახალხო პარტიის“** რეზოლუციას თუ განცხადებას **ჩალის ფასი აქვს,** მათი ქმედებები გაჟღენთილია **ლობიზმითა და ორმაგი სტანდარტებით.**

„პირველი არხი“



**ირაკლი ზარქუა**
*პარლამენტარი*

ოპოზიციაში **ერთმანეთს ატყუებენ, აგიჟებენ** და მერე ამ **გიჟობაში დაფინანსებას იღებენ.**

„პირველი არხი“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

უბრის საშუალებასაც კი არ გვაძლევდნენ და მუნჯურად ველაპარაკებოდით ერთმანეთს... შუაში დადიოდა ერთ-ერთი ზედამხედველი და გვაგინებდა — ხომ არ გგონიათ, ვინმე ან რამე გიშველითო?! „ფუქსებიდან“ გადამიყვანეს საკანში. იქ დამხვდა ერთ-ერთი პატიმარი. პირველივე დღეს ამიყვანეს გლდანის ციხის დირექტორთან, **„ქილერასთან“**, ანუ იმავე **ალექსანდრე მუხაძესთან.** საშუალო სიმაღლის ადამიანი იყო... მეკითხება ასეთ რამეს — თქვენ ხომ იცით, რაზეც ზიხართ? — მე არაფერი ვიცი, უდანაშაულო რომ ვარ, მხოლოდ ის ვიცი-მეთქი! — უდანაშაულო და ის არ მაინტერესებს, თქვენ თუ აქედან ცოცხალი გახვალთ, ჩემი ასე და ისეო! — დაიგინა... — ახლა როგორ ხარ? — რა ვიცი, პატიმარი ვარ, ჩვეულებრივად-მეთქი! — აი, ხვალიდან იწყება თქვენი ამბები! ახლა ჩადი საკანში და კარგად იფიქრე, დრო გაქვს, რათა დანაშაული აღიაროო! — არაფერს არ ვაღიარებ-მეთქი! — მაგასაც გაჩვენებ! დამაბრუნეს საკანში, სადაც შუქი არასდროს ქრებოდა. ეს, ალბათ, მეთვალყურეობისთვის სჭირდებოდათ, რადგან ვიდეოკამერით გვიღებდნენ. **ყოველ ღამით გავყავდით საკნიდან და მიდიოდა ფსიქოლოგიური წნეხი — შვილს მოგიკლავთ, იმას გიზამთ, ამას გიზამთო!..** მაჩვენებდნენ ჩემი ძმების სურათებს — ეს უკვე სამსახურიდან გავუშვითო! — შენი ბავშვი კომაროვიდან რომ გამოვიდა, ზუსტად გეტყვი მარშრუტს, სად და როგორ იარაო! — რად მინდა მაგას რომ მეუბნები-მეთქი? — იცოდე, რომ ოჯახის წევრებიანად, ყოველნაირად გაგანადგურებთო! ასე გრძელდებოდა რამდენიმე დღე.

**გიორგი აბდალაძემ** კომისიას ხაზგასმით უთხრა ისიც, რომ **საჭმელში ჩაფურთხების უბინძურესი კამპანია, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ ნაცმოძრაობამ წამოიწყო, თავდაპირველად სწორედ გლდანის საკონცენტრაციო ბანაკში დაამკვიდრეს,** როცა რეჟიმის ასპიტები პატიმრებს საჭმელში უფურთხებდნენ! **აბდალაძის** განცხადებით, გლდანის ციხეში ეს არაადამიანები პატიმრებს საჭმელში უფურთხებდნენ, რათა პატიმრებს საჭმელი არ ეჭამათ!

***თეა წულუკიანი: — ბატონო გიორგი, იმას ამბობთ, რომ ეს მათი ხელწერაა?***

*გიორგი აბდალაძე:* — ეს მათი ხელწერაა! მე რომ ვშიმშილობდი, ბადრაგი მოვიდა და პატიმარს ჩაუფურთხა საჭმელში — ეს რომ შიმშილობს, შენ რატომ ჭამო?! მე რომ ამის გამო პროტესტი გამოვთქვი, პატიმარმა მითხრა — გეხვეწები, ხმა არ ამოიღო, ცემით მოგვკლავენო! საკანში წყალი არ გვქონდა და უკაცრავად და მაისურით ვიწმენდდით... ვყარდით... წესი ჰქონდათ ასეთი — ვისზეც ზეწოლა უნდა მოეხდინათ, იმის გარემოცვას ატერორებდნენ. თუ საკანში ოთხი პატიმარი იყო, სამს სცემდნენ და სიკვდილის პირამდე მიიყვანდნენ, რათა ის მეოთხე გაეტეხათ და დაემორჩილებინათ!

***ალუდა ღუდუშაური: — ბატონო გიორგი, საქართველოს ისტორიაში მსგავსი უბედურება გახსენდებათ?***

*გიორგი აბდალაძე:* — „წითელი ჯვარი“ ხშირად შემოდიოდა. მე რომ შევედი „წითელ ჯვართან“, ხელები უკან შემიკრეს და ჯიბეში რაღაც ჩამიდეს — ეს იმისთვის არის, რომ გისმინოთ რას ილაპარაკებო! „წითელ ჯვარს“ ვუთხარი — თქვენთან საუბარი არ მინდა-მეთქი! „წითელი ჯვრის“ წარმომადგენელმა ერთმა გოგონამ მითხრა — ყველა პატიმარი ერთსა და იმავე ტექსტს გვეუბნება და რა ხდება, გვითხარით, ხალხო, რაშია საქმე! ყველამ იცოდა, რომ, თუ „წითელ ჯვარს“ რამეს ისეთს ეტყოდა, საშინლად დასჯიდნენ.

**გიორგი აბდალაძემ** საგანგებოდ გაიხსენა გლდანის საკონცენტრაციო ბანაკის რეჟიმის უფროსთან **ვიქტორ ყაჭეიშვილთან** შეხვედრა:

— ჟურნალისტებმა **ვანო მერაბიშვილს** ერთ-ერთ შეხვედრაზე უთხრეს — ***აბდალაძე შიმშილობსო!*** ვანომ უპასუხა — შიმშილობს არა, განცხადებას განახებთ, რომ არ შიმშილობსო! წინა ღამეს საკნიდან გამიყვანა ***ვიქტორ ყაჭეიშვილმა,*** რომელიც რეჟიმის უფროსი იყო და მითხრა — განცხადება უნდა დამიწეროო, რომ შიმშილობა შეწყვიტე და შენ თუ გინდა იშიმშილე, რაც გინდა, ის ქენიო! ვითომ მამაომ გირჩია შიმშილობის შეწყვეტაო! — არ დავწერ მაგას და ჩვეულებრივად გავაგრძელებ შიმშილობას-მეთქი! — ახლა გიჩვენებ სეირსო! — დამემუქრა. ***ვიქტორ ყაჭეიშვილმა*** ჩართო რაცია და ვიღაცებს დაუძახა. ციხის კადრები რომ გავრცელდა, კარანტინის დაშლა რომ ხდება, ზუსტად იმ მდგომარეობაში ვიყავი... ის კადრები რომ გასაჯაროვდა და ერთი ამბავი ატყდა, ყველა ის ადამიანი ამოვიცანი, ვინც იქ ფიგურირებს. მოკლედ, ***ვიქტორ ყაჭეიშვილმა*** რაციაში ბრძანა — ***გამოიყვანეთ საკანში ვინ არის ამასთან ერთადო!*** მერე მომიბრუნდა და მითხრა — ***ახლა ამათ უკაცრავად და... ჩავუტარებ, მერე შენ ჩაგსვამ მაგათთან და ვინ ვის რას უზამს, მაგასაც გაჩვენებ! მე ახლა ხელს არ გახლებ, მაგათ გავაკეთებინებ ყველაფერსო!***

***თეა წულუკიანი: — ანუ თქვენ თვალწინ თქვენს თანამოსაკნეებს ვცემდ და გავაუპატიურებთო და მერე თქვენ რომ ერთად მოხვდებით საკანში, ისინი მოგხედავენო! ეს იყო მუქარა?***




# გიორგი აბდალაძე:

# პირდაპირ დამემუქრნენ – შენს ლიკვიდაციასთან დაკავშირებით ბრძანებას ველოდებითო!

*გიორგი აბდალაძე:* — დიახ! თავიდან ისე ვიყავი ამ ყველაფრით შოკირებული, რომ ვერც გავიაზრე, რას აპირებდნენ! მაგრამ რომ დაიძახა და გამოჰყავდათ საკნიდან პატიმრები, ***ვიქტორ ყაჭეიშვილს*** ვუთხარი — ***გაანებე თავი ამ პატიმრებს, რას ერჩი, შევწყვეტ შიმშილობას-მეთქი!*** სავარაუდოდ, ჩემი ხელნაწერი გაუგზავნეს ვანოს... იმიტომაც იყო, ჟურნალისტებს რომ ეუბნებოდა — ***თუ გინდათ, აბდალაძის განცხადებას გიჩვენებთ, რომ შიმშილობა შეწყვიტაო!*** აი, სწორედ მაგ პერიოდს დაემთხვა სატელეფონო საუბარი, სადაც **ვანო** აგინებდა **ბოკერიას, ბოკერია** აგინებდა **ვანოს...** მოკლედ, რაღაცა ხდებოდა!“

კომისიის სხდომაზე **გიორგი აბდალაძის** ვრცელ გამოსვლას შლეიფად გასდევდა მისი ერთი ფრაზა — ***სააკაშვილი პირადად წყვეტდა, ცოცხალი უნდა დავეტოვებინეთ თუ ისე მოვეკალით, როგორც ცნობილი სერგო თეთრაძე მოკლეს! სისაური, რომელმაც სერგო თეთრაძე აწამა, ჩვენს კართან იდგა 24 საათის განმავლობაში და ვხედავდი ამ ადამიანს. გვარი რომ ვკითხე, მითხრა — სისაური ვარო! თეთრაძის საქმე რომ გამოაშკარავდა, მერე გამახსენდა და ვიცანი, რომ ეს ის კაცი იყო!***

**გიორგი აბდალაძემ** საგანგებოდ ისაუბრა სააკაშვილის კუდ-ის თანამშრომლის **დავით დევნოზაშვილის** შესახებ, რომელიც მას გლდანის საკონცენტრაციო ბანაკში გამუდმებით აკითხავდა, ემუქრებოდა და ჯაშუშობის შესახებ ცრუბრალდების აღიარებას აიძულებდა! მისი განცხადებით, მიდიოდა საუბარი ოთახში, სადაც დავით დევნოზაშვილი მეუბნება — შენ ახლა მობილურით უნდა ჩაგწეროთ და ეს იქ ვაღაცებს უნდა ვაჩვენოთო! სავარაუდოდ, ვანო მერაბიშვილისთვის უნდა ეჩვენებინათ... თან ერთმანეთში კამათობენ, თუ როგორ უნდა ვაღიარო, რაღაც ბოდვა. ეს ეუბნება — არა, მაგის გადაწერა არ გამოვაო! — აბა, როგორო? — ეკითხება მეორე. ჰოდა, მე ვუშველე აქედან — ვითომ „საიდუმლო დოკუმენტს“ ფოტო გადავუღე-მეთქი! — ეგრე შეიძლება? — კი, ჩათვალეთ, რომ შეიძლება-მეთქი!

მოკლედ, ასე „აღიარა“ თხუთმეტდღიანი ტანჯვა-წამების შემდეგ **გიორგი აბდალაძემ** „ჯაშუშობა“ და „სამშობლოს ღალატი“!

**რაც შეეხება სააკაშვილის საგარეო საქმეთა მინისტრსა და, საერთოდ, საგარეო საქმეთა სამინისტროს, სადაც გიორგი აბდალაძემ ვითომდა „საიდუმლო დოკუმენტები“ „ფარულად“, „ჯაშუშობის მიზნით“ გადაიღო, ამ საკითხთან დაკავშირებით გიორგი აბდალაძესა და საპარლამენტო-საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე თეა წულუკიანს შორის საინტერესო დიალოგი შედგა:**

*გიორგი აბდალაძე:* — გრიგოლ ვაშაძის სინდისზე იყოს... არ ვიცი, აქვს თუ არა მას სინდისი, ნამუსი ან კაცობა, რადგან უდანაშაულო ადამიანი ციხეში გამიშვა... გვაწამეს იმის გამო, რომ მაგას ვაჟკაცობა არ ეყო, ეთქვა — ამ ბიჭს არანაირი დოკუმენტი საგარეო საქმეთა სამინისტროდან არ აუღიაო!

***თეა წულუკიანი: — ჰკითხა ვინმემ გრიგოლ ვაშაძეს ეს?***

*გიორგი აბდალაძე:* — მე როგორც ვიცი, **ვანო მერაბიშვილმა გრიგოლ ვაშაძეს** დაურეკა და „თავზე დაახურა“!

***თეა წულუკიანი: — რატომ?***

*გიორგი აბდალაძე:* — იმიტომ, რომ **გრიგოლ ვაშაძის** პირველი განცხადება ჩემ შესახებ ასეთი იყო — ***ამ ბიჭს არცერთ დოკუმენტზე წვდომა არ ჰქონდაო! მერე ეტყობა, უსაყვედურეს და გადათქვა — მტკიცებულება არსებობს, მაგასთან დაკავშირებითო!*** ანუ ***გრიგოლ ვაშაძემ*** უდანაშაულო ხალხი გაგვწირა! არჩევნების დროს, საპრეზიდენტო კანდიდატი როცა იყო, ***გრიგოლ ვაშაძეს*** შევუთვალე — შენს არაადამიანობაზეა ის, რომ ჩვენ ჯოჯოხეთი გამოვიარეთ. იმის ვაჟკაცობა არ გეყო, მიშასთვის, ვანოსთვის და სხვებისთვის გეთქვა — უდანაშაულო ხალხს რას ერჩით-თქო!




***თეა წულუკიანი: — ნათელმირონს ვერ გაუბედა, ალბათ!***

*გიორგი აბდალაძე:* — ღმერთი მაღალია და ყველას თავისას მიუზღავს!

●

აი, ასე დასრულდა ეს ჯოჯოხეთი, რომელშიც საქართველოს ამჯერად ევროკავშირის დროშით უპირებენ დაბრუნებას! რაც შეეხება წინამდებარე საგაზეთო მასალის გმირს, წარმოშობით ქუთაისელი **გიორგი აბდალაძე,** რომელიც ღირსეული კაცია და ყველას გვიყვარს, მუხრან მაჭავარიანის ერთი შედევრისა არ იყოს, **თბილისის ქუჩებში დღეს თავაწეული დადის!**

**გიორგი მაშინაც ღირსეული და ვაჟკაცი იყო, როცა „საქართველოს პრეზიდენტად“ წოდებული რეზიდენტის — სალომე ზურაბიშვილის პირადი ფოტოგრაფის პოსტი თვალის დახამხამებაში დათმო, რადგან ამ გაოხრებული ქალის აგენტობისა და ღალატის ამბავი ცას მისწვდა!** **გიორგი აბდალაძის** მიერ გადაღებული სისხლიანი და ქართველიანი 26 მაისის ამსახველი კადრები, რის გამოც ის ტანჯეს და აწვალეს, ბადარჩა და სააკაშვილის გარყვნილი რეჟიმი სამუდამოდ გამაშხლა!

**საქართველოსაც გიორგი აბდალაძის მსგავსი მამულიშვილები გადაარჩენენ!**

მოამზადა

**დიტო ჩუბინიძემ**

## კეირგვინოსნები



**სანდრო ბრეგაძე**
*პოლიტოლოგი*

ქართველი ერის ნაწილს შესაძლოა, არ მოსწონდეს ხელისუფლება, მაგრამ **სძულს, ეზიზღება ნაცსოროსული ოპოზიცია.** სწორედ ეს არის ხელისუფლების მუდმივი გამარჯვების ფორმულა, რომ **ხალხს ეზიზღება მართლმადიდებლობის მტერი, პატიმრების გამაუპატიურებელი, ახალგაზრდების მკვლელი, მანიაკური მიდრეკილებების, გარყვნილი და საქართველოს მოღალატე ლიბერასტული ოპოზიცია.** ქვეყანას ესაჭიროება ეროვნული, პატრიოტი, ვაჟკაცი, ქართული სულის ოპოზიცია და არა გაურკვეველი ორიენტაციის „ბომჟების“ და ნარკომანების ჯოგი, რომელსაც **იარაღისა და ნარკოტიკების ბარიგა კეზერაშვილი-თემურ ალასანია ან მევახშეთა უსტაბაში ხაზარაძე აფინანსებენ.**

**გსურთ** სასიკეთო ცვლილებები ქვეყანაში? **გსურთ** ეროვნული სულის აღორძინება? **გსურთ** რეალური, კონსტრუქციული პოლიტიკური დისკუსია-დებატები ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის? **გსურთ** ცივილიზებული და ევროპული პოლიტიკური სისტემა საქართველოში? ამისთვის აუცილებელია, **შეიცვალოს ოპოზიცია** — მოღალატეები ჩაანაცვლონ პატრიოტებმა და სულით ქართველებმა.

„ფეისბუქი“



**ლევან მაჭავარიანი**
*პარლამენტარი*

დიდი ალბათობით, საქართველო 2030 წლს უკვე **მაღალშემოსავლიან ქვეყანათა რიცხვში გადავა. სალომე ზურაბიშვილი** პარალელურ სამყაროში ცხოვრობს, დარწმუნებული ვარ, რომ ჰკითხოთ, **იტყვის, რომ დღეს საქართველოს პრეზიდენტია.**

„პირველი არხი“



**თამარ ჩიბურდანიძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი*

ის, რომ საქართველოში **ყოველ მეორე მოქალაქეს არ შეუძლია აუცილებელი საკვების შეძენა,** არის სიცრუე.

„რეზონანსი“

# მიხეილ ცაგარელი: წინ საკმაოდ რთული ორი თვე გვაქვს!



*— კაციობრიობისთვის ეს ორი თვე ძალიან მნიშვნელოვანია! —* ***აცხადებს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი და არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების ანალიზსა და პროგნოზს აკეთებს:***

— მაისი და ივნისი ერთ-ერთი ყველაზე გადამწყვეტი პერიოდი იქნება მსოფლიოსათვის. მომავალში როგორი იქნება სამყარო და რა გეოპოლიტიკური პროცესები განვითარდება, სწორედ ამ ორ თვეში გაირკვევა, ყოველი შემთხვევისათვის კონტურები აუცილებლად გამოიკვეთება. ამ პერიოდში ყველას განსაკუთრებული სიფრთხილე მართებს, მით უფრო,

**მაისის 20 რიცხვამდე დედამიწა უარყოფით ენერგოველშია და ცის კაბადონზე ე.წ. ჯვარია გამოსახული.**

**— ეს რას ნიშნავს?**

— კოსმიური შტორმია! ბოროტი პლანეტები — **შავი მთვარე,** ომის პლანეტა **მარსი** და ნგრევის პლანეტა **პლუტონი** ერთმანეთთან საომარ მდგომარეობაშია, რაც ზრდის აგრესიასა და კონფლიქტებს არამხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოს მასშტაბით. შეიძლება იყოს ეკონომიკური, ტექნოგენური კატასტროფები, წარმოიქმნას როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური და სოციალური პრობლემები, გაგრძელდეს სამთავრობო ცვლილებები, მითუმეტეს, ტრამპის გადაწყვეტილებები ძალიან არასტაბილურს ხდის და ცვლის ეკონომიკურ გარემოს.

დედამიწის უარყოფით ენერგოველში ყოფნა და პლუს ამ სამი პლანეტის შეერთება იქნება არასასურველ მოულოდნელობებთან დაკავშირებული. **ადამიანები უფრო სულსწრაფები იქნებიან. ნაჩქარევი გადაწყვეტილებები, მოუფიქრებელი მოქმედებები და ზედმეტი იმპულსურობა ბევრს დააშვებინებს შეცდომას.** ჩემი და თქვენი შეცდომები დიდ პრობლემებს ვერ შექმნის, მაგრამ ხელისუფლების ნაჩქარევად მიღებული არასწორი გადაწყვეტილებები შეიძლება, ძალიან ძვირად დაუჯდეს ქვეყანას. ამ პერიოდში მთავრობას განსაკუთრებული ყურადღება მართებს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ

**12 მაისს მძიმე დღეა, სავსემთვარეობაა, გვერდიგვერდ დგებიან**



**„შავი მთვარე, ომის პლანეტა მარსი და ნგრევის პლანეტა პლუტონი ერთმანეთთან საომარ მდგომარეობაშია, რაც ზრდის აგრესიასა და კონფლიქტებს არამხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოს მასშტაბით!“**

**მერკური, მზე და ურანი. კარგი იქნება, თუ სიმშვიდეს შევინარჩუნებთ და სერიოზულ გადაწყვეტილებებს არ მივიღებთ.**

**მაისის 20 რიცხვამდე** ადამიანებს შეიძლება მგზავრობის დროსაც შეექმნას პრობლემები. გზებზე ავარიულობა და კონფლიქტურობა მოიმატებს. **20 რიცხვის შემდეგ** დედამიწის ბიოსფერო უმჯობესდება, უფრო ჰარმონიული ხდება. მზეც ერთი თვით უფრო მსუბუქ ნიშანში, ტყუპებში გადადის და კარგ ურთიერთობაში იქნება გამარჯვების პლანეტა იუპიტერთან, რაც დადებითი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალებას მოგვცემს. კრიზისული და კონფლიქტური სიტუაციების გადალახვა **20 რიცხვიდან** ნებისმიერ სფეროში გაცილებით უფრო ადვილი იქნება, თუმცა, ეს დიდხანს არ გაგრძელდება. **1 ივნისის შემდეგ, 25 რიცხვამდე** დედამიწა ისევ უარყოფით ენერგოველში გადავა და, შესაბამისად, ნეგატიური ფაქტორებიც მოიმატებს.

მთლიანობაში წინ საკმაოდ რთული ორი თვე გვაქვს. გადაწყვეტილების მიღებისას ასჯერ უნდა გავზომოთ. არ უნდა ავყვეთ პროვოკაციებს, რომელთა ალბათობაც ასევე გაიზრდება. მთავრობამ წინდახედულად და მკვეთრი მოძრაობების გარეშე უნდა იმოქმედოს, რათა უარესი დაძაბულობები თავიდან აიცილოს.

**— რამდენად ფრთხილად მოქმედებს დღეს ჩვენი ხელისუფლება?**

— ვფიქრობ, ზედმეტად ფრთხილადაც მოქმედებენ. არ ვიცი, რითია მათი ეს ზესიფრთხილე განპირობებული. შეიძლება **ბიძინა ივანიშვილს** და **ირაკლი კობახიძეს** აქვთ ისეთი ინფორმაცია, რომლის შესახებაც ჩვენ არაფერი ვიცით და მიიჩნევენ, რომ ახლა ასეთი მოქმედებებია საჭირო ან მათი უნიათობის ბრალია. სხვა შემთხვევაში **გაუგებარია, რატომ ელოლიავებიან იმ 50 კაცს, რომელიც რუსთაველის გამზირს კეტავს და სხვა მოქალაქეებს დისკომფორტს უქმნის?!** რა არის ეს, ყოველ საღამოს ლაზღანდარობა პარლამენტის წინ?! ხალხი 9 აპრილსაც არ მიუშვეს იქ. ახლა იმუქრებიან 26 მაისსაც არ მოგიშვებთო. რას ნიშნავს ეს, სახელმწიფო არსებობს თუ არა?! **ლმობიერება და სიფრთხილე საჭიროა, მაგრამ ეს ნამეტანია!**

**მეტისმეტად ეფერებიან ოპოზიციას, რაც ხალხში გაღიზიანებას იწვევს. ვინც ამ საპარლამენტო არჩევნებზე ხმა „ქართულ ოცნებას“ მისცა, თვითმმართველობის არჩევნებზე მისვლას აღარ აპირებს, გულაცრუებულები არიან.**

კიდევ ერთხელ ვამბობ, შეიძლება ხელისუფლებას აქვს ასე მოქცევის საფუძველი, აკვირდება ამერიკასა და ევროპაში მოვლენების განვითარებას, მაგრამ ქვეყნის შიგნით ის ადამიანებიც ხომ უნდა გაითვალისწინონ, ვინც მათ ხმა მისცა?! **თუ „ქართულმა ოცნებამ“ ასე გააგრძელა, ძალიან ცუდად დაამთავრებს. არ მინდა, წინასწარ დასკვნა გავაკეთო და დავიჯერო, რომ მთავრობის უნიათობის გამო ისევ ერთ წერტილზე ვტრიალებთ!**

მიმაჩნია, რომ დროებითი საგამოძიებო კომისიაც ნელა მუშაობს და სპეციალურად წელავენ დროს. წესით, კომისიას უკვე უნდა ჰქონდეს რიგ საკითხებთან დაკავშირებით დასკვნები დადებული. ახალს არაფერს ვისმენთ, პირადად ჩემთვის ყველაფერი ცნობილია. იმაზე მეტიც ვიცი რეჟიმის შესახებ, ვიდრე კომისიაზე ითქვა. **რა საჭიროა ამდენჯერ ერთი და იგივეს ტრიალი?! მთავარი საქმე და შედეგებია!** გარდა ამისა, რატომ არ არის სხვა საკითხები გამოტანილი კომისიაზე? სად არის ბიზნესდანაშაულები, ქვეყნის გაყიდვის დანაშაულები? დავითგარეჯის თემა და უამრავი სხვა საკითხი?! რატომ არ საუბრობენ ზურაბ ჟვანიასა და გურამ შარაძის მკვლელობებზე?

სამარცხვინოა, კომისიაზე არგამოცხადების გამო **ხაზარაძეს, ვაშაძეს** და სხვებს რომ აჯარიმებენ.

**— არ უნდა დააჯარიმონ?**

— საქართველოს კონსტიტუციას არ დაემორჩილნენ, რო-

*გაგრძელება მე-8 გვერდზე*



**„როგორი მატყუარაც იყო ბაიდენი, ისეთივე მატყუარაა ტრამპი, ამერიკა არ იცვლება!“**

## კვირგვინოსნები

**გურამ ნიკოლაიშვილი**, *საჯარო პოლიტიკის სპეციალისტი*



სწორედ **დიფ სთეითის** გავლენით მოხვდა **ზურაბიშვილი** საფრანგეთის პრეზიდენტის პარტიის ყრილობაზე იმ მიზნით, რომ ქართულ აუდიტორიაში **მანდატით აღჭურვილ ადამიანად წარმოჩენილიყო, თუმცა, რომის პაპის დაკრძალვაზე** ამის გამეორება ვერ მოხერხდა და საქართველოს **ლეგიტიმური პრეზიდენტი მიხეილ ყაველაშვილი** წარმოადგენდა.

„იმედინიუსი“

**სოსო მანჯავიძე**, *ისტორიკოსი*



ახლა არის **გეოპოლიტიკური გადანაწილების პერიოდი** და ჩვენ ამ სიტუაციაში **არამარტო გადარჩენა უნდა შევძლოთ, არამედ განვითარება.**

„იმედინიუსი“

**გოგა ხაინდრავა**, *კონფლიქტოლოგი*



**ევროპის სახალხო პარტიამ ყრილობაზე დაპატიჟა სააკაშვილი!** ჰერ **ვებერ** და ფრაუ **ფონ დერ ლაიენ,** ყრილობას სრული იდილიისთვის მოუხდებოდა **ჰენრიხ ჰიმლერის, იოზეფ გებელსის და ადოლფ ჰიტლერის სულების გამოძახება!**

„იმედინიუსი“

**ზაალ ანჯაფარიძე**, *ანალიტიკოსი*



თუ ოცნებამ“ მოახერხა **აშშ-თან ურთიერთობის დალაგება** და მათგან ლეგიტიმაცია მიიღო, ეს ერთ-ერთი ფაქტორია, რაც მას **არ შეუქმნის აუცილებლობას, ახალი არჩევნები ჩაატაროს.**

„რეზონანსი“

დასაწყისი მე-7 გვერდზე



# მიხეილ ცაგარელი:

# ბიძინა ივანიშვილს ვურჩევდი, გამოვიდეს და აგვიხსნას, რა ხდება! ხალხში ძალიან ბევრი კითხვაა გაჩენილი და მისი ტელევიზიით გამოსვლა აუცილებელია!

მელ დაჯარიმებაზეა საუბარი?! პირდაპირ ციხეში უნდა უკრან თავი! მაშინ ვნახავდით, მივიდოდნენ თუ არა პარლამენტში. **ხაზარაძისთვის 50 ათასი ლარის გადახდა ერთი გადაფურთხებაა. ეს არის ჩვენი ხალხის დაცინვა!**

რას ნიშნავს „ოცნების" სიტყვები, დამნაშავე ნაციონალებს ახლა არ დავიჭერთ, საშუალებას მივცემთ თვითმმართველობის არჩევნებში მიიღონ მონაწილეობა და მერე გავასამართლებთო... სად არის ლოგიკა? **რა გამოდის — საშუალებას აძლევ, საკრებულოში თანამდებობა დაიკავოს და მერე დაიჭერ? ეს ხომ აბსურდის თეატრია?! გაუგებარია, რატომ ხდება სამთავრობო ცვლილებებიც.**

**— ყველა ცვლილება კონკრეტდება, რატომ და რისთვის ხდება.**

— დაუჯერებელია, **ირაკლი ღარიბაშვილი,** რომელიც ამდენი წელი პოლიტიკაში იყო, უზარმაზარი გამოცდილება შეიძინა, მთელმა მსოფლიომ გაიცნო, ერთ მშვენიერ დღეს დგება და გვემშვიდობება — აღარ მინდა პოლიტიკაშიო. თუ **ბიძინა ივანიშვილს** ჩაფიქრებული აქვს, რომ **ღარიბაშვილი** დააბრუნოს, როგორც ოპოზიციის ლიდერი, მოიგოს საკონსტიტუციო უმრავლესობა და სერიოზული ცვლილებები შეიტანოს კონსტიტუციაში, ეს გადაწყვეტილება გასაგები და მისაღებია, მაგრამ, თუ ის კლანურ ბრძოლას შეეწირა, არასწორია. ასეთი კადრების დაკარგვა სიკეთეს არც „ქართულ ოცნებას" მოუტანს და არც — ქვეყანას!

ფაქტობრივად, სიმართლე არ ვიცით. მთავრობა გვიმალავს თავისი გადაწყვეტილებების ნამდვილ არსს. სისულელეებს გვასმენინებენ ტელევიზიით — მიიღებს თუ არა მონაწილეობას ოპოზიცია თვითმმართველობის არჩევნებში და ა.შ. **რაში მაინტერესებს, რას იზამს ოპოზიცია?** რატომ მახვევენ თავზე ამ ოპოზიციას და მასმენინებენ დღეში 19-ჯერ მათი გეგმების შესახებ? სხვა სალაპარაკო და განსახილველი თემა ქვეყანაში არაფერია?!

„თუ ბიძინა ივანიშვილს ჩაფიქრებული აქვს, რომ ღარიბაშვილი დააბრუნოს, როგორც ოპოზიციის ლიდერი, მოიგოს საკონსტიტუციო უმრავლესობა და სერიოზული ცვლილებები შეიტანოს კონსტიტუციაში, ეს გადაწყვეტილება გასაგები და მისაღებია, მაგრამ, თუ ის კლანურ ბრძოლას შეეწირა, არასწორია!"





„ტრამპის მხრიდან ვერც საქართველოსადმი ვხედავ განსაკუთრებულ სიმპათიებს. ის, რომ პაპის დაკრძალვაზე მიხეილ ყაველაშვილს ხელი აუწია, ბევრს არაფერს ნიშნავს!"

**სად არის** ეკონომიკური, ფინანსური ცვლილებების საკითხები, **სად არის** საგანმანათლებლო ცვლილებები, რომელიც უკვე დაწყებული უნდა იყოს? **სად არის** სოფლის მეურნეობის საკითხები, რომელიც კატასტროფის წინაშე დგას?! **სად არის** დემოგრაფიული, სამედიცინო საკითხები? რატომ არაფერს ამბობენ, აფთიაქები მოსახლეობას რომ ფცქვნიან — არნახულად დიდი ფასები აქვს წამლებს, არადა, კაპიკად არ ვარგა?! **სად არიან** ახალი კადრები? რა ხდება მეცნიერებაში?! მთელი დღის განმავლობაში ჩახვეული გრამოფონივით რომ ატრიალებენ ერთსა და იმავეს — რა თქვა **ბვარამიამ, ხაზარაძემ** და ა.შ. ცოტა საკითხებია მოსაგვარებელი?!

კიდევ ერთხელ ვამბობ — ინფორმაციული კუთხით, ისეთივე ვაკუუმში ვართ, როგორც კომუნისტების დროს ვიყავით. კიდევ კარგი, რომ ინტერნეტტელევიზიები არსებობენ და მეტ-

## კვირგვინოსნები

**იაგო ხვიჩია**

*პარტია „გირჩის" ლიდერი*



**სალომე ზურაბიშვილი,** განსაკუთრებით საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ, **ტროლად ჩამოყალიბდა,** რომელიც ხან ერთ რამეს ამბობს, ხან — მეორეს და ისედაც ამ **თავგზააბნეულ ოპოზიციას კიდევ უფრო მეტად უბნევს თავგზას.**

„აიპრესი"

**ირაკლი ფავლენიშვილი**

*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



ნაციონალურ მოძრაობას აქვს ერთი გეგმა — **ბრძოლა დიქტატურის წინააღმდეგ და სისტემის დემონტაჟი.** სხვა გამოსავალი არ არსებობს.

„პირველი არხი"

**პაატა ბურჭულაძე**

*ოპოზიციონერი*



შევხვდი პოლიტიკურ პარტიებს და **ყველამ აიტაცა იდეა,** რომ ჩავატაროთ თვითმმართველობის და საპარლამენტო არჩევნები სექტემბერში, **არჩევნებს ტელეფონებით ჩავატარებთ.**

„პირველი არხი"

**მზია ამაღლობელი**

*„ბათუმელებისა" და „ნეტგაზეთის" დამფუძნებელი, პატიმარი*



**მოძალადეს ბოდიშს არ უხდიან — ეს მინდა, იცოდეთ ჩემი განწყობის დასადგენად.** რაც შეეხება **ახალი დანაშაულის ჩადენის რისკს,** სიმართლე გითხრათ, პირველი დღიდან, როცა ეს გაჟღერდა, **ვერ ვხვდები, რას ნიშნავს ჩადენა.** ბუნებით კრიმინალი არ ვარ.

„რეზონანსი"

ნაკლებად იქიდან ვიგებთ სიმართლეს. **რომ არა ისინი, ადამიანთა უფრო დიდ ნაწილს დააჯერებდნენ იმაში, რომ რუსეთი ოკუპანტია, უკრაინელები კი — გმირები!**

ფაქტია — რუსეთი არის მუდმივად მოტყუებული დასავლეთის მიერ. **როგორი მატყუარაც იყო ბაიდენი, ისეთივე მატყუარაა ტრამპი, ამერიკა არ იცვლება.** არაერთხელ აღვნიშნე და კიდევ ერთხელ დავაკონკრეტებ, **ეს არის დიფ სთეითის ორი სხვადასხვა ფრთა. ერთიც მატყუარაა და მეორეც!**

**— ტრამპი, რომელიც მშვიდობაზე საუბრობს, რუსეთს ატყუებს?**

**— ტრამპი მარტო რუსეთს კი არა, მთელ მსოფლიოს ატყუებს. ის ზოდიაქოთი ტყუპებია, რომელიც მატყუარა ნიშნების სამეულში შედის. დილით ერთს ამბობს, საღამოს — მეორეს. გაორებული და მერყევია.** ამიტომაც ყოველი მისი გამოსვლა მოულოდნელობებით არის სავსე. გადარია ხალხი. აღარ იცის, მის რომელ განცხადებას დაეყრდნოს, რას იზამს მეორე წუთს, თვითონაც არ იცის. შეიძლება ორი აბსოლუტურად განსხვავებული გადაწყვეტილება ერთდროულად მიიღოს.

როცა **ტრამპი** ამბობს — მშვიდობა გვინდაო, ამისთვის რაღაც ნაბიჯი ხომ უნდა გადადგას? ერთი მხრივ, ამ სიტყვებს ამბობს, მეორე მხრივ, კი უკრაინას ფულს და იარაღს უგზავნის, როგორც ეს **ბაიდენის** პრეზიდენტობის დროს ხდებოდა. ცერეუს ოცივე ბაზა მუშაობს, არცერთი სპეციალისტი არ გამოუყვანიათ უკრაინიდან. მშვიდობის დასამყარებლად მოლაპარაკებას მთავაზობდე და ამ დროს ჩემს მტერს აიარაღებდე, ეს არის თვალში ნაცრის შეყრა?! ვის ატყუებს მშვიდობით?

თუმცა, ფაქტია, რომ დღეს ძველებურად რუსეთს ვეღარ აბოლებენ. აღარ გამოსდით ის ნომერი, რასაც წლების მანძილზე უკეთებდნენ, რადგან რუსეთის სათავეში **ელცინი** და **გორბაჩოვი** კი არა, **ვლადიმერ პუტინია.**

რუსეთს საერთოდ არ სჭირდებოდა ომი, აიძულეს! ჯერ კიდევ 90-ან წლებში დაიდო ხელშეკრულება ამერიკას, ევროპასა და რუსეთს შორის, რომ ნატო არ გაფართოვდებოდა. ვინ დაარღვია ეს ხელშეკრულება, რუსეთმა? რატომ არ იღებს ამაზე ხმას არავინ, მით უფრო ის ხალხი, ვინც უკრაინის დროშას აფრიალებს?! რატომ არ ამბობენ სახელმწიფო მოხელეები, რომ რუსეთი მოატყუეს?! დღეს უკვე რუსეთი აღარაფერს დათმობს. ამერიკას და ევროპას იმ ტერიტორიების აღიარება მოუწევს, რაც ახლა მის ხელშია!

**ტრამპის მოსვლას მივესალმე იმიტომ, რომ ლგბტ პროპაგანდა დაგმო და ტრადიციული ელემენტები შემოიტანა, მაგრამ მეორე ხელით სიგიჟეებს სჩადის. მასში არსებულმა ტყუპმა აურია — კანადა, გრენლანდია, მექსიკა და პანამის არხი მინდაო.** როგორ შევაქო ამ ამბავში?! ტრამპის მხრიდან ვერც საქართველოსადმი ვხედავ განსაკუთრებულ სიმპათიებს. ის, რომ პაპის დაკრძალვაზე მიხეილ ყაველაშვილს ხელი აუწია, ბევრს არაფერს ნიშნავს. თუ ვინმე ფიქრობს, რომ ეკონომიკის მინისტრის სტუმრობა იყო ამერიკაში დადებითი მოვლენა, აქაც ძალიან შემცდარა.

**— რატომ?**

— ის იმ საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენლებს შეხვდა, რომლის გამოისობითაც საქართველო ვერ ვითარდება. **მსოფლიო სავალუტო ფონდი ჩვენი ყველაზე დიდი უბედურებაა — მხოლოდ იმ თანხებს გვაძლევს, რომელიც საჭიროა არსებობისთვის, ელემენტარული ინფრასტრუქტურის მოსაწყობად, მაგრამ ერთ თეთრს არ დებს დარგების განვითარებაში.** თანხებს არ გვაძლევს ფაბრიკა-ქარხნების ასაშენებლად, მეტიც, უზარმაზარ პროცენტებს გვიწესებენ, რომ ქვეყანა წელში არ გაიმართოს და მისი მართვა ადვილი იყოს. როცა ამერიკაში მიდის ეკონომიკის მინისტრი და ისევ საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელებს ხვდება, კარგს არაფერს მაფიქრებინებს. მათთან რა გვინდა? პირიქით, შორს უნდა ვიყოთ და ჩვენი ეკონომიკა განვავითაროთ. მათთან შეხვედრით კი არ ავშენდებით, დავიქცევით, როგორც აქამდე ვიყავით დაქცეულები.

**— მაინც, როგორ უნდა მოიქცეს საქართველოს ხელისუფლება ამ პოლიტიკურ მოცემულობაში?**

— ისე, როგორც იქცევა აზერბაიჯანის ხელისუფლება.



## „მიმაჩნია, რომ დროებითი საგამოძიებო კომისიაც ნელა მუშაობს და სპეციალურად წელავენ დროს. წესით, კომისიას უკვე უნდა ჰქონდეს რიგ საკითხებთან დაკავშირებით დასკვნები დადებული!“

# „გაუგებარია, რატომ ელოლიავებიან იმ 50 კაცს, რომელიც რუსთაველის გამზირს კეტავს და სხვა მოქალაქეებს დისკომფორტს უქმნის?!“



## „საქართველოს კონსტიტუციას არ დაემორჩილნენ და რომელ დაჯარიმებაზეა საუბარი?! პირდაპირ ციხეში უნდა უკრან თავი! ხაზარაძისთვის 50 ათასი ლარის გადახდა ერთი გადაფურთხებაა!“

## სავალუტო ფონდთან აზერბაიჯანს არანაირი კავშირი არა აქვს, მაგრამ ეკონომიკურად წინ მიდის. საქართველოს გზაც ეს უნდა იყოს და არა ამ ფონდებთან თანამშრომლობა!

## სად მიძვრება საქართველო? რა ჯანდაბა გვინდა ევროპაში და ამერიკაში, როცა მათ უბედურების მეტი არაფერი მოაქვთ? მერე რა, რომ კარგად ცხოვრობენ, ბოროტები და ფეოდალები არიან, დაკაბალებული სახელმწიფოების უბედურებაზე ააშენეს თავიანთი ბედნიერება!

ახლა არ გამოვდივარ ხელისუფლების გამალებული კრიტიკით მხოლოდ იმიტომ, რომ არ ვიცი სიმართლე ბოლომდე, რით არის მათი საქციელი განპირობებული. თუ ეს **ყველაფერი მათი უნიათობით ხდება, მე ვიქნები პირველი კრიტიკოსი და მტერი. თუ თამაში მიდის და მსგავსი ნაბიჯები ისევ საქართველოს ინტერესებისთვის იდგმება, მაშინ მზად ვარ, მოვითმინო. ცუდი ის არის, რომ მთავრობა არაფერს გვეუბნება და საგონებელში ვართ.**

**ბიძინა ივანიშვილს** ვურჩევდი, გამოვიდეს და აგვიხსნას, რა ხდება! თუ არ მიაჩნია მიზანშეწონილად დეტალების გამხილება, ესეც გვითხრას. ხალხში „ოცნების“ მისამართით ძალიან ბევრი კითხვაა გაჩენილი და მისი ტელევიზიით გამოსვლა აუცილებელია!

წინა ინტერვიუთი საზოგადოებამ ბევრი რამ გაიგო, კარგად ახსნა ამერიკის ელჩისა და დიფ სთეითის მოქმედებები, ისიც, თუ რატომ ვერ იჭერდნენ ნაცმოძრაობის აქტივისტებს... ახლაც აგვიხსნას, რატომ ვტკეპნით ერთ ადგილს... **სხვა შემთხვევაში, ნუღარ ექნება „ოცნებას“ იმედი, რომ თვითმმართველობის არჩევნებზე ხალხი მივა და გვერდით დაუდგება.**

ბიძინა ივანიშვილს კარგი ინტუიცია აქვს, მას ჩვენზე გაცილებით მეტი ინფორმაცია გააჩნია და ერთადერთი ამის იმედი მაქვს. მჯერა მისი პატრიოტიზმის და მაქვს შინაგანი რწმენა, რომ არ მისცემს მტრებს საქართველოს დანგრევის საშუალებას!

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***

## კვირგვინოსნები

**ლაშა გეგეჭკორი**
*„ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს“ მუნიციპალური თავშესაფრის უფროსი*



**„ბორჯომის ვაგზლის ბაზრობა“** ეკუთვნის **„თიბისი ბანკის“** მიერ დაფუძნებულ სააქციო საზოგადოებას **„თბილისი ცენტრალი“.** აღნიშნული ტერიტორია კი **49-წლიანი იჯარით** აღებული აქვს **„თბილისი ცენტრალს“** საქართველოს რკინიგზისგან.

**კახი კალაძე რატომ არ მივიდა** ხანძრის ადგილზეო — „ტვ პირველი“ რომ კითხულობს, **მამუკა ხაზარაძე რატომ არ მივიდა,** ჩემო „ობიექტურებო“...

„რეპორტიორი“

**ამირან სალუქვაძე**
*სამხედრო ექსპერტი*



**ხაზარაძეს უზარმაზარი ბაზრობა დაეწვა,** რომელიც **სააკაშვილმა ნახევარი საუკუნით გადასცა,** ასობით ადამიანი დაზარალდა, ეს და **ელისაშვილი** ტყე-ტყე დასეირნობენ. დაზარალებულების პრობლემებზე მერია და მთავრობა მუშაობენ. **იურიდიული საფუძველი უნდა მოინახოს, შეუწყვიტონ არენდის ხელშეკრულება.**

„რეპორტიორი“

**ლევან ხაბეიშვილი**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



კარგად ორგანიზებული, ერთობლივი **სახალხო აჯანყება** თავისი თავდაცვითი, წინააღმდეგობრივი მოძრაობით — ამ შემთხვევაში, **უპირობოდ გავარღვევთ!**

„რეზონანსი“

**გრიგოლ გეგელია**
*„ლელო — ძლიერი საქართველოს“ წევრი*



პარტია, რომელიც **ხალხის მიერ აიკრძალება** პოლიტიკური კუთხით, **ეს კრიმინალურ ბანდად ფორმირებული „ქართული ოცნებაა“.**

„რეზონანსი“




# ელიზბარ ჯაველიძე:

# მოვუწოდებ ქალბატონ თეა წულუკიანს – პარლამენტის საგამოძიებო კომისიის სხდომაზე გამოიძახოს ცხონებული გურამ შარაძის ქალიშვილი რუსუდან შარაძე, რომელმაც მამამისის მკვლელობის შესახებ ყველაფერი იცის!



***ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების განათლების მინისტრი, ცნობილი მწერალი და კრიტიკოსი, აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე საქართველოში არსებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებას ეხმიანება და თეა წულუკიანის საპარლამენტო-საგამოძიებო კომისიას საგანგებოდ მიმართავს:***

— თეა წულუკიანს, როგორც ეროვნულ მოღვაწეს, უნიჭიერეს ქალბატონსა და საქართველოს კულტურის საუკეთესო მინისტრს, უდიდეს პატივს ვცემ. დიახ, არაფერი შემშლია — **საქართველოს კულტურის მინისტრად დღესაც თეა წულუკიანს მივიჩნევ!** ამ ქალბატონის თავმჯდომარეობით შექმნილმა კომისიამ კიდევ ერთხელ განგვაცდევინა ის თავზარდამცემი ამბავი, რაც სააკაშვილის მმართველობის დროს საქართველოში ხდებოდა. მართლაც, შეუძლებელია, ადამიანმა გულგრილად უყუროს იმ ყველაფერს, რასაც კომისიის წინაშე გამოსული ადამიანები ლაპარაკობენ. **სააკაშვილმა** უამრავი ბოროტება ჩაიდინა, მაგრამ მთავარი, რაც მან ქვეყანას ავნო, მაინც მეცნიერების განადგურება და მოსპობა იყო.

საერთოდ, მეცნიერების განადგურება ნიშნავს განათლების განადგურებას. **სააკაშვილმა ერთ დღეს — 700 მეცნიერ-თანამშრომელი, ხოლო მეორე დღეს დამატებით 500 მეცნიერი უატესტაციოდ, ყოველგვარი სჯა-ბაასისა და განხილვის გარეშე გამოყარა დედაუნივერსიტეტიდან! გააუქმეს ილიას, ვაჟას, გალაკტიონის კაბინეტები და, ფაქტობრივად, უნივერსიტეტს მეცნიერება ჩამოაშორეს**. ეს უკვე უტყუარი ნიშანი იყო იმისა, რომ მეცნიერებას უტევდნენ.

საერთოდ, საქართველოში, კომუნისტების დროიდან მოყოლებული, 50 ათასი მეცნიერი ცხოვრობდა. დღეს ეს რიცხვი დაახლოებით 2 ათას კაცზეა ჩამოსული! ყველაფერი შეგნებულად და მიზანმიმართულად მოხდა, რადგან ილიასეული „მამული, ენა, სარწმუნოების“ დაცვა-შენარჩუნება განათლებისა და მეცნიერების გარე-




რუსუდან შარაძე

## „ცხონებული გურამ შარაძე სააკაშვილმა ორგზის დააპატიმრა და რომ ვერ გატეხა, მერე სანიმუშოდ მოკლა!“

უნდა ვუთხრა, როცა კაცს ხელფეხი აქვს შეკრული, რადგან თითქმის ყველა საკვანძო თანამდებობაზე ნაცები სხედან? მას ეს კადრები — გაქანებული მიშისტები — იქ დახვდა და ხელს ვერ კიდებს. თან, იცით, ისინი როგორი ნაცები არიან? იმით რომ ამაყობენ, სააკაშვილთან ერთად სურათი მაქვს გადაღებული და ტელევიზიით ვარ გამოსულიო!

გარდა იმისა, რომ მეცნიერები და ლაბორატორიები შეზღუდეს, სააკაშვილი ბოლოს იქამდეც კი მივიდა, რომ აკადემიკოსებს ქუჩაში დაუწყო დახვრეტა. აი, მაგალითად, ცხონებული **გურამ შარაძე** სააკაშვილმა ორგზის დააპატიმრა და რომ ვერ გატეხა, მერე სანიმუშოდ მოკლა, რადგან გურამს საქართველო უყვარდა!

**— თქვენ, მგონი, არც კი მიგაკარეს ბატონი გურამის ცხედარს, რომელიც რამდენიმე საათის განმავლობაში ქუჩაში, ასფალტზე იდო, რათა**

ამ საქმეებს არ ხსნიან! მოგეხსენებათ, გურამ შარაძე 2007 წლის 20 მაისს მოკლეს... დღედღეზე ველოდები გურამის ქალიშვილის ჩამოსვლას და **მოვუწოდებ ქალბატონ თეა წულუკიანს, პარლამენტის საგამოძიებო კომისიის სხდომაზე გამოიძახოს რუსუდან შარაძე,** რომელმაც მამამისის მკვლელობის შესახებ ყველაფერი იცის.

**— რუსუდანს გამოიყვანენ კომისიის წინაშე?**

— აი, ამაშია საქმე! ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ რუსუდან შარაძე კომისიის წინაშე გამოვიდეს და გურამ შარაძის მკვლელობის შესახებ ყველაფერი თქვას! მე ასევე მოვუწოდებ თეა წულუკიანის კომისიას, მოუსმინოს მეცნიერებათა აკადემიას!

**— მაინც ვის?**

— აი, მაგალითად, ბატონმა **გიორგი გოგოლაშვილმა** და ბატონმა **ავთანდილ არაბულმა** დეტალურად იციან ყველაფერი მომხდარის შესახებ. ბატო-

შე შეუძლებელია!

**— დედაუნივერსიტეტის მსგავსად, სააკაშვილმა კარგი დღე არც მეცნიერებათა აკადემიას დააყარა!**

— **სააკაშვილმა და კახა ლომაიამ** მეცნიერებათა აკადემია დაშალეს, რომელსაც ინსტიტუტები ჩამოართვეს და შენობები გაუყიდეს! აი, მაგალითად, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის რვასართულიანი შენობა, რომელიც დიდმა მეცნიერმა **გიორგი წერეთელმა** ხელისუფლებას ააშენებინა და იქ ვიზრდებოდით, მეცნიერებათა აკადემიას ჩამოართვეს და გადასცეს „ილიაუნს“... **კახა ლომაიას „დამსახურებით“, „ილიაუნი“ არის ჭაობი, სადაც ანტიქართველებს ზრდიან!** იცით, რა მაკვირვებს? სოროსი, რომლის ბუდეც არის „ილიაუნი“, გააძევეს რუსეთიდან, უნგრეთიდან, დიდი ბრიტანეთიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან და საქართველოში რა გახდა ამ ფონდის დაკეტვა და მისი აქედან გაძევება? ჩვენ როგორ უნდა მოვიპოვოთ წარმატება და გავაერთიანოთ ქვეყანა, როცა იმის თავიც კი არ გვაქვს, რომ „სოროსის ფონდი“ საქართველოდან გავაგდოთ? დედაუნივერსიტეტის რექტორს **ჯაბა სამუშიას** როგორ უნდა დავემდუროთ ან რა **მთელ ქალაქს ენახა ეს საცოდაობა!**

— დიახ, არ მიმიშვეს, ბოლოს გამაფრთხილეს კიდეც — **თუ არ მოისვენებ, შენც გურამ შარაძის გზას გაგიყენებთო!** გურამ შარაძის სურათი მაგიდაზე მიდევს, რადგან ის შეწირულია. ფაქტია, ზვიადიც მოკლეს და გურამიც, ორივეს მკვლელობა გამოძიებულია და ყველამ ყველაფერი იცის, მაგრამ, ხომ ხედავთ, თავს არავინ იწუხებს და

## კვირგვინოსნები

**გია ვოლსკი**
*პარლამენტის ვიცე-სპიკერი*



**ირაკლი ღარიბაშვილი** არამარტო ღირსეული ადამიანი, ქართველი და მეოჯახეა, არამედ **მაღალი დონის სპეციალისტი და თავისი საკითხების ექსპერტია.** მე არ გამოვრიცხავ, უახლოეს პერიოდში თუ არა, **გარკვეული დროის შემდეგ იგი პოლიტიკაში ვიხილოთ.**

„რეზონანსი“

**არჩილ გამზარდია**
*პოლიტოლოგი*



**ღარიბაშვილი** შეიძლება ჩაითვალოს ისეთ პოლიტიკოსად, რომელსაც **მეტ-ნაკლებად სახე შეუნარჩუნდა, სანქცირებულიც არ არის.** თავის ამომრჩეველში ზომიერად და დადებითი რეპუტაციით სარგებლობს. სადაც „ქართული ოცნების“ ძალაუფლება ვრცელდება, **ყველგან სრული კონტროლი აქვს კობახიძეს.** შესაძლოა, **ივანიშვილი კობახიძის გავლენის ქვეშ აღმოჩნდეს,** მართალია, ეს ვარიანტი ახლა კომიკურად ჟღერს, მაგრამ ნათქვამია — **საუკეთესო ქურდი არის ის, ვისზეც ეჭვი არ მიაქვთ.**

„ახალი თაობა“

**მამუკა გამყრელიძე**
*პოლიტოლოგი*



ოპოზიციის მოქმედებებიდან ძალიან კარგად ჩანს, **ბიძინამ ვის, როდის, რამდენი და რანაირად მისცა!** აბსოლუტურად განულებული და უვარგისი ოპოზიცია გვყავს! **აი, ღარიბაშვილი თუ შექმნის ოპოზიციას, მერწმუნეთ, ისევ ის გაიმარჯვებს.**

„ახალი თაობა“

**ვაჟა ბერიძე**
*ანალიტიკოსი*



**ღარიბაშვილი** აქტიურად აღარ მონაწილეობდა პოლიტიკის შემუშავებასა და რეალიზებაში. **ის წავიდა და შეიძლება ახალი პოლიტიკური ოპოზიციის ლიდერის რანგში დაბრუნდეს. ივანიშვილისგან მოსალოდნელიც იყო ასეთი მანევრი.**

„კვირის პალიტრა“



# „ჩემთვის ირაკლი ღარიბაშვილის პოლიტიკიდან წასვლა თავზარ-დამცემი ამბავია!“

ნი ავთანდილი უკვე მზად არის, კომისიის წინაშე წარდგეს, ხოლო ბატონ გიორგის, რომელსაც სააკაშვილის ხელისუფლება დაჭერას უპირებდა და სასამართლოებში დაატარებდა, საქართველოში განათლების, მეცნიერების, უნივერსიტეტის და მეცნიერებათა აკადემიის ნგრევის შესახებ წიგნი აქვს დაწერილი.

იცით, გული რაზე მტკივა? **გია ხუბუა,** რომელიც ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორობიდან გაუშვეს, **ბიძინა ივანიშვილის** მიერ დაარსებულ და აშენებულ უნივერსიტეტს როგორ ააყვავებდა, როცა ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტი დააქცია და დაღუპა?

**ხუბუა** დასაჭერი იყო და ბიძინა ივანიშვილის უნივერსიტეტის რექტორად ვინ დანიშნა?

**— განათლების რეფორმაზე ბევრს საუბრობენ, მაგრამ ჯერჯერობით საქმე წინ ვერ მიდის!**

— დარწმუნებული ვარ, ირაკლი კობახიძეს გულით უნდა განათლების სისტემაში რეფორმის გატარება, მაგრამ ვინ უნდა გაატაროს ეს რეფორმა? ან ვინ უნდა შეცვალოს ეს უვარგისი და საშინელი სახელმძღვანელოები? თუ ამ საქმეში მეცნიერებათა აკადემია არ იქნება ჩართული, ვინ გაატარებს განათლების რეფორმას — მეხინკლეები თუ ხაჭაპურის მცხობელები? ან კიდევ ერთი ამბავი რომ არის ატეხილი ამ ბოლო დროს — არიქა, სოფლის მეურნეობაში ახალი ტერმინები, ახალი ლექსიკური ერთეულები გვჭირდებაო! — ეს ტერმინები ვინ უნდა შექმნას, ენის სპეციალისტებმა არ უნდა შექმნან? მართალია, დღეს გაზეთებს ნაკლებად კითხულობენ, მაგრამ ვიცი, რომ „ასავალ-დასავალს“ მთელი საქართველო და, მათ შორის, ხელისუფლებაც კითხულობს! **ამიტომ ჩემი თხოვნაა, ხელისუფლებამ ყურად იღოს ჩვენი საუბარი და თეა წულუკიანის კომისიაზე გამოიძახონ როგორც რუსუდან შარაძე, ისე მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენლები!**

**— როგორ აფასებთ ირაკლი ღარიბაშვილის პოლიტიკიდან წასვლას?**

— ჩემთვის **ირაკლი ღარიბაშვილის** პოლიტიკიდან წასვლა თავზარდამცემი ამბავია! **ირაკლი ღარიბაშვილი** ეროვნული კაცია. სამი რამ თქვა მაგან უმნიშვნელოვანესი. პირველი — ქალი ქალია და კაცი — კაციო და ამის გამო კინაღამ ჩაქოლეს ამ გარყვნილმა სოდომისტებმა. მეორე — **განათლება დიდგორიდან უნდა დაიწყოსო! მესამე — საქართველო მოიქცევა ისე, როგორც ეს ქართველი ერის სახელმწიფო ინტერესებშიაო!** აი, ამიტომაც არ უნდოდათ...

## რატომღაც მგონია, რომ ჩვენი ხელისუფლება ვერ ბედავს და ამ მოღალატე ნაცების ასალაგმავად საქმე ბოლომდე ვერ მიჰყავს!

**— ზვიად გამსახურდიას მკვლელობას ეს ხელისუფლება, აი, თუნდაც თეა წულუკიანის კომისია, რატომ არ იძიებს?**

— აშკარაა, რომ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის გახსნას რაღაც დიდი ძალა ამუხრუჭებს! ეს პოლიტიკური ნების საკითხია, თორემ მრავალგზის მითქვამს, რომ ზვიად გამსახურდიას მკვლელობა, ფაქტობრივად, გახსნილია!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***





პოლ მასარო და ჯო უილსონი

# ეს კაცი ნაგავია!

***ცნობილმა რუსმა სატელეფონო ხულიგნებმა, ანუ პრანკერებმა — ვოვანმა და ლექსუსმა, რომლებიც კონკრეტულ პოლიტიკოსებს ან პოლიტიკასთან დაკავშირებულ საჯარო პერსონებს სხვისი სახელით ურეკავენ, აბითურებენ და კულუარულ საიდუმლოებებს ცინცლავენ, ამჯერად მახეში ოდიოზური ამერიკელი კონგრესმენის ჯო უილსონის მრჩეველი და „ჰელსინკის კომისიის“ აპარატის უფროსი პოლ მასარო გააბეს.***

## დიფ სთეითის ნაგავი მასარო რკინის წვეტიან მესერზეა წამოსაცმელი!

შეგახსენებთ, რომ სულ ცოტა ხნის წინათ იგივე პრანკერები ლეგენდარული რუსი მოჭადრაკის — **გარი კასპაროვის** სახელით ესაუბრნენ საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს **სალომე ზურაბიშვილსა** და ყოფილ სახალხო დამცველს **უჩა ნანუაშვილს,** რომლებმაც ბევრი საინტერესო რამ დაფქვეს და დაადასტურეს, რომ საქართველოს ხელისუფლების დამხობის მიზნით აგორებული საპროტესტო მოძრაობა უცხოეთიდან არის დაფინანსებული.

**ზურაბიშვილსა და ნანუაშვილთან** ერთად, **ვოვანისა და ლექსუსის წერა გახდა კოლექტიური ნაცმოძრაობის მოკავშირე ამერიკელი კონგრესმენი, საქართველოსთან დაკავშირებული მტრული საკანონმდებლო ინიციატივის — ე.წ. მეგობარი აქტის თანაავტორი ჯო უილსონი,** რომელსაც პრანკერებმა უკრაინის ყოფილი პრეზიდენტის **პეტრო პოროშენკოს** სახელით დაურეკეს.

და აი, გასულ კვირას **ვოვანისა და ლექსუსის** სატელეფონო ხულიგნობის სამიზნედ **ჯო უილსონის** მრჩეველი **პოლ მასაროც** იქცა, რომელსაც ეგონა, რომ **პეტრო პოროშენკოს** ადმინისტრაციის ყოფილ მაღალჩინოსანს **კონსტანტინ ილიესიევს** ესაუბრებოდა და გუდას პირი მოხსნა.

კერძოდ, **უილსონის მრჩეველმა და „ჰელსინკის კომისიის“ აპარატის უფროსმა მასარომ** პრანკერებთან საუბარში განაცხადა — **დიდ ძალისხმევას ვიჩენთ, რომ საქართველოში საპროტესტო მუხტი ხელახლა გავაღვივოთ და იმედი გვაქვს, მომიტინგეები წარმატებას მიაღწევენო!**




მანვე დაადასტურა, რომ აწ უკვე **ტრამპის** ადმინისტრაციის მიერ ლიკვიდირებული **„იუსაიდი“ და ნედი,** ანუ დემოკრატიის ეროვნული ფონდი საქართველოში ლიბერალური იდეოლოგიის გასავრცელებლად დიდ ფულს ხარჯავდნენ.

როცა **პოროშენკოს** ადმინისტრაციის ყოფილი მაღალჩინოსნის სახელით შენიღბულმა პრანკერებმა **კონგრესმენ უილსონის** მრჩეველს უთხრეს — **ვიმედოვნებდით, რომ საქართველოში უკრაინული მაიდანი განმეორდებოდაო, მასარომ უპასუხა — ეს ჯერ კიდევ შესაძლებელიაო!**

ესე იგი, **ჯო უილსონი,** მისი მრჩეველი **მასარო** და **გლობალური ფარული დასის, ანუ დიფ სთეითის** სხვა პოლიტიკური ნაგვები ჯერ კიდევ მუშაობენ იმაზე, რომ საქართველოში **„კიევური მაიდანი“,** ანუ სისხლიანი სახელმწიფო გადატრიალება მოაწყონ.

მოკლედ,

კიდევ ერთხელ გამოჩნდა და დამტკიცდა, რომ **ფარული დასის ნაგვები** საქართველოს შიდა საქმეებში თავიანთი ბინძური ხელების ფათურს არ წყვეტენ, რათა ქართულ სახელმწიფოს წირვა გამოუყვანონ და ქვეყანა ისეთ კატასტროფამდე მიიყვანონ, როგორიც **გლობალურმა ომის პარტიამ** უკრაინას დაატეხა თავს.

სწორედ ამის გამო, ეს ვიღაც **მასარო და მისნაირი ნაგვები** რკინის წვეტიან მესერებზე არიან წამოსაცმელი ისე, როგორც **დიდი დავით აღმაშენებელი** ძელზე გასმით სჯიდა ქართული სახელმწიფოს მტრებს!

აბა, **მასარო და მისნაირი** ნაგვები სხვანაირად არ მოისვენებენ და არც საქართველოს მოასვენებენ!

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**გოჩა მირცხულავა**
*ანალიტიკოსი*



თუ **გომელაურს** გაუშვებენ, მაშინ შესაძლოა, **ანზორ ჩუბინიძე** ვიხილოთ **შინაგან საქმეთა მინისტრად,** რომელსაც ასე ენდობა **ბიძინა ივანიშვილი.** მე არ მგონია, რაიმე გადაადგილებები მოხდეს შსს-ში, რადგან **გომელაურზე უფრო სანდო ივანიშვილს ამ ეტაპზე არავინ არ ჰყავს!**

„ახალი თაობა“

**ვახტანგ მაისაია**
*პოლიტოლოგი*



მე **ყაველაშვილს პრეზიდენტად არ ვცნობ.** პოლიტიკური მმართველი ძალა დღეს ჰგავს ცნობილი ფილმის **„მოღრეცილი სარკეების“** პერსონაჟებს. მათ პოლიტიკური ზღაპარი შექმნეს და ამ ზღაპარს **„ფაჩიკოს გარმონოვით“** ავითარებენ.

„ახალი თაობა“

**ნიკოლოზ სამხარაძე**
*პარლამენტარი*



**„დოიჩე ველემ“ თამარ კინწურაშვილისთვის პრიზის მინიჭებით** ისეთი ტრაექტორია აიღო, რომ მოლოდინი მაქვს, შემდეგი ამ პრიზს **მარგარიტა სიმონიანი** მიიღებს.

„პირველი არხი“

**ლევან მახაშვილი**
*პარლამენტარი*



თამარ კინწურაშვილი **დეზინფორმაციის ერთ-ერთი ფუძემდებელი იყო** და შეაფასეს, როგორც მედიის დამოუკიდებლობის, თავისუფლების ერთ-ერთი გმირი, **ეს ქვეყნის დაცინვაა.**

„პირველი არხი“

***2025 წლის 29 აპრილს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის სხდომაზე საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს, პოეტ მაყვალა გონაშვილს მოუსმინეს, რომელმაც 2007 წლის 21 აგვისტოს სააკაშვილის რეჟიმის მიერ მწერალთა კავშირის შენობის დარბევასა და, ზოგადად, ანტიეროვნული ნაცმოძრაობის მიერ ეროვნული მწერლობის წინააღმდეგ განხორციელებულ რეპრესიებზე ისაუბრა.***



# მაყვალა გონაშვილი:

# მწერალთა კავშირის შენობა ეკლებით შემოვლობეთ და მაშინ ვთქვი, რომ „ვარდების რევოლუციიდან“ ეკლებიღა დარჩა!

მან კომისიის წინაშე გამოსვლა იმაზე საუბრით დაიწყო, რომ ახალგაზრდების ნაწილი მწერალთა კავშირს საბჭოთა გადმონაშთად თვლის, არადა, მისი დაარსების იდეა საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესად წოდებულ და ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხილ **ექვთიმე ღვთისკაცს — დიდ ექვთიმე თაყაიშვილს** ჯერ კიდევ 1916 წელს ჰქონდა, როცა საბჭოთა კავშირი ბუნებაში არ არსებობდა. მის იდეას ხორცი ერთი წლის შემდეგ — 1917 წელს შეესხა და **გალაკტიონ ტაბიძემ, ტიციან ტაბიძემ, პაოლო იაშვილმა, მიხეილ ჯავახიშვილმა** და ქართული ლიტერატურის სხვა კორიფეებმა საქართველოს მწერალთა კავშირი დააფუძნეს.

**მაყვალა გონაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ თბილისში, ივანე მაჩაბლის ქუჩის 13 ნომერში მდებარე შენობა, საიდანაც სააკაშვილის რეჟიმმა საქართველოს მწერალთა კავშირი ძალისმიერი სპეცოპერაციით გამოდევნა, ქართველ მწერლებს ცნობილმა მეწარმემ, საზოგადო მოღვაწემ და ქველმოქმედმა აკაკი ხოშტარიამ 1920 წელს აჩუქა.**

მაშ, რა ხელი ჰქონდა სააკაშვილის ხელისუფლებას ქართველი მწერლებისათვის თითქმის საუკუნის წინათ ნაჩუქარ ისტორიულ შენობასთან?

**რას ემსახურებოდა ნაციონალური მოძრაობის ეგზეკუცია მწერალთა კავშირში** — დედაქალაქის პრესტიჟულ უბანში არსებული მატერიალური ქონების ხელში ჩაგდებას თუ ქართველი მწერლების დასჯას იმის გამო, რომ მათი უდიდესი ნაწილი სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლას დაფითა და ნაღარით არ შეეგება?

*მაყვალა გონაშვილი:*

*— „ვარდების რევოლუციით“ მოსულ ხელისუფლებას ქართველი მწერლები ტაშითა და ვარდებით არ დახვდნენ. 2004 წელს **მწერალთა კავშირის იმდროინდელმა თავმჯდომარემ,** რომელმაც **„გიჟი სახურავზე“** დაბეჭდა, თანამდებობა დატოვა, რადგან იცოდა, რომ მწერალთა კავშირს ძალიან ცუდი დღეები ელოდა.*

**მაყვალა გონაშვილს** არ დაუსახელებია, მაგრამ მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, რომელიც ხელისუფლებაში სააკაშვილის მოსვლისთანავე პოსტიდან გადადგა, ცნობილი მწერალი, კრიტიკოსი და გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარი რედაქტორი **თამაზ წივწივაძე** გახლდათ. იგი სააკაშვილსა და ნაციონალურ მოძრაობას ჯერ კიდევ მაშინ ამხელდა და ამათრახებდა, როცა ისინი ოპოზიციაში იყვნენ, ხოლო 2004 წელს, სააკაშვილი პრეზიდენტი რომ გახდა, **„ლიტერატურულ საქართველოში“** გამოაქვეყნა თურქი მწერლის **აზიზ ნესინის მოთხრობა „სახურავზე გიჟია“,** რაც **თამაზ წივწივაძის** მხრიდან პირდაპირი მინიშნება იყო იმაზე, რომ ნაცბელადის სახით ქვეყნის სათავეში შეურაცხადი მმართველი მოვიდა.

**თამაზ წივწივაძე** შიშობდა, რომ სააკაშვილს მისადმი პიროვნული ანტაგონიზმის გამო მთლიანად მწერალთა კავშირზე არ ეყარა ჯავრი და პოსტიდან სწორედ ამიტომ გადადგა, მაგრამ ამან ქართველ მწერალთა ორგანიზაცია ნაცრეჟიმის სადამსჯელო სპეცოპერაციისაგან მაინც ვერ გადაარჩინა.

*მაყვალა გონაშვილი:*

*— მივიღეთ წერილი, რომ მწერალთა კავშირის შენობა ეკონომიკის სამინისტროს უნდა გადასცემოდა. მეც დამიბარეს პარლამენტში და მითხრეს — შენობას დაკარგავთ, მაგრამ ნუ ინერვიულებთ, ფონდს შევქმნით და თავმჯდომარედ თქვენ დაგნიშნავთო. იმ დროისათვის პარლამენტში კომიტეტს ხელმძღვანელობდა ბატონი **ნოდარ გრიგალაშვილი,** რომელიც თავადაც მწერალი იყო და დარწმუნებული ვარ, მისთვისაც არ იქნებოდა მისაღები მწერალთა კავშირის თავზე ასეთი შავი ღრუბლების მოგროვება. ვუთხარი — მე და ბატონი **ვაჟა აზარაშვილი (კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე. რედ.)** იმისათვის ვიბრძვით, რომ მწერალთა კავშირისა და კომპოზიტორთა კავშირის შენობები არ გაიყიდოს-მეთქი. ბატონმა **ნოდარ გრიგალაშვილმა** მიპასუხა, რომ ეს საკითხი უკვე გადაწყვეტილი იყო და ჩვენ ვერაფერს შევცვლიდით.*

**მაყვალა გონაშვილის** თქმით, სააკაშვილის ხელისუფლებამ საქართველოს მწერალთა კავშირს არამხოლოდ **აკაკი ხოშტარიას** მიერ 1920 წელს ნაჩუქარი, მაჩაბლის ქუჩის 13 ნომერში მდებარე ისტორიული სახლი წაართვა, არამედ — იმავე ქუჩაზე არსებული მეორე შენობაც, რომელიც ქართველ მწერლებს საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა **ზვიად გამსახურდიამ** სახელმწიფოს სახელით აჩუქა.

**მას შემდეგ, რაც მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობამ ეკონომიკის სამინისტროსაგან წერილი მიიღო — შენობა დაცალეთო, განწირული მწერლები ხავსს ჩაეჭიდნენ და სასამართლოში სარჩელი შეიტანეს იმ იმედით, რომ, სანამ სამართლებრივი დავა არ დასრულდებოდა, ხელისუფლება შენობის დაუფლებისაგან თავს შეიკავებდა.**

*მაყვალა გონაშვილი:*

*— მწერალთა კავშირში ღამეს ვათევდით ქართველი მწერლები და ჩვენთან ერთად იყვნენ **მეუფე თადეოზი,** ბატონი **რეზო ჩხეიძე,** ბატონი **გივი თოიძე** და მთელი საქართველოს რჩეული შვილები. როცა გვითხრეს, რომ ჩვენი საქმე სასამართლომ წარმოებაში მიიღო, იმ ღამეს პირველად დავტოვეთ შენობა და ვითომ ბედნიერმა დავიძინე, მაგრამ 2007 წლის 21 აგვისტოს, ღამის 4 საათზე, მირეკავენ — შენობა გატეხესო!*

***როცა მივედი, მითხრეს, რომ არაფრის უფლება არ მქონდა, გარდა იმისა, რომ ჩემი წიგნები გამომეტანა ჩემი კაბინეტიდან.** მე ამაზე მძიმე ღამე არ მინახავს. მაჩაბლის ქუჩა მთლიანად გადაკეტილი იყო ნიღბიანი ადამიანებით, არავის სახე არ უჩანდა და სიბნელეში შევედი მწერალთა კავშირის შენობაში. **კიბეზე ეგდო გალაკტიონის სურათი და ღვთისმშობლის ხატი, რომლებზეც ფეხებით გადიოდნენ და გამოდიოდნენ.** შევედი ჩემს კაბინეტში და პირველი სართულიდან მესმის საშინელი ხმები. **ჩავირბინე და ვხედავ, რომ ფანჯრიდან იყრება ყველაფერი. შევეხვეწე... სახეს რომ ვერ ხედავ ადამიანის, ძალიან რთულია მას რამე აუხსნა, თითქოს კედელს ცერცვს აყრი... ვეუბნები, რომ აქ კონსტანტინე გამსახურდია იჯდა, ამ სკამს არ შეეხოთ, იმას არ შეეხოთ, ამას არ შეეხოთ...** პასუხი არ არის!*

## ფანჯრიდან გადაყრილი ნივთები წაიღეს ვანის ქუჩაზე, სადაც 1937 წელს დასჯილი ადამიანებისათვის ჩამორთმეული ნივთები ელაგა.

*როცა ავედი ოთახში, მაშინ პირველად გავიგე, რას ნიშნავს სიტყვა — გავშრი. უცებ ვიგრძენი, რომ ვერ ვლაპარაკობ. დღემდე გამომყვა ამის შიში და როცა სადმე სიტყვით გამოვდივარ, სულ ვფიქრობ — ნეტა, იქ წყალი თუ არის? თურმე, დიაბეტი დამემართა. ერთ-ერთ ნიღბოსანს ვანიშნე, რომ წყალი მოეწოდებინა. უცებ მოიგლიჯა ნიღაბი, 20 წლამდე ასაკის ბიჭი იქნებოდა და წყალი მომაწოდა. ვთხოვე — შვილო, ნივთები ჩამატანინე-მეთქი და უცებ მეუბნება **— გუშინ ბიჭი შემეძინა და სამსახურიდან მივდივარ, მე ჩემს შვილს ვერ ვეტყვი, რომ მწერალთა კავშირის დარბევაში მივიღე მონაწილეობა!***

საინტერესოა, რას ფიქრობდნენ დანარჩენი ნიღბოსნები, რომლებიც რეჟიმის ბრძანებით საქართველოს მწერალთა კავშირის შენობას არბევდნენ?

საინტერესოა, ისინი დღეს თავიანთ შვილებს სირცხვილით უმალავენ თუ, პირიქით, სიამაყით უყვებიან, რომ ქართველი მწერლების ისტორიული ნავსაყუდელი დაარბიეს და გალაკტიონის, ტიციანის, პაოლოს, გოგლას, მიხეილ ჯავახიშვილის, კონსტანტინე გამსახურდიასა და სხვა დიდი ქართველების სუნთქვითა და ფიქრით გაჟღენთილ კედლებში ისე მოიქცნენ, თითქოს ტერორისტების ბუნაგისათვის მიეგნოთ?

ასეა თუ ისე, **სააკაშვილის რეჟიმმა გააკეთა ის, რაც 1921 წელს საქართველოში შემოჭრილ წითელ არმიასაც კი არ ჩაუდენია,** არადა, როგორც **მაყვალა გონაშვილი** აღნიშნავს, ბოლშევიკები საქართველოს მწერალთა კავშირის შენობის შტურმით აღებას აპირებდნენ, მაგრამ ქართველი მწერლების წინააღმდეგობის შედეგად უკან დაიხიეს.

*მაყვალა გონაშვილი:*

*— იმ დროის ერთ-ერთმა იურისტმა, გვარად **ბარათაშვილმა** ასეთი სიტყვები თქვა — **საქართველო წყევლით მოიხსენიებს ყველა დროის მთავრობას, რომელიც ქართველ მწერლებს ამ შენობიდან გამოდევნისო!** ის, რაც ვერ გაბედეს პირსისხლიანმა კომუ-*



მაყვალა გონაშვილი სააკაშვილის რეჟიმის მიერ ოკუპირებულ მწერალთა კავშირის შენობასთან. 2007 წლის 21 აგვისტო

## კვირგვინოსნები

**თეა წულუკიანი**
*2003-2012 წლებში მოქმედი რეჟიმისა და რეჟიმის პოლიტიკური თანამდებობის პირების საქმიანობის შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე*



მას შემდეგ, რაც **მწერალთა კავშირი დაარბია ნაციონალურმა მოძრაობამ, ნატა ლომოური** დასვეს ხელმძღვანელად, ამ პატარა ბავშვმა **თანამდებობა შეირგო** და ჩათვალა, რომ არის ნაანდერძევი.

„პირველი არხი“

**გურამ მაჭარაშვილი**
*„ხალხის ძალის“ აღმასრულებელი მდივანი*



მწერალთა კავშირის შენობის შესასვლელში **კიბეზე დაგდებული გალაკტიონის სურათი და ღვთისმშობლის ხატი** — ეს არის სიმბოლო ნაციონალური მოძრაობის რეჟიმის.

„იმედინიუსი“

**ალუდა ღუდუშაური**
*პარლამენტარი*



**მკვლელს, დიახ, მკვლელს რომ გვერდში დაუდგები,** დღეს რომ კიდევ რაღაცას ბედავ, იქით აბრალებ და რაღაცაზე პრეტენზია გაქვს, **რა პოლიტიკის კეთებაზე ვლაპარაკობთ, მაშინ, როცა ოჯახები გაანადგურეს?!** სანამ პირში სული მიდგას, ჩემს ორ შვილს ვფიცავ, **ესენი ვერასდროს მოვლენ.** მე პირადად გპირდებით და გეუბნებით, **ყველაფერს გავაკეთებ, რომ არასდროს დაბრუნდეს ეს ყველაფერი.** გინახავთ ჭირისუფალი, მამა, დედა, თქვე არაკაცებო? როცა ამ ადამიანებს ნახავთ, შემდეგ გამოდით და თქვით, **რა პოლიტიკაზეა ლაპარაკი. ბოდიშებს უნდა იხდიდეთ.**

„ალია“

**დიმიტრი ლორთქიფანიძე**
*დამოუკიდებელი უფლებადამცველი*



სახეზეა **ლიბერალური ოპოზიციის სრული კვდომა და დეგრადაცია!** 15 გეიოპოზიციური პარტია დღეს პოლიტიკაში **ოთხი პარტიის** სახითაა წარმოდგენილი.

„საერთო გაზეთი“

ნისტებმა, გაბედეს დემოკრატიის ნიღბით მოსულმა ადამიანებმა!

პოლიციამ რკინის ღობე შემოარტყა მწერალთა კავშირს. ისმის ადამიანების საშინელი ხმები. მანქურთებო, მანქურთებო! — ეძახიან პოლიციას. პირველი, რაც მოვიფიქრე, **გავიქეცი და ყვავილების გამყიდველ ქალებს ვთხოვე — ძველი, დამჭკნარი ვარდები თუ გაქვთ, მომეცით-მეთქი. მინდოდა, მწერალთა კავშირის შენობა დამჭკნარი ვარდებით შემომეღობა და როცა ყვავილების გამყიდველებს ეს ავუხსენი, ქალებმა, რომლებიც ამ ვარდების გაყიდვით ცხოვრობდნენ, მაკრატლებით მოაჭრეს თავები ახალთახალ ვარდებს და ეკლების უშველებელი თაიგული გამომატანეს.** ასე შემოვღობეთ მწერალთა კავშირი ეკლებით და მაშინ ვთქვი, რომ „ვარდების რევოლუციიდან“ მხოლოდ ეს ეკლებიღა დარჩა!

**მაყვალა გონაშვილმა** ისაუბრა იმის შესახებაც, რომ **სააკაშვილის ანტიეროვნულ რეჟიმს** ეროვნული მწერლების დევნა და გარიყვა არც მას შემდეგ შეუწყვეტია, რაც ისინი მწერალთა კავშირის ისტორიული შენობიდან გამოყარა და ქუჩაში ბედის ანაბარა დაყარა. მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ, რომელიც 18 წლის წინათ დატრიალებულ ავბედით ამბებზე ემოციის გარეშე ვერ საუბრობდა და შიგადაშიგ თვალები უწყლიანდებოდა, ასეთი ფაქტიც გაიხსენა:

— მწერლებს ვაჟა-ფშაველას იუბილეზეც კი არ მოგვცეს სიტყვით გამოსვლის უფლება. გამოვიდნენ მთავრობის წარმომადგენლები, გამოვიდნენ ბიზნესმენები, გამოვიდნენ მომღერლები და ბოლოს ისიც კი იმღერეს — **ხინკალო, უნდა შაგჭამოო...** მე ვდგავარ ჩემი საჩუქრით, მინდა, **ტარიელ ხარხელაურს** გადავცე ვაჟა-ფშაველას პრემია და უფლება არ მომცეს, ორიოდე სიტყვა მეთქვა. მახსოვს, როგორ ავიჭერი სცენაზე და უცებ გამახსენდა ვაჟა-ფშაველას სიტყვები — წავა ზოგიერთი ქართველი უცხოეთში, ისწავლის რუსულად ორ სიტყვას და როცა დაბრუნდება, ქართულ ხელოვნებასა და „ვეფხისტყაოსანს“ ებრძვისო! ვაჟა ასეთ ადამიანებს პატარა თხებს უწოდებდა და წერდა — რქებს იქ წაიმტვრევენ, სადაც ქართული მწერლობააო! მე ჩემს სიტყვაში ვთქვი — დღეს თქვენ რუსულის ნაცვლად ინგლისური ისწავლეთ, მაგრამ ზნე, რაც თხებს ჰქონდათ, ვერ შეიცვალეთ და სწორედ აქ, რასაც ჰქვია ქართული მწერლობა, კისერს წაიტეხთ-მეთქი!

საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარის **თეა წულუკიანის** კითხვაზე — **მაშინდელ კულტურის მინისტრთან ან ხელისუფლების სხვა რომელიმე მაღალჩინოსანთან შეხვედრის მცდელობა თუ გქონდათო?** — **მაყვალა გონაშვილმა** უპასუხა:

— ***რეზო მიშველაძესთან, რეზო ჭეიშვილთან*** და სხვა მწერლებთან ერთად თითქმის ყოველდღე ვიდექი კულტურის სამინისტროს კართან. მახსოვს, ერთხელ კულტურის მინისტრმა **გოკა გაბაშვილმა** პირად საუბარში გვითხრა, რომ ჩვენ დროს ჩამოვრჩებით, რადგან ფაშისტური ორგანიზაცია ვართ! ფაშიზმი ჩემთვის ძალიან მძიმე სიტყვაა და რომ ვკითხე, რას გულისხმობთ-მეთქი, მიპასუხა — ***თანამედროვეობის ნიავს ვერ გრძნობთ და სამშობლოს გადაჭარბებული სიყვარული გაქვთო!*** მერე ბატონმა ***რეზო მიშველაძემ*** ფანტასტიკური წერილი დაწერა, რომელშიც ასეთ რამეს წერს — ***შვილო, გოკა, შენ ჩემი ვაჟიშვილის ტოლი ხარ, ახლა ის საძმო საფლავზეა, საქართველოს თავისუფლებას შეეწირა, შენ კი კაბინეტში ზიხარ და ჩვენ, ქართველი მწერლები, ამ სიცივეში საათობით გელოდებით, რომ იქნებ ნება იბოძო და დალაპარაკებით მაინც დაგველაპარაკოო!***

როცა 2007 წლის 7 ნოემბერი მოხდა და ბატონი ***მიხეილ სააკაშვილის*** პრესტიჟი საკმაოდ შერყეული იყო, მითხრეს, რომ მას ჰქონდა სურვილი, მწერალთა კავშირის 90 წლისთავზე სიტყვით გამოსულიყო, რაზეც მე კატეგორიული უარი განვაცხადე, რადგან იმის მერე, რაც 7 ნოემბერს მოხდა, არცერთ ხელისუფალს არ ჰქონდა უფლება, ჩვენ გვერდით დამდგარიყო!

**მაყვალა გონაშვილმა** ასევე გაიხსენა, როგორ დაურეკეს მწერალთა კავშირის შენობის დამლაგებლებმა და სიხარულით უთხრეს — ეტყობა, შენობას გიბრუნებენ, რადგან ჩვენ უკვე დაგვიბარეს და ვალაგებთო!

თუმცა, ის, რამაც მწერალთა კავშირის შენობის დამლაგებლები გაახარა, მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს ძალიან ცუდად ენიშნა!

გუმანმა უკარნახა, რომ **სააკაშვილის ბინძური ხელისუფლება** რაღაც მორიგ მზაკვრობას ამზადებდა! და

მაშინვე მწერლებს დაურეკა და მათთან ერთად მიადგა ნაცრეჟიმის მიერ ოკუპირებულ მწერალთა კავშირის შენობას!

***მაყვალა გონაშვილი:***

— იქ დაგვხვდა რამდენიმე მწერალი, რომელიც სააკაშვილის მომხრედ ითვლებოდა — ***კორძაია-სამადაშვილი*** და სხვები. მთელი ქართული მწერლობა გარეთ ვიდექით და მე განვაცხადე, რომ, თუ შენობის ნამდვილ მეპატრონეებს შიგნით შესვლის უფლებას არ მოგვცემდნენ, ცოცხალი თავით არავის შევუშვებდი. თურმე, შენობაში იმყოფებოდა კულტურის მინისტრი ***გრიგოლ ვაშაძე,*** რომელიც შეგვხვდა და გვითხრა — ***სანამ მე ვარ ამ თანამდებობაზე, სანერვიულო არაფერი გაქვთ, თქვენს საკითხს ერთ თვეში გადავწყვეტო!*** ჩვენ ბედნიერები დავბრუნდით, ქართველი მწერლები ერთმანეთს ვულოცავდით და ღამით გამოაცხადეს, რომ ***ვაშაძე*** სხვა თანამდებობაზე გადავიდა.

ესე იგი, კულტურის მინისტრი **გრიგოლ ვაშაძე,** რომელმაც **მაყვალა გონაშვილი** და სხვა ქართველი მწერლები დააიმედა — **პრობლემას ერთი თვის ვადაში მოგიგვარებთო,** რამდენიმე საათში საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედ გადაიყვანეს!

**ვაშაძემ,** რომელიც ქართველ მწერლებს ეუბნებოდა — **სანამ კულტურის მინისტრი ვარ, არაფერზე ინერვიულოთო** — ცხადია, იცოდა, რომ ამ თანამდებობაზე უკანასკნელ საათებს ატარებდა და მეორე დღიდან უკვე სულ სხვა უწყების ხელმძღვანელი იქნებოდა!

**იცოდა და სასოწარკვეთილ მწერლებს მაინც ის უთხრა, რაც უთხრა!**

**დაცინვა, გაცურება და გაბითურება მოუნდომა რეჟიმის მიერ ისედაც მწარედ ნაჯიჯგნ ქართველ კალმოსნებს!**

**კაგებეს ილეთი ჩაუტარა ქართველ მწერლებს კაგებეს ქურაში გამოწრთობილმა გრიგოლ ვაშაძემ!**

როგორც **მაყვალა გონაშვილმა** განაცხადა, სააკაშვილის რეჟიმის მიერ დევნილი მწერლები აფხაზეთიდან დევნილებმა შეიფარეს:

— მაჩაბლის 11-ში მდებარე შენობა, რომელიც ადრე ჩვენ გვეკუთვნოდა და სადაც ახლა ოლიმპიური კომიტეტია განთავსებული, უკანა მხარეს გადატიხრული იყო, რადგან ლტოლვილები იყვნენ შეჭრილი. როცა ჩვენ ქუჩაში დავრჩით, ლტოლვილები თვითონ მოვიდნენ ჩვენთან და რამდენიმე ოთახი მოგვცეს. შენობა არის საოცრად ავარიული, კედლები დაბზარულია. ერთ-ერთი ქვეყნის ელჩმა ანთოლოგიის გამოცემა გადაწყვიტა და როცა უთხრეს, მწერალთა კავშირი რომელ შენობაში იყო, იქ მისულს საშინელი პირობები დახვდა — საჭმლის სუნი, კატები, ძაღლები... ვერ წარმოიდგინა, რომ ეს მწერალთა კავშირი იყო, მაგრამ მაინც ვაჟკაცურად ასულა მეოთხე სართულზე და იქ ცუდად გამხდარა, რადგან ერთ-ერთი ლტოლვილი გარდაცვლილა და ჩემს კაბინეტზე კუბო ყოფილა მიყუდებული. მეზობლები იუმორით ყვებოდნენ, როგორ გარბოდა ელჩი და კიბეებს ახტებოდა. დღემდე ასეთ პირობებში ვართ.

**თეა წულუკიანმა მაყვალა გონაშვილს** ჰკითხა — **როგორ ფიქრობთ, სააკაშვილის რეჟიმმა მწერალთა კავშირს ლოკალური დარტყმა მიაყენა თუ ეს უფრო მასშტაბური პროცესი იყო, რომელიც ეროვნული ცნობიერების განადგურებასა და გოკა გაბაშვილის, გიორგი კანდელაკის, ბაბუცა პატარაიასა და მათნაირი „ახალი ქართველების“ გენერირებას ემსახურებოდაო?**

***მაყვალა გონაშვილი:***

— უამრავი არასამთავრობო ორგანიზაცია იყო და ფინანსდებოდა ისეთი პროგრამები, რომლებიც ***„ახალი ქართველის“*** გამოყვანას უწყობდა ხელს. რადგან უხელფასოდ დავრჩით, დავიწყე ძებნა, რომ იქნებ რაღაც პროექტებით მაინც ორი თეთრი მოგვცენ-მეთქი. სოროსის ფონდში დასაფინანსებლად წარვადგინე ძალიან საინტერესო წიგნი საქართველოზე, როგორ უნდა გაგვეზარდა ქართველი ბავშვი ქართველ კლასიკოსებსა და მსოფლიო გამოცდილებაზე დაყრდნობით. ***წიგნში ერთი თავი რელიგიაზე იყო და მითხრეს — პროექტი, სადაც ქრისტიანობაზეა საუბარი, ვერ დაფინანსდებაო!***

ასევე დავინტერესდი, როგორ ხდებოდა პროექტების დაფინანსება ევრაზიულ ფონდში და ნიმუშად მომცეს ***ზურაბ ჭიაბერაშვილის*** ერთი პროექტი, სადაც ეწერა — ***იმისათვის, რომ მომავალში საქართველო ძლიერი იყოს, წარსულის ფესვებს ზედმეტად არ უნდა ჩავეჭიდოთ და საჭიროა, მოიძებნონ ადამიანები, რომლებიც ამას პოპუ-***

*გაგრძელება მე-14 გვერდზე*




# სააკაშვილის რეჟიმი ქართული მწერლობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისათვის ცალკე და საგანგებოდ უნდა გასამართლდეს!




ჯანსუღ ჩარკვიანი სააკაშვილის რეჟიმის მიერ ოკუპირებულ მწერალთა კავშირის შენობასთან. 2007 წლის 21 აგვისტო

## კვირგვინოსნები

**ლაშა ბუღაძე**

*მწერალი*



**შე ცილისმწამებელო, კაგებეს აგენტო, შევარდნაძის დროინდელო კორუმპირებულო მონა,** გიჩივლებ ცილისწამებისათვის და როცა დრო იქნება, სამართლებრივი პასუხიც მოგეთხოვება **ტყუილის, პროპაგანდის გავრცელებისა და რუსული დავალებების აღსრულებისთვის. მაყვალა გონაშვილებს,** სუსსა და ივანიშვილის რუსულ ბანდას, ცხადია, არ აწყობთ და **არ უნდათ, რომ წარსული ვიცოდეთ და გვახსოვდეს,** მაგრამ მე მაინც შევახსენებ და ვამხელ ახლაც და ისტორიის წინაშეც! **გონაშვილს მოუწევს პასუხის გაცემა ცილისწამებაზე,** მანამდე კი წიგნი **„საქართველო იოსებ სტალინის წინააღმდეგ“** წაიკითხოს ან მოკლე შინაარსი მოუყვეს ვინმემ ამ ნაყიდ მდაბიოსა და უვიცს, სწორედ მის იდეოლოგიურ წინაპრებზეა.

„ახალი თაობა“

**თეიმურაზ ქიქნაძე**

*ნაცმოძრაობის მიერ დაზარალებული, ენერგეტიკული კომპანია „ჟინერის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე*



2005 წლიდან დაიწყო მასირებული შეტევა, **იძულების წესით მიმიყვანეს ფინანსურ პოლიციაში, სადაც დაიწყო ჩემი დამუშავება.** შეთითხნილი ბრალდება დამიდეს და მითხრეს, რომ **უნდა დათმო შენი წილიო.** მათი მიზანი იყო, **გაეკოტრებინათ კომპანია „ჟინერი“.** ჩვენი ნაშრომი მრავალმილიონიანი ქონების გადანაწილება მოხდა, მაგრამ მათი **მთავარი ამოცანა იყო, რომ წყლის ტარიფი გაეძვირებინათ.**

„იმედინიუსი“

**დავით ქართველიშვილი**

*„ხალხის ძალის“ წევრი*



**რა ჯანდაბა გვინდოდა 1991 წლის დეკემბერში,** როდესაც პუტჩით ვუპასუხეთ ქვეყნის პირველ პრეზიდენტს?! **რა ჯანდაბა გვინდოდა 1992 წლის 14 აგვისტოს** აფხაზეთში?!

„თბილისელები“

დასაწყისი
მე-12 გვერდზე

**ლარიზაციას გაუწევენო...** შერჩეულიც ჰყავდათ რამდენიმე პიროვნება, რომელთაგან ყველაზე მეტად დამამახსოვრდა **ლაშა ბუღაძე,** იმიტომ, რომ მან, უცხოური დაფინანსებით, ბრწყინვალედ შეასრულა დავალება და თამარ მეფეზე დაწერა შემზარავი ნაწარმოები. ასევე დაწერა რომანი „ოქროს ხანა“, სადაც იმაზე იყო საუბარი, თუ როგორი ჩამორჩენილი ქვეყანაა საქართველო, როგორ უნდა მამაკაცს — მამაკაცთან და ქალს ქალთან დაქორწინება, შემდეგ როგორ მიდის ეს წყვილი უცხოეთში და რა ბედნიერები არიან, რომ ბავშვი აიყვანეს... მახსოვს, შეხვედრა მქონდა საბერძნეთში მცხოვრებ ქართველებთან და აღშფოთებულები დამხვდნენ — **ლაშა ბუღაძე** იყო ჩამოსული, საქართველოს მონატრებულმა ქართველებმა მისი წიგნი ვიყიდეთ, ვიფიქრეთ, რომ შვილებს წავაკითხებდით, მაგრამ გული გაგვისკდა, ისეთი რაღაცები წერია!

**საქართველო ვერ ხვდებოდა, რატომ იწერებოდა ქართლის დედის შეურაცხმყოფელი წერილები, რატომ ხდებოდა რომანებში სვანი ადამიანების უარყოფით კონტექსტში მოხსენიება...** მახსოვს, **ერეკლე საღლიანმა** კინაღამ ინფარქტი მიიღო... ეს ყველაფერი კეთდებოდა ერთადერთი რამისთვის — **დარღვეულიყო ქართველი კაცის საუკუნოვანი ცნობიერება. ამიტომ მოხდა სკოლებიდან იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ ამოღებაც.**

მას შემდეგ, რაც სააკაშვილის რეჟიმმა საქართველოს მწერალთა კავშირის ისტორიული შენობის ოკუპაცია მოახდინა, იქაურობა ლიბერალური სექტის ბუდედ გადაიქცა. კულტურის სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ ორგანიზაციას **„მწერალთა სახლი“** დაარქვეს და დიასახლისად დაუნიშნეს მიხეილ **სააკაშვილთან დაახლოებული ქალბატონი — ნატა ლომოური, რომელსაც მწერლობასა და ლიტერატურასთან ისეთივე შეხება აქვს, როგორც, მაგალითად, ნანუკა ჟორჟოლიანს — განათლებასთან ან მეგის ქარდავას — ადამიანის უფლებების დაცვასთან.**

მიუხედავად ამისა, **ნატა ლომოური** „მწერალთა სახლს“ წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა და „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებშიც კი ხელშეუხებელი იყო, სანამ 2023 წელს კულტურის მაშინდელმა მინისტრმა და დღეს პარლამენტის საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარემ **თეა წულუკიანმა** თანამდებობიდან სრულიად კანონიერად, უფლებამოსილების ვადის ამოწურვის გამო არ გაათავისუფლა.

მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ **მაყვალა გონაშვილმა** საგამოძიებო კომისიის სხდომაზე **ნატა ლომოურის** შესახებაც ისაუბრა:

*— როცა ქალბატონი **ნატა ლომოური** დაინიშნა, მე და ბატონმა **რეზო მიშველაძემ** ვიფიქრეთ, რომ, ალბათ, ახლა მაინც აღასრულებენ იმას, რასაც შეგვპირდნენ და მწერალთა კავშირის შენობაში სადმე კუთხეში მაინც დაგვსვამენ. ყველაფერი რომ დაგვირბიეს, ერთადერთი მაგიდა გადაგვირჩა და იმ მაგიდით და ერთი კომპიუტერით მივადექით მწერალთა სახლს, მაგრამ **ნატა ლომოურმა** შენობიდან გამოგვაგდო, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით... **ბატონი რეზო** ისეთი ადამიანია, არც აკადრებ სიტყვას „შემეცოდა“, მაგრამ ჩემს ცხოვრებაში პირველად შემეცოდა ბატონი **რეზო მიშველაძე,** რომელიც თავის ისტორიულ შენობაში ვერ შევიდა და წვიმაში მაგიდას იყო დაყრდნობილი.*

პარლამენტის საგამოძიებო კომისიაში გამოკითხვაზე მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ გაიხსენა კიდევ ერთი ფაქტი, რომელშიც ქართული მწერლობის, კულტურის, სულიერებისა და ყოველგვარი ეროვნულისადმი სააკაშვილის რეჟიმის ცინიკური დამოკიდებულება ისე აისახება, როგორც წვეთ წყალში — ოკეანის მთელი სტრუქტურა.

*__მაყვალა გონაშვილი:__ — როცა **ანა კალანდაძისთვის** 90 წლის იუბილე უნდა გადაგვეხადა, მოსაწვევები მივიტანეთ განათლების სამინისტროში. ამ დროს **ლომაია** იყო მინისტრი და ვუთხარით, რომ რუსთაველის თეატრში დიდ ქალბატონს ვუხდით იუბილეს. ყველა მოსაწვევი უკლებლივ დაგვიბრუნეს — მსურველები ვერ ვნახეთო! სამაგიეროდ, როცა ქალბატონი **ანა კალანდაძე** გარდაიცვალა, საფლავთან არ მიგვიშვეს, რომ ორი სიტყვით გამოვმშვიდობებოდით!*

სხდომის დასასრულს **თეა წულუკიანმა მაყვალა გონაშვილს** სთხოვა — **იქნებ მოგვაწოდოთ ლიბერალი ავტორების რამდენიმე ისეთი ნაწარმოები, რომელიც ნამდვილ მწერლობასთან, სულიერებასა და ეროვნულ ღირებულებებთან ბრძოლის ნიმუშად მიგაჩნიათ, რათა კომისიის საბოლოო დასკვნას დავურთოთ, როგორც სააკაშვილის ანტიქართული რეჟიმის იდეოლოგიური დივერსანტობის ერთ-ერთი მტკიცებულებაო!**

მწერალთა კავშირის თავმჯდომარე **თეა წულუკიანს** მსგავსი ნაწარმოებების მიწოდებას დაჰპირდა და საგამოძიებო კომისიის წინაშე გამოსვლა ასე დაამთავრა:

*— მახსოვს, როცა ხელისუფლება შეიცვალა, უწმინდესსა და უნეტარესს, რომელმაც თავის დროზე სამების ტაძარში დარბაზი დაგვითმო და იქ ვატარებდით საღამოებს, ვკითხე, **რას ფიქრობდა ბატონი სააკაშვილის ხელისუფლების შეცვლაზე?** მან ასეთი რამ მითხრა — **უფალმა უფსკრულში ხელი ჩაყო და საქართველო ამოიყვანაო!***

*ვფიქრობ, რომ საქართველო კარგად იქნება!*

**საქართველო კარგად რომ იყოს, ამისათვის აუცილებელია, ქართულ პოლიტიკაში აღარ არსებობდეს ისეთი ანტიქართული, ანტიეროვნული, ანტისახელმწიფოებრივი, ანტიეკლესიური და ანტიადამიანური ძალა, როგორიც არის ნაციონალურ მოძრაობად წოდებული სისხლიანი ბანდა!**



# „ერთ-ერთ ნიღბოსანს ვანიშნე, რომ წყალი მოეწოდებინა. უცებ მოიგლიჯა ნიღაბი, 20 წლამდე ასაკის ბიჭი იქნებოდა და მეუბნება — გუშინ ბიჭი შემეძინა და სამსახურიდან მივდივარ, მე ჩემს შვილს ვერ ვეტყვი, რომ მწერალთა კავშირის დარბევაში მივიღე მონაწილეობაო!“

## მაყვალა გონაშვილი:

# მარჯანიშვილის ქუჩა მთლიანად გადაკეტილი იყო ნიღბიანი ადამიანებით...

# კიბეზე ეგდო გალაკტიონის სურათი და ღვთისმშობლის ხატი, რომლებზეც ფეხებით გადიოდნენ და გამოდიოდნენ!



# „ყველაფერი რომ დაგვირბიეს, ერთადერთი მაგიდა გადაგვირჩა და იმ მაგიდით და ერთი კომპიუტერით მივადექით მწერალთა სახლს, მაგრამ ნატა ლომოურმა შენობიდან გამოგვაგდო, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით!“

## იმედია, პარლამენტის საგამოძიებო კომისიის მიერ დადებული დასკვნა, რომელიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში უნდა გაიგზავნოს, ნაციონალური მოძრაობის აკრძალვისა და სისტემური გასამართლების საფუძველი გახდება!

საგამოძიებო კომისიის წინაშე საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის გამოსვლა კი იმასაც ცხადყოფს, რომ **სააკაშვილის რეჟიმი ქართული მწერლობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისათვის ცალკე და საგანგებოდ უნდა გასამართლდეს!**

**ჯაბა ხუბუა**

## კვირგვინოსნები

**გიორგი გამსახურდია**
*პოლიციის ატაშე*



ვერ შედგა ეს **ე.წ. პოლიტიკოსი ბვარამია** ვერც პოლიტიკაში და ვერც — ჟურნალისტიკაში. შედგა როგორც **რეპრესიების მომწყობი და უდავოდ საქმეების კარგად შემკერი** — ავიღოთ თუნდაც, **ჩემი ძმის — ცოტნეს** სრულიად უსამართლო საქმე.

„ფეისბუქი“

**მურმან დუმბაძე**
*ყოფილი პარლამენტარი*



ამდენი პოლიტპატიმარი **შევარდნაძის** მმართველობის დროსაც კი არ ყოფილა. **ამ გაუგონარ რეპრესიებზე** პასუხი უნდა იყოს **ოპოზიციის დიდი გაერთიანება** და დაუყოვნებლივ მოქმედება.

„ახალი თაობა“

**გიორგი გუგავა**
*ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი*



„ოცნება“ **შიშველ რეპრესიებზე** გადავიდა, სხვა სიტყვას მე ვერ მოვძებნი, მათ **სხვა საშუალებები არ დარჩათ.**

„ახალი თაობა“

**სალომე ზურაბიშვილი**
*საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი*



**ჩვენ ვიბარებთ 26 მაისს და ამისთვის მზადება უკვე დაწყებულია.**

„პირველი არხი“

**ზურაბ ქადაგიძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



ოპოზიცია და ენჯეოები საკუთარ ლიდერ **ზურაბიშვილთან** ერთად ეცდებიან, **უვიზო მიმოსვლის შეჩერება სათავისოდ გამოიყენონ** და აქ კვლავ დაძაბულობის კერა შექმნან, მაგრამ გარწმუნებთ, **ქვეყნის არევა აღარ გამოუვათ.**

„საერთო გაზეთი“

# გენერალისიმუსი

№18 (314) ★ 2025 წლის 5 მაისი ★ გამოდის 2003 წლიდან


# ეს ჩვენი ომი იყო!



## გამარჯვება 80 წლისაა! ★

**_2025 წლის 9 მაისს 80 წელი შესრულდება იმ დიადი გამარჯვებიდან, როცა ძლევამოსილმა საბჭოთა არმიამ ფაშიზმი დაამარცხა და კაცობრიობა ყავისფერი ჭირისგან იხსნა!_**

**1945 წლის 7 მაისს** საფრანგეთის ქალაქ რეიმსში, სადაც უხსოვარი დროიდან საფრანგეთის მეფეების კორონაცია, ანუ მეფედ კურთხევა ხდებოდა, ცენტრალური ევროპული დროით 02:41 საათზე ფაშისტურმა გერმანიამ დასავლეთელი მოკავშირეებისა და საბჭოთა კავშირის წინაშე სრული კაპიტულაცია გამოაცხადა, რომელსაც ხელი მოაწერა გერმანელმა გენერალ-პოლკოვნიკმა **ალფრედ იოდლიმ. კაპიტულაცია ძალაში შევიდა 1945 წლის 8 მაისს, ცენტრალური ევროპული დროით 23:01 საათზე, რასაც მოსკოვის დროით შეესაბამებოდა 1945 წლის 9 მაისის 00:01 საათი!**

სწორედ ამიტომაა, რომ ევროპელები და ამერიკელები, რომლებსაც მეორე მსოფლიო ომში ჰიტლერის წაქეზების, ერთი ადგილის ფხანის, ლაქლაქისა და ფულის შოვნის მეტი არაფერი უკეთებიათ, ფაშიზმზე გამარჯვებას ზეიმობენ **8 მაისს,** ხოლო ჩვენ — ქართველები, რუსები, უკრაინელები და დანარჩენი პოსტსაბჭოთა ქვეყნები და ხალხები, **რომლებიც ბერლინამდე ფეხით ჩავედით და რაიხსტაგზე გამარჯვების დროშა აღვმართეთ,** გამარჯვებას ვზეიმობთ **9 მაისს!**

დიდი ბელადი, რომელიც, ფაქტობრივად, მარტოდმარტო ეომა **ჰიტლერს** და საბჭოთა ხალხთან ერთად ზიდა იმ საშინელი ომის სიმძიმილი, ვერ ეგუებოდა იმ ფაქტს, რომ გერმანელების კაპიტულაცია ნეიტრალურ ტერიტორიაზე — საფრანგეთის რეიმსში მოხდა და არა ჰიტლერის ბუნაგში, ბერლინში, საიდანაც გერმანულმა ფაშიზმმა იბარტყა და მსოფლიო წალეკა. ამიტომ სტალინის დაჟინებული მოთხოვნით, **1945 წლის 8 მაისს, საბჭოთა ჯარების მიერ ოკუპირებულ ბერლინში, ცენტრალური ევროპული დროით 22:43 საათზე, ფაშისტური ვერმახტის გენერალური შტაბის ხელმძღვანელმა, გერმანელმა გენერალ-ფელდმარშალმა ვილჰელმ კაიტელმა ხელი მოაწერა ფაშისტური გერმანიის უსიტყვო კაპიტულაციის აქტს.**

კარლსჰორსტის სასახლეში ხელმოწერილი კაპიტულაცია იმეორებდა რეიმსის კაპიტულაციის პუნქტებს. კერძოდ, ევროპაში ომი **1945 წლის 8 მაისს, ცენტრალური ევროპული დროით 23:01 საათზე,** დასრულებულად ცხადდებოდა, რასაც მოსკოვის დროით **1945 წლის 9 მაისის 00:01 საათი** შეესაბამებოდა!

თუ რეიმსის კაპიტულაციის აქტს ხელს აწერდა რუსი გენერალი **ივანე სუსლოპაროვი,** ამჯერად, კარლსჰორსტში გაფორმებულ უსიტყვო კაპიტულაციას საბჭოთა კავშირის მხრიდან ამოწმებდა და ხელს აწერდა მარშალი **გიორგი ჟუკოვი,** რომელმაც სულ მალე ბერლინი გაძარცვა და ნაქურდალი ავეჯი, ხალიჩები, უძვირფასესი შპალერები, ოქროულობა, ბრილიანტები და უნიკალური სურათები სულ ვაგონებით გამოზიდა და თავის აგარაკზე დამალა.

სამარცხვინოა, რომ ამ ყველაფრის შემდეგ **გიორგი ჟუკოვს** წითელ მოედანზე უშველებელი ძეგლი დაუდგეს, ცხენზე შესვეს და „მარშალ პობედი“ უწოდეს, ხოლო **დიდი სტალინი,** რადგან ქართველი იყო, მავზოლეუმიდან გამოიტანეს, კიტელზე ოქროს ღილები ააჭრეს, ღამით დამარხეს და მის სახელს ათასი სიბინძურე და ნაგავი მიაყარეს!

თუმცა, არაუშავს,

**სტალინის წინასწარმეტყველება ნელ-ნელა ცხადდება და ისტორიის ქარბორია მსოფლიოს ისტორიაში ყველაზე დიდი ომის მომგების საფლავს პოლიტიკური ნაგვების მიერ მიყრილი ნაგვისგან ათავისუფლებს!**

დიდი სამამულო ომი, რომელიც **1941 წლის 22 ივნისს** დაიწყო და **1945 წლის 9 მაისის** ტრიუმფა-


**_გაგრძელება „გენერალისიმუსის“ ბოლო გვერდზე_**


**დიდ სამამულო ომში ქართველები ღიმილით მიდიოდნენ, ზუსტად ისე, როგორც დიდგორში, მარტყოფსა და ხრესილში, რადგან შეიქმნა სიტუაცია, როცა ერის ისტორიულ მეხსიერებაში მოხდა წარმოუდგენელი გარღვევა და დავით აღმაშენებელი, გიორგი სააკაძე და სოლომონ პირველი დიდ სტალინში გაერთიანდნენ!**

*გიორგი ბეჟიტაძე*

# დანა ბელადის




## ვნებები მავზოლეუმის გარშემო

*დასაწყისი იხ. „გენერალისიმუსი“, 2025 წლის №17*

***ღვთის წინაშე ყველა თანასწორია. დიდიც და პატარაც, მდიდარიც და ღატაკიც, ძალაუფლების მპყრობელიც და მონობის უღელქვეშ მგმინავიც; ყველას ერთი ხვედრი მოელის. ძლევამოსილი კეისარი ისევე მოკვდავია, როგორც გლადიატორი, რომელიც მის გასართობად ცირკის არენის სისხლით შეღებილ ქვიშაზე კვდება. შესაძლოც და შეუძლებელიც — ყველაფერი გაკეთდა ბოლშევიზმის ფუძემდებლის თავზე აღმართული სიკვდილის ცელის ასარიდებლად. მსოფლიო მედიცინის მნათობები დასტრიალებდნენ მის ხრწნად სხეულს. გამოიყენეს ყველაზე სრულყოფილი პრეპარატები — იმ დროის მეცნიერების უახლესი მიღწევები. ვაგლახ, ყველაფერი ამაოდ. დაჰკრა ჟამმა — და მშფოთვარე სული ცოდვილ სხეულს განეშორა. მოდით, ვნახოთ, რა მოჰყვა ამას, რა თამაშები განვითარდა კრემლის კარზე, რა ვნებები აბობოქრდა უახლესი ფარაონის მუმიის გარშემო, რომელიც მის საძვალეში — მავზოლეუმში მოათავსეს...***

**1924 წლის 21 იანვარი.**

**ვ. სორინის** (*ნ. ბუხარინის ერთ-ერთი მდივანი, რომელიც იმ საბედისწერო დღეს შეფთან ერთად იმყოფებოდა გორკაში*) **მოგონებებიდან:**

„სადილის შემდეგ შევიტყვე, რომ დიდ სახლში (*რეზიდენცია, რომელშიც ლენინი იმყოფებოდა — რედ.*) სასწრაფოდ ითხოვენ ქაფურს. გადავწყვიტე, ეს ნიკოლაი ივანოვიჩისთვის (*ბუხარინი — რედ.*) მეცნობებინა. მაგრამ მან დამასწრო: „მოხუცი ცუდად არის, — თქვა ბუხარინმა, — ყველა ექიმი დიდ სახლში გამოიძახეს.“ მაშინ ქაფურის ამბავი ვუთხარი. ნიკოლაი ივანოვიჩს სახე შეეცვალა. გადავწყვიტეთ, მაშინვე დიდ სახლში წავსულიყავით. შევთანხმდით, რომ ბუხარინი ზევით ავიდოდა და ლენინის მდგომარეობას მარია ილინიშნასგან (*ლენინის და — რედ.*) შეიტყობდა... გარშემო მდუმარება სუფევდა. ბუხარინი დიდხანს არ დაბრუნებულა...“

●

**ნ. ბუხარინის ჩანაწერებიდან:**

„როდესაც წამლებით და ექიმებით გამოვსებულ ოთახში შევვარდი, ილიჩმა უკანასკნელად ამოისუნთქა. თავი უკან გადაუვარდა, საშინლად გაფითრდა. გაისმა ხრიალი, ხელები ჩამოუცვივდა — ილიჩი გარდაიცვალა...“

●

**გ. ზინოვიევის სტატიიდან „ექვსი დღე, რომელთაც რუსეთი არ დაივიწყებს“** (*„პრავდა“, 1924 წლის 23 იანვარი*):

„.. ახლა დარეკეს. ილიჩი გარდაიცვალა... ერთ საათში გორკაში მივდივართ: ტომსკი, კალინინი, სტალინი, კამენევი და მე (რიკოვი ავად არის).“

**სპკ-ის კომისიის ანგარიშიდან:** „პირველი ცნობა ვ. ი. ლენინის გარდაცვალების შესახებ მოსკოვში იმავე დღის საღამოს 7 საათზე ამხ. ამხ. სტალინმა და ზინოვიევმა მიიღეს. 21 იანვარს საღამოს 9 საათსა და 30 წუთზე ამხ. ამხ. სტალინი, ზინოვიევი, კალინინი და ტომსკი ავტოციგით გაემგზავრნენ გორკაში...“ (კამენევის გვარი ანგარიშში რატომღაც არ იხსენიება).

●

**ვ. ბონჩ-ბრუევიჩის ჩანაწერებიდან** (*იმ დღეს გორკაში იმყოფებოდა*): „... ყველაზე წინ სტალინი მიდის. ყოველ ნაბიჯზე მკვეთრად ატრიალებს კორპუსს აქეთ-იქით, მძიმედ და მტკიცედ მიაბიჯებს, მარჯვენა ხელი სამხედრო ქურთუკის ქვეშ უდევს. გაფითრებული, მკაცრი, დაძაბული სახე აქვს... ორივე ხელი მოჰკიდა ვლადიმერ ილიჩის თავს, წამოსწია, ლამის მკერდზე მიიკრა და მაგრად აკოცა ლოყებსა და შუბლზე... ხელი ჩაიქნია და უცებ გასცილდა, თითქოს წარსული აწმყოსაგან მოკვეთა.“

●

პარტიამ და ქვეყანამ ჯერ არ იციან, რომ დაობლდნენ.

მხოლოდ მეორე დღეს დაიგზავნება ადგილებზე ზინოვიევის და სტალინის მიერ შედგენილი ცირკულარული წერილი სტალინის ხელმოწერით. არქივში ფართო მკითხველისთვის ნაკლებად ცნობილი ამ დოკუმენტის შავი პირია დაცული. ძირითადი ტექსტი ზინოვიევის ხელით არის დაწერილი. შესწორებები და ერთი აბზაცი სტალინის ჩამატებულია.

აი, ეს დოკუმენტი (სტალინის ხელნაწერი გამოყოფილია):

**ყველა საგუბერნიო, საოლქო კომიტეტს, ეროვნულ ცენტრალურ კომიტეტებს**

**21 იანვარს, საღამოს 6 საათსა და 50 წუთზე, ვლადიმერ ილიჩი მოულოდნელად გარდაიცვალა. სიკვდილი სუნთქვის ცენტრის დამბლამ გამოიწვია. დაკრძალვა შაბათს, 26 იანვარს.**

**დაუყოვნებლივ შეატყობინეთ პასუხისმგებელ მუშაკებს. პრესაში ცნობა დღეს გამოჩნდება. მიიღეთ მტკიცე წესრიგის უზრუნველყოფის ზომები, არ დაუშვათ პანიკის უმცირესი გამოვლინებაც კი. თუ საჭიროდ ჩათვლით, მიტინგების გარდა დაკრძალვის დღეს, შაბათს, სამგლოვიარო დემონსტრაციებიც მოაწყვეთ. გამოსვლებში ხაზი გაუსვით ამხ. ლენინის ანდერძის ერთგულებას მუშათა და გლეხთა კავშირის განმტკიცების და პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების გარშემო რაც შეიძლება მჭიდროდ დარაზმვის შესახებ. თუ აუცილებლად ჩათვლით დელეგაციების გამოგზავნას, ეს დაკრძალვის დღეს მიუსადაგეთ.**

**ცკ-ის მდივანი**
**ი. სტალინი.“**

●

**1924 წლის 21 იანვარი.** საუკუნის დაკრძალვა. მოწაფეებს და თანამოსაგრეებს ლენინის დაბალზამებული სხეული წითელ მოედანზე ხის დროებითი მავზოლეუმისკენ მიაქვთ. გრუხუნებს საარტილერიო სალუტი. გუგუნებენ ქარხნების და ფაბრიკების საყვირები. მთელ ქვეყანაში ხუთი წუთით წყდება მოძრაობა. სარკოფაგი ილიჩის ნეშტით მავზოლეუმში მის უახლოეს თანამოსაგრეებს — პარტიის გენერალურ მდივანს სტალინს, კომუნისტური ინტერნაციონალის თავმჯდომარეს ზინოვიევს, ლენინის მოადგილეს მთავრობაში კამენევს, სპკ-ის თავმჯდომარეს კალინინს შეაქვთ...

მაგრამ საბჭოთა ხალხი, რომელიც ამ მოვლენის ანგარიშს გაზეთებში კითხულობს, რადიოთი უსმენს, გაოცებულია. სად არის ბოლშევიკი № 2, ამხანაგი ტროცკი — ის, ვისაც თავისი თავი გამუდმებით და ყველგან გამოჰყავდა ბოლშევიკური ტახტის მემკვიდრედ?

სად იმყოფება ამხანაგი ტროცკი ამ სამგლოვიარო დღეებში? ამას ყველაზე ადრე საბჭოთა საქართველოს მცხოვრებნი შეიტყობენ და შეუდარებელი ორატორის ხმას პირველები ტფილისის მოქალაქეები გაიგონებენ.

წარმოუდგენელია, მაგრამ განუზომლად თავდაჯერებული ამხანაგი ტროცკი შავი ზღვის სანაპიროზე, სოხუმში ატარებს რიგგარეშე შვებულებას.

აი, რას დაწერს იგი წლების შემდეგ თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში „ჩემი ცხოვრება“:

„სოხუმში მთელ დღეებს ზღვაზე გამავალ აივანზე წამოწოლილი ვატარებდი. თუმცა, უკვე იანვარი იდგა, მზე კაშკაშა და თბილი იყო. ზღვიდან მონაბერ ჰაერს ვსუნთქავდი და მთელი ჩემი არსებით ვგრძნობდი საკუთარი სიმართლის რწმენას...“

რწმენა, როგორც ჩანს, მხოლოდ „სიმართლისა“ კი არა, იმისიც მთელი არსებით ჰქონდა, რომ პარტიასა და ქვეყანაში უმაღლესი ხელისუფლება ავტომატურად მის — ტროცკის ხელში გადადის.

თუმცა, პოლიტბიუროს დანარჩენი წევრები სხვაგვარად თვლიდნენ. თავის მიუტევებელ ტაქტიკურ შეცდომას, რომელმაც მისი უახლოესი გარემოცვაც კი გააოცა, ტროცკი მხოლოდ სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე მიხვდება. აი, ეს აღიარება:

**„დაკრძალვაზე (***ლენინის — რედ.***) ჩემი არყოფნის ფაქტმა, უეჭველია, უარყოფითი შთაბეჭდილება მოახდინა. ზინოვიევმა მაშინ ამასთან დაკავშირებით მითხრა: „თქვენ ცუდი პოლიტიკოსი ყოფილხართ, სწორი ტაქტიკა ვერ მოძებნეთ, ამიტომაც დამარცხდით.“**

როგორც ჩანს, გარკვეული ეჭვები შავი ზღვის სანაპიროზე მონებივრე ტროცკის მაინც აწუხებდა. რამეთუ დაკრძალვის დღეს ის ტფილისში მიდის. მიზანი აშკარაა — ხალხს თავი გაახსენოს, საყოველთაო ყურადღება მიიპყროს, როგორც ლენინის კანონიერმა მემკვიდრემ. ამ მიზნის განხორციელებისათვის ტროცკი ტფილისის ოპერის შენობის აივნიდან მხურვალე, თავისი ფარული დანიშნულებით „სეფე“ სიტყვით გამოდის.

მკითხველს მის რამდენიმე ფრაგმენტს გავაცნობთ.

**„ლენინი აღარ არის. აღარ გვყავს ლენინი. შავმა კანონებმა, რომლებიც სისხლძარღვების მუშაობას მართავენ, შეწყვიტეს მისი სიცოცხლე. მედიცინა უძლური აღმოჩნდა, აღესრულებინა ის, რასაც მისგან ასე მხურვალედ მოელოდა, მოითხოვდა ათიათასობით გული. მათ შორის რამდენი გაიღებდა უშურველად უკანასკნელ წვეთამდე საკუთარ სისხლს, ოღონდ გაეცოცხლებინა, აღედგინა დიდი ბელადის — ერთადერთი, განუმეორებელი ვლადიმერ ილიჩის სისხლძარღვების მუშაობა...“**

გაიღებს რა ხარკს როგორც საყოველთაო, ისე პირადი მწუხარების წინაშე, ტროცკი გადადის იმაზე, რომ სიკვდილი, ფაქტობრივად, გარდაუვალი იყო. აი, როგორ განაცხადა მან ეს:

**„მეორე შეტევა ათ თვეზე მეტხანს გრძელდებოდა და პირველზე უფრო მძიმე იყო. სისხლძარღვები, ექიმების მწარე გამოთქმით, „თამაშობდნენ“. ეს ილიჩის სიცოცხლესთან საშინელი „თამაში“ იყო. შეიძლებოდა გაუმჯობესება, თითქმის სრული გამოჯანმრთელება მომხდარიყო, მაგრამ მოსალოდნელი იყო კატასტროფაც. ჩვენ ყველანი გამოჯანმრთელებას ველოდით, მაგრამ კატასტროფა მოვიდა...“**

(თუ როგორ ელოდა „გამოჯანმრთელებას“ ან „კატასტროფას“ „აივანზე წამოწოლილი“ და „საკუთარ სიმართლეში დარწმუნებული“ ტროცკი, ჩვენ უკვე ვიცით).

დაბოლოს, მთავარი, რისთვისაც მთელი ეს „სამგლოვიაროსეფე“ სიტყვა წარმოითქვა:

**„პარტია დაობლდა. დაობლდა მუშათა კლასი. სწორედ ეს გრძნობა იპყრობს უპირველესად ყველას მასწავლებლისა და ბელადის სიკვდილის ამბის გაგებისას.**

**როგორ წავალთ წინ? ვიპოვით კი გზას? ხომ არ გადავუხვევთ? რამეთუ ლენინი ჩვენთან აღარ არის, ამხანაგებო!**

**ლენინი არ არის, მაგრამ არის ლენინიზმი! მისი უკვდავი მოძღვრება, მისი ნაშრომი, მისი მეთოდები, მისი მაგალითი ჩვენში ცოცხლობს. ყოველ ჩვენგანში ცოცხლობს ლენინის ნაწილი, ის, რაც საუკეთესო ჩვენგანის საუკეთესო ნაწილია.**

**როგორ წავალთ წინ?**

**ლენინიზმის ფარნით ხელში!“**

და ოპერასთან შეგროვილ, ამ სიტყვით მონუსხულ ათასობით ტფილისელს და მათ, ვინც ხვალ მას დილის გაზეთებში წაიკითხავს, ეჭვიც არ უნდა დარჩეს, რომ „საუკეთესო ჩვენგანი“ უდავოდ ამხანაგი ტროცკი გახლავთ და რომ პროგრესული კაცობრიობის სათავეში „ლენინიზმის ფარნის“ ტარება უსათუოდ მას მოუწევს.

●

მოსკოვში კი ამ დროს უკვე ჩამოყალიბდა ხელმძღვანელი სამეული — სტალინი, ზინოვიევი და კამენევი — რომელსაც მართვის სადავე უპყრია ხელთ. სწორედ ამ ტრიუმვირატში მოიყარა თავი პარტიულმა (გენმდივანი სტალინი), საერთაშორისო მუშათა კლასზე (კომინტერნის თავმჯდომარე ზინოვიევი) და მთავრობის (კამენევი) ხელისუფლებამ. და ტროცკის მისი „ფარნით“ კრემლის ოლიმპის მწვერვალისკენ გზა აღკვეთილი აქვს.

ისტორია მეორდება. როდესღაც, ძალიან დიდი ხნის წინ, რევოლუციურ საფრანგეთს სამი კონსული მართავდა — ბონაპარტი, როჟე-დიუკო და სიესი. ეს უკანასკნელი მაშინ გულუბრყვილოდ თვლიდა, რომ ამ სამეულში პირველია. როჟე-დიუკო მისი მარჯვენა ხელი იქნება, გენერალი ბონაპარტი კი — დაშნა.

მთელი უბედურება (სიესისთვის) ის იყო, რომ ბონაპარტი სხვაგვარად ფიქრობდა.

დაახლოებით ასეთი პატივმოყვარე აზრები ირეოდა გრიგორი ზინოვიევის თავშიც. და უნდა ითქვას, რომ ამისათვის სრული საფუძველი ჰქონდა. ჯერ კიდევ ლენინის სიცოცხლეში პარტიის ყრილობაზე, რომელსაც მძიმედ დაავადებული ბელადი არ ესწრებოდა, სწორედ ზინოვიევმა გააკეთა ცკ-ის პოლიტიკური მოხსენება, ანუ თავად ლენინის როლში გამოვიდა. პირველ, ლენინისშემდგომ ყრილობაზეც პოლიტმოხსენებით ტრიბუნაზე სწორედ ის გამოჩნდა. სტალინმა კი ორივეჯერ მეორეხარისხოვანი ორგმოხსენება გააკეთა. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ **ზინოვიევმა სიესის საბედისწერო შეცდომა გაიმეორა და დაასკვნა, თითქოს ამიერიდან ის არის ბელადი, კამენევი მისი თანაშემწეა მთავრობაში, ხოლო სტალინი — პარტიის გუშაგი.**

გამოფხიზლებას მცირე დრო დასჭირდა. როდესაც ზინოვიევი და კამენევი საკუთარ შეცდომას მიხვდნენ, საიდუმლოდ შეკრეს პირი გუშინდელ მტერთან — ტროცკისთან, რათა სტალინისთვის ზურგში მიეყენებინათ დარტყმა.

როგორ ხდებოდა ეს და რით დასრულდა, მომდევნო თავში მოგითხრობთ.

# ზურგში ★

***სანამ ხელმძღვანელი სამეულის ურთიერთობებზე გადავიდოდეთ, ვეცდებით, სახელდახელოდ მოვხაზოთ სტალინის ორი მაშინდელი თანამოსაგრის — ზინოვიევისა და კამენევის პორტრეტები. ისინი თანატოლები იყვნენ, ორივე 1883 წელს დაბადებული, თუმცა, აბსოლუტურად განსხვავებული ადამიანები, ხასიათითაც და რევოლუციამდე მისასვლელად განვლილი გ ზითაც.***

ზინოვიევი (რადომისლსკი), მდიდარი მევახშის შვილი ქალაქ ელიზავეტგრადიდან, ფაქტობრივად, უწიგნური იყო, „საშინაო განათლება მიიღო“, ყოველ შემთხვევაში, ასე წერდა ანკეტებში. თუმცა, 1900-იანი წლებიდან გამუდმებით საზღვარგარეთ ყოფნისას ბერნის უნივერსიტეტში შესვლა სცადა, მაგრამ პირველსავე გამოცდაზე ჩაიჭრა. ლენინი ჯერ კიდევ 1903 წელს გაიცნო და გულმოდგინედ ქმნიდა ლეგენდას საკუთარ თავზე, როგორც ბელადის უახლოეს მეგობარსა და თანაშემწეზე. სხვა ბოლშევიკი ლიდერებისაგან განსხვავებით, მეფის მთავრობის მიერ რეპრესირებული ერთხელაც არ ყოფილა. ხოლო 1917 წელს, როგორც გაზეთ „ნოვაია ჟიზნში“ გამოქვეყნებული სტატიიდან ვიცით, კამენევთან ერთად დროებით მთავრობას შეიარაღებული აჯანყების გეგმები გადასცა. მაშინ ლენინმა ორივეს პარტიიდან გარიცხვა მოითხოვა და სტალინი რომ არა, რომელიც მათ გამოესარჩლა, ზინოვიევისა და კამენევის პოლიტიკური კარიერა მაშინვე დასრულდებოდა. **გთავაზობთ 1903 წლიდან პარტიის წევრის, კომინტერნის თანამშრომლის ა. კუუსინენის წერილის ნაწყვეტს:**

„ზინოვიევის პიროვნება განსაკუთრებულ პატივისცემას არ იწვევს, უახლოეს გარემოცვას ის არ უყვარს. პატივმოყვარეა, ცბიერი, ადამიანებთან უხეში და გაუთლელი. ეს არის თავქარიანი მექალთანე, რომელიც დარწმუნებულია საკუთარ მომხიბვლელობაში...“

ამ მოწმობის ღირებულება იმაში მდგომარეობს, რომ ის დაწერილია არა ზინოვიევის დაცემის, არამედ მისი კარიერის გაფურჩქვნის ხანაში. როდესაც ეს სტრიქონები იწერებოდა, ზინოვიევი კომინტერნის თავმჯდომარე, ანუ წერილის ავტორის უშუალო უფროსი იყო.

კამენევი (როზენფელდი) ზინოვიევის სრული ანტიპოდია. ის მოსკოვში დაიბადა, მოხელის ინტელიგენტურ ოჯახში. მალე მისი მშობლები ტფილისში გადმოსახლდნენ და კამენევმა კლასიკური გიმნაზია აქ დაამთავრა. შემდეგ მოსკოვის უნივერსიტეტში შევიდა, რომელიც წარჩინებით დაამთავრა. კამენევის მთელი რევოლუციური მოღვაწეობა ამიერკავკასიაში მიმდინარეობდა, სადაც ჯერ კიდევ მაშინ დაუახლოვდა რევოლუციონერ კობას. მრავალჯერ დააპატიმრეს. ტურუხანსკში გადასახლებას სტალინთან ერთად იხდიდა. და 1917 წლის თებერვლის რევოლუციის მიერ გათავისუფლებული, მასთან ერთად ჩავიდა რევოლუციურ პეტროგრადში. კამენევი მაღალერუდირებული, ინტელიგენტი, მაგრამ რბილი ხასიათის, მგრძნობიარე ადამიანი იყო. ის რომ სტალინის გავლენის სფეროში დარჩენილიყო, როგორც ეს ამიერკავკასიის იატაკქვეშეთის ან ტურუხანსკის გადასახლების დროს იყო, ალბათ, ბელადის ერთ-ერთი თანამოსაგრე იქნებოდა კაგანოვიჩთან, ვოროშილოვთან, მოლოტოვთან ერთად. მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ოქტომბრის შეიარაღებული აჯანყების მზადების პერიოდში კამენევი ზინოვიევმა აიყოლია, მას შემდეგ ის უცვლელად მისი გავლენის ქვეშ იყო და კატასტროფაც მასთან ერთად განიცადა. აი, როგორ აფასებს ამ კავშირს **მოლოტოვი:**

„ისე გამოვიდა, რომ ზინოვიევისა და კამენევის გვარები დაწყვილდა. მაგრამ ისინი სრულიად განსხვავებული ადამიანები არიან. ზინოვიევი ყბედია, როგორც იტყვიან, უძვლო ენა აქვს. მაგრამ ის „შემგუებელია“, პოლიტიკაში — ავანტიურისტი. თავი ლენინელად მოჰქონდა. მაგრამ, რა თქმა უნდა, ლენინელი არ ყოფილა. კამენევი უფრო სოლიდურია, ღრმა. ზინოვიევი წაილაჩრებს. აი, კამენევს კი მტკიცე ხასიათი აქვს. მაგრამ უცნაურია — მთლიანად ზინოვიევის გავლენის ქვეშაა. გაუგებარია, რით მოაჯადოვა ასე...“

საკითხავია, რამ გააერთიანა ისეთი განსხვავებული ადამიანები, როგორებიც სტალინი, ზინოვიევი და კამენევი იყვნენ, რა მოსაზრებით წავიდა ცკ-ის გენერალური მდივანი მათთან კავშირზე?

**ამ კითხვასაც ვიაჩესლავ მოლოტოვი უპასუხებს:**

„მათ ტროცკისთან ერთობლივი ბრძოლა აერთიანებდა. საქმე ის არის, რომ ორივე, ტროცკიც და ზინოვიევიც, ლენინის შემდეგ პირველ ადგილს იჩემებდა. სტალინი კი არაფერზე აცხადებდა პრეტენზიას და ჩრდილში რჩებოდა. მუსირებდა ვერსია, რომ სტალინმა პარტიას ლენინის ანდერძი დაუმალა, რომელშიც ის გენსეკის პოსტიდან სტალინის გადაყენებას სთავაზობდა. ეს, რა თქმა უნდა, სისულელეა. სტალინის ინიციატივით ეს ანდერძი პირველი ლენინისშემდგომი ყრილობის დელეგატებს წაუკითხეს. თანაც, საგულისხმოა, რომ ამას ერთხმად ეწინააღმდეგებოდნენ როგორც ტროცკი, ისე ზინოვიევი და კამენევი. და ეს გასაგებია. დახასიათებები, რომლებითაც ისინი ლენინმა დააჯილდოვა (ტროცკი „არაბოლშევიკი“, ზინოვიევი და კამენევი კი — „რევოლუციის შტრაიკბრეხერები“), ბევრად იმაზე გესლიანი იყო, რაც სტალინისთვის გაიმეტა. მეტსაც გეტყვით. მას შემდეგ, რაც ლენინის ნება ყველა დელეგატს ეუწყა, სტალინმა თავისი გადადგომის შესახებ გამოაცხადა, მაგრამ ეს გადადგომა არ მიიღეს. და ყველაზე მხურვალედ მის წინააღმდეგ ისევ ტროცკი, ზინოვიევი, კამენევი გამოვიდნენ. პარადოქსია? დიახ, ერთი შეხედვით. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ მათი აზრით, სტალინი კვლავ კულისებსმიღმა დარჩებოდა, ხოლო პირველ ვიოლინოზე ან ტროცკი დაუკრავდა, ან — ზინოვიევი. ალბათ, ამიტომ ებღაუჭებოდა ზინოვიევს კამენევი, რადგან თვლიდა, რომ ლენინის შემდეგ სწორედ ის ჩაუდგებოდა სათავეში პარტიასა და ქვეყანას, სტალინი კი, ასე ვთქვათ, მეორეხარისხოვან ფიგურად, აპარატის ხელმძღვანელად დარჩებოდა. არ უნდა დაივიწყოთ, რომ ზინოვიევს იმ დროს კომინტერნი ეჭირა ხელში. არანაკლებ (ან უფრო მეტ) ძალას წარმოადგენდა ტროცკი. ის ჯერაც არმიის სათავეში იდგა. გაერთიანებული ძალით ტროცკი ჩამოაგდეს. და სწორედ მაშინ მიხვდნენ ზინოვიევი და კამენევი, რომ სტალინი არც ისე გულუბრყვილოა, როგორც ეგონათ, რომ მორჩილ იარაღად მას ვერ გამოიყენებენ, რომ ის მათ დაკრულზე არ იცეკვებს...“

დავამატებთ, რომ სტალინი ამ კავშირზე, როგორც ჩანს, პირადი მოსაზრებით წავიდა. ბევრი მოწმობს, რომ ტურუხანსკში კამენევი სტალინისთვის ყველაზე ახლობელი ადამიანი იყო. გარდა ამისა, პეტროგრადში ჩამოსვლის შემდეგ მათ საკმაოდ შეთანხმებულად აწყვეს ერთობლივი მუშაობა პარტიის ცკ-სა და „პრავდის“ რედაქციაში, რომელთა ფაქტობრივი ხელმძღვანელი იმ პერიოდში სტალინი იყო. მოკლედ, როგორც ჩანს, სტალინს ეჩვენებოდა, რომ ტრიუმვირატში თავის მხარეზე კამენევის გადაბირებას შეძლებდა და ორი ხმით ერთის წინააღმდეგ იმ პოლიტიკას გაატარებდა, რომელიც იმ დროს პარტიისა და სახელმწიფოსთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო.

პირველი სერიოზული კონფლიქტი სტალინსა და ზინოვიევს შორის 1923 წლის შემოდგომაზე ჰამბურგის აჯანყებასთან დაკავშირებით მოხდა. ლენინი ამ დროს უკვე ქმედუუნარო იყო. ზინოვიევმა, როგორც კომინტერნის ხელმძღვანელმა, სტალინთან და პოლიტბიუროსთან შეუთანხმებლად გასცა დირექტივა გერმანიის ერთ-ერთ მსხვილ სამრეწველო ცენტრში შეიარაღებულ აჯანყებაზე, რადგან თვლიდა, რომ ეს პერმანენტულად გამოიწვევდა გამოსვლებს მთელ ქვეყანაში და გერმანიას გაასაბჭოებდა. როდესაც ეს სტალინმა შეიტყო, კატეგორიულად შეეწინააღმდეგა (იმ მომენტში მას კამენევმა და ხელმძღვანელობის სხვა წევრებმაც დაუჭირეს მხარი) და ზინოვიევი იძულებული გახდა, თავისი განკარგულება მოეხსნა. გარკვეული ხნის შემდეგ მან ისევ თვითნებურად განაახლა ეს დირექტივა იმ მოტივით, რომ ჰამბურგში აჯანყებისათვის ყველაფერი მზად იყო. სტალინმა ისევ მძაფრი წინააღმდეგობა გაუწია და აიძულა ზინოვიევი, გამოსვლის გაუქმება ებრძანებინა, მაგრამ გვიანღა იყო. ჰამბურგი აჯანყდა. მუშები გმირულად იბრძოდნენ და ბარიკადებზე სამი დღე გაძლეს. მაგრამ აჯანყება სასტიკად იქნა ჩახშობილი. გერმანიას დაპატიმრებათა და რეპრესიების ტალღამ გადაუარა. მსხვერპლის რიცხვი ათასებს მოითვლიდა.

**ძველი ბოლშევიკის დავით ლომაიას მონათხრობიდან:**

„20-იანი წლების დასაწყისში გერმანიაში მიმავლინეს იატაკქვეშა პარტიული მუშაობისათვის. ოფიციალურად სტუდენტად ვითვლებოდი, კონსპირაციულ სახელად კი ვილი გროსშმიდტი შემირჩიეს. ჰამბურგელ ბოლშევიკთა ხელმძღვანელის ერნსტ ტელმანის განკარგულებაში გადავედი. გამგზავრების წინ ინსტრუქტაჟი კარლ რადეკმა ჩამიტარა. ჩვენი საუბრის დროს კაბინეტში ამხანაგი კობა შემოვიდა. ის ჩუმად გვისმენდა. მერე, თავის მხრივ, რამდენიმე რეკომენდაცია დაამატა, ბოლოს კი გვერდზე გამიყვანა და ქართულად მითხრა: „ჭკვიანურად მოიქეცით. არანაირ ავანტიურაში არ გაებათ. ახლა ჩვენი მთავარი ამოცანაა, გერმანიაში მძლავრი ერთიანი პარტია გვყავდეს. ტელმანთან ახლოს იყავით, ის ნამდვილი ადამიანია.“ სამწუხაროდ, ავანტიურის გარეშე ვერ გადავრჩით. და მისი ფასი სისხლის მდინარეები იყო. სტალინს თითქოს გულმა უგრძნო. იმ ჯოჯოხეთიდან ცოცხალმა სასწაულით გამოვაღწიე...“



# გამოქვაბულის ადამიანები

●

ჰამბურგის შემდეგ სტალინი თავის სვლას აკეთებს. მისი მცდელობით გერმანიის პარტიის ხელმძღვანელობა, ზინოვიევის ერთგული ბრანდლერის სახით, გადააყენეს და გერმანიის კომუნისტურ პარტიას სათავეში სტალინისა და მისი ხაზის უსაზღვროდ ერთგული ერნსტ ტელმანი ჩაუდგა. ამგვარად, სტალინმა ზინოვიევის ნიადაგს ევროპის ყველაზე მსხვილი პარტია გამოაცალა.

როგორც ჩანს, ეს ნაბიჯი აიძულებს ზინოვიევს, სტალინის წინააღმდეგ ფარული ომი დაიწყოს. და აი, იმავე 1923 წელს, კისლოვოდსკში დასასვენებლად ყოფნისას, ზინოვიევი და კამენევი „საჭირბოროტო შიდაპარტიული საქმეების“ განსახილველად აგროვებენ ჯგუფს, რომელშიც მოსაჩვენებლად სტალინის მომხრეებიც შეჰყავთ. შეხვედრა კისლოვოდსკთან მდებარე ერთ-ერთ გამოქვაბულში ხდება და ამიტომ მასზე მიღებულ პლატფორმას პარტიულ ლიტერატურაში „გამოქვაბულის პლატფორმა“ ეწოდა. ზინოვიევ-კამენევის გარდა შეხვედრას ფრუნზე, ლაშევიჩი, ევდოკიმოვი, ორჯონიკიძე და ცკ-ის სხვა წევრები ესწრებიან, რომლებიც იმ დროს კისლოვოდსკში ისვენებდნენ. ერთი შეხედვით, ზინოვიევის მიერ შეთავაზებული დღის წესრიგი უწყინარია — უნდა გაძლიერდეს ცკ-ის სამდივნოს სტალინური ხელმძღვანელობა და ამ მიზნით იქ რამდენიმე ნაცადი ამხანაგი შეიყვანონ. ასეთ ამხანაგებად ზინოვიევი თვლის ორჯონიკიძეს, ზოგიერთ სხვა პერსონას და, ბუნებრივია, საკუთარ თავს.

**მოლოტოვს მოვუსმინოთ:**

„ზინოვიევმა საძაგელი ინტრიგა წამოიწყო სტალინის და მთელი ჩვენი ჯგუფის წინააღმდეგ, რომელიც სტალინის გარშემო შეიკრა. კისლოვოდსკის გამოქვაბულში ის უმტკიცებდა ცკ-ის წევრებს, რაც მთავარია, ფრუნზეს და რომანტიკულად გულუბრყვილო ორჯონიკიძეს, რომ სამდივნოს პოლიტიზებაა საჭირო. იქ ახლა მხოლოდ ერთი პოლიტიკოსია — სტალინი. არადა, უნდა შეიქმნას ისეთი სამდივნო, რომელშიც რამდენიმე მსხვილი პოლიტიკოსი შევა, თუნდაც იგივე ორჯონიკიძე და, ბუნებრივია, თვითონ და კამენევი. ეს სტალინს მუშაობაში დაეხმარება. რაღა თქმა უნდა, აქედან არაფერი გამოვიდა. ძერჟინსკი აღშფოთდა — „თქვენ პოლიტიკანობთ,“ სტალინს კი ამ ამბის გაგებისას მხოლოდ გაეცინა: „ოჰ, თქვე გამოქვაბულის ადამიანებო.“ ზინოვიევის გათვლა აშკარა იყო — სტალინის უმცირესობაში დატოვება.“

●

ფარულ ბრძოლაში დამარცხების შემდეგ ზინოვიევი აშკარა შეტევაზე გადადის. პარტიის მე-14 ყრილობაზე (1925 წ.) ის კამენევის, სოკოლნიკოვის და რამდენიმე სხვა დელეგატის მხარდაჭერით „ლენინის ნების აღსრულებას და გენმდივნის პოსტიდან ამხ. სტალინის გადაყენებას“ ითხოვს. მაგრამ ზინოვიევი ღია კარს ამტვრევს. ცოტა ხნით ადრე თავად სტალინმა ცკ-ს ასეთი განცხადებით მიმართა:

„ლენინის წასვლის, მერე კი გარდაცვალების შემდეგ წელიწადნახევრის განმავლობაში პოლიტბიუროში ამხ. ამხ. ზინოვიევთან და კამენევთან მუშაობამ ჩემთვის სავსებით ცხადი გახადა, რომ ამ ამხანაგებთან ერთი კოლეგიის ჩარჩოებში პატიოსანი და გულახდილი ერთობლივი პოლიტიკური მუშაობა შეუძლებელია. ამასთან დაკავშირებით, გთხოვთ, ცკ-ის პოლიტბიუროს შემადგენლობიდან გასულად ჩამთვალოთ.

იქიდან გამომდინარე, რომ გენერალური მდივანი არ შეიძლება არ იყოს პოლიტბიუროს წევრი, გთხოვთ, ცკ-ის სამდივნოს (და ორგბიუროს) შემადგენლობიდან გასულად ჩამთვალოთ.

გთხოვთ, მომცეთ ორი თვის შვებულება სამკურნალოდ.

შვებულების დამთავრების შემდეგ გთხოვთ გამანაწილოთ ან ტურუხანსკის მხარეში, ან იაკუტიის ოლქში, ან სადმე საზღვარგარეთ რაიმე შეუმჩნეველ სამუშაოზე.

პლენუმს ვთხოვ, ყველა ეს საკითხი უჩემოდ და ჩემი მხრიდან რაიმე განმარტების გარეშე გადაწყვიტოს, რამეთუ საქმისათვის საზიანოდ ვთვლი განმარტებების მიცემას, გარდა იმ შენიშვნებისა, რომლებიც ამ წერილის პირველ აბზაცშია მოყვანილი.

ამხ. კუიბიშევს ვთხოვ, ცკ-ის წევრებს ამ წერილის ასლები დაურიგოს. კომუნისტური სალმით ი. სტალინი.“

რეაქცია ამ დემარშზე ერთსულოვანი იყო. ხმათა დიდი უმრავლესობით ცკ-მ სტალინი გენმდივნის პოსტზე დატოვა. შეიქმნა სიტუაცია, როდესაც ტურუხანსკის ან იაკუტიისაკენ გამგზავრება, ჩანს, ზინოვიევს და კამენევს მოუწევდათ.

***გაგრძელება იქნება***

# ეს ჩვენი ომი იყო!



## გამარჯვება 80 წლისაა! ★

დასაწყისი „გენერალისიმუსის“ პირველ გვერდზე

ლური გამარჯვებით დასრულდა, **ქართველების ომი** ბევრი მიზეზის გამო იყო!

ჯერ ერთი, ამ ომში ყველაზე მეტი ქართველი იბრძოდა. ზუსტი სტატისტიკის მოტანა შეუძლებელია, მაგრამ ცნობილია, რომ **დიდ სამამულო ომში დაახლოებით 700 ათასი ქართველი წავიდა და აქედან 300 ათასზე მეტი ბრძოლის ველზე დაეცა.** ყველაზე მეტი ქართველი — დაახლოებით 90 ათასი კაცი, სწორედ წყეულ ყირიმში — ქერჩსა და სევასტოპოლში დაიღუპა. ქერჩის სრუტე მთელი ერთი კვირის განმავლობაში ქართველი ვაჟკაცების სისხლით იყო გაწითლებული.

ეს ყველაფერი უტვინო და უნიჭო ებრაელი პარტმუშაკის, **ქართველთმოძულე ლევ მეხლისის** კისერზეა. როგორც სააკაშვილის ხელისბიჭი და მებორდელე **გიგი უგულავა** ერეოდა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს სამხედრო საქმეებში, სწორედ ისე მოიქცა ე.წ. „გენერალი“ და გაზეთ „პრავდის“ ყოფილი რედაქტორი **ლევ მეხლისი** ყირიმში, რამაც საშინელი კატასტროფა და ქართველების უზარმაზარი მსხვერპლი მოიტანა!

ომი ისე დასრულდა, საქართველოში სამხედრო კომისარიატების წინ ახალგაზრდების რიგი არ შეწყვეტილა. ქართველები ომში მიიჩქაროდნენ, რადგან იცოდნენ, რომ მათი მთავარსარდალი ქართველი იყო — **დიდი სტალინი, გორელი „სოსელო“...**

ქართველები ომში მიიჩქაროდნენ, რადგან იცოდნენ, რომ თვალუწვდენელი საბჭოთა იმპერიის სპეცსამსახურებსა და საიდუმლო სამსახურებს სწორედ ქართველი კაცი ხელმძღვანელობდა — ვირტუოზი და ნიჭის ფოიერვერკი **ლავრენტი ბერია**, რომლის ხელშიც თბილისი საქართველოს დედაქალაქად იქცა და სომხური ბურჟუაზიის წუმპიდან, როგორც იქნა, ამოვიდა!

მეორე მსოფლიო ომში უდიდესი და გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა კავკასიისთვის ბრძოლას, რომელიც **1942 წლის 25 ივლისს** დაიწყო და **1943 წლის 9 ოქტომბერს** ტრიუმფალური გამარჯვებით დასრულდა! შემთხვევითი არ გახლავთ ის ფაქტი, რომ **იალბუზიდან ფაშისტური დროშები 1943 წლის 13 თებერვალს სწორედ ქართველებმა — ბექნუ და გაბრიელ ხერგიანებმა** ჩამოხსნეს!

ქართველი გენერლის — **„ბაგრატიონის“** სახელი ეწოდა კაცობრიობის ისტორიაში უდიდეს სახმელეთო ოპერაციას, რომელიც **1944 წლის 23 ივნისს** დაიწყო და **1944 წლის 29 აგვისტოს** ბელორუსიის, ლიტვისა და პოლონეთის აღმოსავლეთის გათავისუფლებით დასრულდა!

**1945 წლის 9 აპრილს** აღმოსავლეთ პრუსიაში სწორედ **ქართველმა გენერალ-პოლკოვნიკმა პორფილე ჩანჩიბაძემ** აიღო კენიგსბერგის უძლიერესი ციხე-ქალაქი, რომელიც მესამე რაიხის გერმანულ იმპერიაში ერთ-ერთი ყველაზე უკეთ დაცული სამხედრო ობიექტი იყო. ამის გამო **სტალინმა პორფილე ჩანჩიბაძეს** საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიანიჭა. უფრო მეტიც, **ჩანჩიბაძე** მარშალიც გახდებოდა, რომ არა მძიმე ცხოვრებისეული შეცდომა — მან გარდაცვლილი მეგობრის ქვრივი შეირთო ცოლად! **ქართველმა სტალინმა ქართველ პორფილე ჩანჩიბაძეს ეს არაქართული საქციელი არ აპატია და მისი გვარი და სახელი წითელი ფანქრით თავისი ხელით ამოშალა იმ გენერლების სიიდან, რომლებსაც მარშლის წოდება უნდა მინიჭებოდათ და ბელადს ხელმოსაწერად შეუტანეს!**

ქართველები დიდ სამამულო ომში ყველგან, ფრონტის ურთულეს უბნებზე იბრძოდნენ. ბოლოს და ბოლოს, ქართველმა **მელიტონ ქანთარიამ 1945 წლის 30 აპრილს, 21:50 საათზე, მიხეილ ეგოროვთან** ერთად რაიხსტაგზე გამარჯვების დროშა აღმართა!

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ვინც იტყვის, რომ დიდი სამამულო ომი ჩვენი ომი არ იყო, ის ან კრეტინია, ანდა ლგბტ აგენტი, რომელსაც ტაკიმასხარა და ქვეყნის დამღუპველი **ზელენსკი კეისარი** ჰგონია, მუცელზე მფორთხავი **სააკაშვილი — ნაპოლეონი,** ხოლო ბოტასებაყროლებული **ნანულიე ჟორჟოლიანი — ღვთისმშობელი!**

**შეუძლებელია, 700 ათასი ადამიანი საშინელ ომში ძალით წაიყვანო!**

დიდ სამამულო ომში ქართველები ღიმილით მიდიოდნენ, ზუსტად ისე, როგორც დიდგორში, მარტყოფსა და ხრესილში, რადგან შეიქმნა სიტუაცია, როცა ერის ისტორიულ მეხსიერებაში მოხდა წარმოუდგენელი გაროვევა და **დავით აღმაშენებელი, გიორგი სააკაძე და სოლომონ პირველი დიდ სტალინში გაერთიანდნენ!**

## ის ომი ჩვენი ომი რომ იყო, იმიტომაც მოვიგეთ! იმის შემდეგ საქართველოს არ გაუმარჯვია!

*დიტო ჩუბინიძე*





**80 წლის წინათ:** ფაშისტური გერმანიის სრული და უსიტყვო კაპიტულაციის აქტი ძალაში შედის

გენერალისიმუსი
2025 წლის 5 მაისი. №18 (314)

სარედაქციო კოლეგია
**„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი.** ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com ფეისბუქი: www. facebook.com/Asavali.com გამოდის **2003 წლის 7 აპრილიდან.**

# მო გელა ნდებით!



## მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ზედელაშვილთან ერთად

# მუმიების წამოდგომა

ამოვლენ ხოლმე ეს **მუმიები,** ჩამაიფერთხავენ მტვერსა, მაიშორებენ აბლაბუდებსა, მიუსხდებიან „სტოლსა“ და ისაო, **ახალი არჩევნები უნდა ჩავატაროთო...** ბებიათქვენისამ... ბარემ **ტუტანჰამონიც** წემეგეყვანათ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ და ის ჩაგიტარებდათ ყოველგვარი გაყალბების გარეშე. ჰო, **რამზეს პირველი** ბიულეტენებს გადაგითვლიდათ, **რამზეს მეორე** კი წინასწარ შედეგებს გამოგიქვეყნებდათ. ეხლა არ მითხრათ, **სარკოფაგის** სახურავი შემთხვევით დაგვრჩა ღიაო. დაგრჩათ და ამათ ვინღა ჩარეკავს უკან? ან სხვებიც არ ამოვლენ? **სხვებსაც არ მოუნდებათ ახალი არჩევნები და თანამდებობები?**



ელენე ხოშტარია და სალომე ზურაბიშვილი



ბადრი ჯაფარიძე, გიორგი ვაშაძე და აკაკი ბობოხიძე



# რას მოქანდებოდა!

ეს **მამალი ქალი,** ყბები რო გადასჩაჩვია გაფუჭებულ „ზმეიკასავით“, რუსთავიდან ჩამოქანდა თბილისში — არიქა, 1937 წელი დაიწყო-ვო!

**რას ჰქვია, ნანუკას სახლს უჩხრიკავენო? ქალი, რომელიც მთელ საქართველოს ხვთისშობლივით არი გადაფარებული, ამ დღეში უნდა ჩააგდონო?**

**დიახ, მთელ საქართველოს მაგისი კალთა ფარავსო, დედა ნანუკასიო, ერთი დედა ტერეზა იყო და მეორე ეს არიო. დედა ტერეზა ამასთან შედარებით არიფი იყოვო, ეს კიდენა ხვთისშობელიაო.**

☺

რუსთავიდან **გამოვქანდი** გულგახეთქილიო, კაცოოოო, რუსთავიდანო! საქართველოში 1937 წელი დაიწყოვო!

**1937 არა, 1917 კიდე, ქალო, წადი, სადმე მიწა ამოჩიჩქნე, წიწმატი დათესე, ორ კვირაში ამოა, მარილში ჩააწე, პური მიატანე, ფისი ქენი, კუშეტკაზე წამოწექი, „თხა და გიგო“ წაიკითხე, დაიძინე, რას დასწანწალებ ამ წუნწკლიან ამინდში?!**

# კურკუმალის გარღვევა

**ერთობლივი სახალხო აჯანყება** თავისი თავდაცვითი და წინააღმდეგობრივი მოძრაობით მოაწყო **ლენინმა** 1917-ში, მაგრამ, სანამ მაგას იზამდა, ჯერ უამრავი მეცნიერული ნაშრომი დაწერა და კრიტიკულ სიტუაციაში მარქსისა და ენგელსის ნაშრომებიც მაიშველია.

**გავარღვიოთო...** არადა, **გასარღვევად** რო მიდიხარ, **კურკუმალ,** მუშათა კლასი დარაზმული გყავს? გლეხებს ფიწლები ალესილი აქვთ? ფაბრიკა-ქარხნებს ვის აძლევ, **ნანუკა ჟორჟოლიანს?** მიწებს ვის ურიგებ, **კობა ხაბაზსა და ნიკოლოზ მაჟუტაძეს?** გეუბნები — დაყენდი, მოემზადე, ყველაფერი კარგად გაიაზრე და **გასარღვევად** იგრე გამოქანდი პირდაპირ მთაწმინდიდან!

**მაგ „ბაგაჟით“ დიდი-დიდი, საკუთარი საბნის ჩიხოლი და ტრუსიკი გაარღვიო, მეტს ვერაფერს იზამ!**

## ლევან ხაბეიშვილი:

**ამათი დღეები დათვლილია, კარგად ორგანიზებული, ერთობლივი სახალხო აჯანყება თავისი თავდაცვითი, წინააღმდეგობრივი მოძრაობით, ამ შემთხვევაში უპირობოდ გავარღვევთ!**



# გაფრენა-გამოფრენის შესახებ



## მიხეილ სააკაშვილი:

**ევროპის ყველაზე დიდი პოლიტიკური ოჯახისაგან (EPP) მივიღე მოწვევა ევროპის სახალხო პარტიის კონგრესზე, რომელიც იმართება 29-30 აპრილს ვალენსიაში!**

მას შემდეგ, რაც **„ვივამედში“ წამოკოტრიალდა, წამდაუწუმ ეპატიჟებიან — ჩამო, ჩამო, ჩამოვო!**

ვერ ჩადის... და ამ 5 დღის წინათაც ვერ გამოუვიდა **გაფრენა** ვალენსიაში!

თქვენ კი ეუბნებოდით, **წადიო, „ვივამედის“ კარი ღიააო, გაგწერთო,** მაგრამ მთავარი კაცი ნაწუწნ კანფეტ რო დაამსგავსეთ, ეგ არაფერი? ვალენსიაში რო ჩასულიყო, იქ ვინღა იცნობდა? არ ეტყოდნენ, **შენ ის მიშა არა ხარო?** გინდოდათ, უხერხულ მდგომარეობაში ჩაგვეგდოთ?

**ნურას უკაცრავად!**

☺

ისე კი, ეს მაგრად რო **აფრენს,** მაგას ვხედავთ, მაგრამ **ამ ევროპელებს ამდენი რაღათ ასხიათ?**

გასაგებია, ყველა ევროპელი და ამერიკელი გენიოსი ვერ იქნება, მაგრამ რაღაც შუალედი ხომ არსებობს? ასე რომ, იქნებ მომავალში მაინც აღარ დაპატიჟონ, თორემ მართლა რომ **გაფრინდეს,** მერე სადღა მიდიან?

## მამუკა კვარაცხელია:

# ტკივილს ვითმენდი და ხმას არ ვიღებდი, მაგრამ მერე მივხვდი, რომ, პირიქით, უნდოდათ, შევხვეწებოდი – ბიჭებო, არ მომკლათ...

## სააკაშვილის რეჟიმი ქართული




***სააკაშვილის რეჟიმი, როგორც ყოვლისმომცველი ბოროტება, თავის მსახვრალ ხელს იმ სფეროებშიც აფათურებდა, რომლებსაც ბინძური პოლიტიკური ინტრიგები, წესით, არ უნდა მიკარებოდა ან ყველაზე ნაკლებად შეხებოდა. ასეთი იყო, მაგალითად, სპორტი და, უპირველეს ყოვლისა, ქართული ფეხბურთი, რომელიც სააკაშვილის 9-წლიანი მმართველობის განმავლობაში უკიდურესად სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა და სამარცხვინოდ დაჩაჩანაკდა, რაც ნაციონალური მოძრაობის მიერ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში დატრიალებული უპრეცედენტო მავნებლობის პირდაპირი შედეგი გახლდათ.***

სწორედ ამ თემას — **სააკაშვილის რეჟიმის მიერ ქართული ფეხბურთის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულს** მიეძღვნა პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის 2025 წლის 28 აპრილის სხდომა, რომელზეც **სახელოვანი ქართველი ფეხბურთელი, საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი კაპიტანი გიორგი ნემსაძე და ცნობილი სპორტული ჟურნალისტი, ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანოს — უეფას მედიაოფიცერი მამუკა კვარაცხელია** გამოჰკითხეს.

საქმე ის არის, რომ **ნემსაძე და კვარაცხელია** 2007 წელს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობაზე იყრიდნენ კენჭს და უშუალოდ აღმოჩნდნენ იმ სიბინძურის ეპიცენტრში, რომელშიც სააკაშვილის ნაცბანდამ ერთი ხელის მოსმით ამოსვარა ქართული ფეხბურთის წარსულიც, აწმყოცა და მომავალიც.

საგამოძიებო კომისიის სხდომაზე თავდაპირველად **მამუკა კვარაცხელია** წარდგა, რომელიც სააკაშვილის მმართველობის საწყის პერიოდში დანიაში ცხოვრობდა, სწავლობდა და საქმიანობდა. როგორც მან განაცხადა, საქართველოში დაბრუნება და ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად კენჭისყრა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც საქართველოს ეროვნული ნაკრები კოპენჰაგენში დანიის ეროვნულ გუნდთან 1:6 განადგურდა.

— **საბოლოოდ მივხვდი, რომ ქართული ფეხბურთი იღუპებოდა და მის გადასარჩენად რამე უნდა მეღონა!** — ამბობს **კვარაცხელია,** რომელიც 1990 წელს საქართველოს დამოუკიდებელი ფეხბურთის ფედერაციის ერთ-ერთი დამფუძნებელია და სპორტის სფეროში წარმატებული საქმიანობის პარალელურად, თავისი სამოქალაქო პოზიციის აქტიურად გამოხატვასაც არასოდეს მორიდებია. უფრო მეტიც, არასოდეს დაუმალავს კრიტიკული დამოკიდებულება **სააკაშვილის** ხელისუფლების მიმართ!

ჰოდა, ასეთი კაცი — **სააკაშვილის** რეჟიმის მიმართ ოპოზიციურად განწყობილი **მამუკა კვარაცხელია** — საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებში ჩაერთო, თუმცა, როგორც საგამოძიებო კომისიას განუცხადა, ნაცმოძრაობის არცთუ უჩინარი ხელით აღმართულ ბარიერებს თავიდანვე გადააწყდა:

*— დავიწყე შეხვედრები ჩემს მეგობრებთან, რომლებსაც ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებში ხმის უფლება ჰქონდათ, თუმცა, რაღაც გაუცხოების მსგავსი ვიგრძენი. ზუსტად ვიცი, რომ მაშინდელი პრეზიდენტის —* ***სააკაშვილის მხრიდან იყო დავალება, ჩემთვის არცერთი ხმა არ მოეცათ.*** *მიუხედავად ამისა, უკან არ დამიხევია, მაინც ვაპირებდი ყრილობაზე მისვლას და სიმართლის თქმას.*

*არჩევნების წინა ღამეს ორ ამომრჩეველს ვესაუბრე, სახეზე თეთრი ფერი ედოთ და მაჩვენეს, რომ მათ ტელეფონებზე ზემდგომი ორგანოებიდან იყო დარეკილი. ვუთხარი — მორწმუნე კაცი ვარ და თქვენს ცოდვას ვერ დავიდებ, ვისაც გინდათ, იმას მიეცით ხმა-მეთქი!*

***გიორგი ნემსაძეს ძალიან სერიოზული ჯგუფი ეხმარებოდა, იბრძოლა და მოიგო არჩევნები. მეგობრობა — მეგობრობად, მაგრამ საქმე საქმეა და ჩვენ ერთმანეთს დავემშვიდობეთ, თუმცა, გიორგის ბოლო სიტყვა იყო — ფეხბურთის ფედერაცია უშენოდ ვერ წარმომიდგენია და ჩემ გვერდით უნდა იყოო!*** *ვუთხარი — კარგი, ვნახოთ-მეთქი და მეგობრებთან ერთად წავედი ერთ-ერთ კაფეში, სადაც ნახევარ საათში მოვისმინეთ, რომ* ***გიორგი ნემსაძე,*** *რომელმაც არჩევნები დიდი უპირატესობით მოიგო, გადადგა. მსგავსი პრეცედენტი არცერთ ქვეყანაში არასოდეს მომხდარა და, რა თქმა უნდა, ყველანი მივხვდით, საიდან მოდიოდა ეს ყველაფერი.*

რა ლაპარაკი უნდა, რომ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი თანამდებობაზე არჩევიდან 1 საათში საკუთარი ნებით არ გადადგებოდა და **გიორგი ნემსაძის** ეს გადაწყვეტილება ხელისუფლებიდან წამოსული ზეწოლის შედეგი იყო!

**მამუკა კვარაცხელია** ხელისუფლების მხილებას კიდევ უფრო აქტიურად შეუდგა. გამოდიოდა ტელევიზიით, აქვეყნებდა სტატიებს პრესაში, მათ შორის, **„ასავალ-დასავალის“** ფურცლებზე და ხმამაღლა საუბრობდა ქართულ ფეხბურთში არსებული საგანგაშო მდგომარეობის შესახებ. რაც მთავარია, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებში ჩატარებულ სამარცხვინო სპეცოპერაციასთან დაკავშირებით პირდაპირ ადებდა ხელს **პრეზიდენტ სააკაშვილს.**

მერე, როცა გაერთიანებულმა ოპოზიციამ სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ საპროტესტო აქციები დაიწყო, **მამუკა კვარაცხელია** პროტესტს აქტიურად შეუერთდა, არცერთ მიტინგს არ აცდენდა და პარლამენტის წინ კარავშიც შიმშილობდა.

***მამუკა კვარაცხელია:***

*— მე და მორაგბე ბიჭები ვიყავით ერთად და გვინდოდა, ერთ კარავში მოვთავსებულიყავით. თითო კარავში ოთხ-ოთხ კაცს ანაწილებდნენ და ვინც ანაწილებდა, იმან გვითხრა — არ შეიძლება, ერთ კარავში იყოთ, სხვადასხვა ადგილას უნდა გადაგანაწილოთო! მერე მივხვდი, სხვადასხვა კარავში რატომ გადაგვანაწილეს — ყველა კარავში ერთი იყო მოენე თუ მაგათი კაცი, ჩამშვები, აგენტი თუ რაც გინდათ, დაარქვით... მსტოვარი... კარგი ქართული სიტყვაა მსტოვარი... საიდან მივხვდი, რომ მსტოვარი იყო?* ***რამდენიმე ხნის შემდეგ, როცა გამიტაცეს და კარგად „დამამუშავეს“, ის ტიპები, რომლებიც მირტყამდნენ, ზუსტად იმ სიტყვებს მეუბნებოდნენ, რაც მე იქ, კარავში ვთქვი.*** *დღემდე ვერ ვხვდები, ჩემთან ერთად კარავში მყოფი 3 კაციდან რომელი იყო მსტოვარი? ჩემი თავი აშკარად გამოვრიცხე.* ***(იცინის. რედ.).***

კვარაცხელიამ შიმშილობა ერთი კვირის თავზე, ექიმების რეკომენდაციით შეწყვიტა, რადგან მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა, მაგრამ ოპოზიციურ აქტივობასა და საპროტესტო აქციებში მონაწილეობას ძველებურად აგრძელებდა.

2008 წლის 1 ივნისს, როცა თბილისში **შოთა არველაძის** ფეხბურთიდან გაცილების მატჩი იმართებოდა და მის გასაშუქებლად სხვადასხვა ქვეყნიდან ჟურნალისტები ჩამოდიოდნენ, **მამუკა კვარაცხელია საკუთარი ავტომობილით თბილისის აეროპორტისკენ გაემართა, რათა რუს კოლეგას დახვედროდა, მაგრამ დანიშნულების ადგილამდე ვერ მიაღწია.**

***მამუკა კვარაცხელია:***

*— როგორც კი შავი ზღვის ქუჩაზე ავუხვიე, ვხედავ, რომ უნომრო შავი ჯიპი აშკარად მეჯახება. ეტყობა, ვიღაც მთვრალია-მეთქი და მანქანა გვერდზე გადავაყენე. ოთხი 2-მეტრიანი ტიპი გადმოხტა, ეგრევე მეცნენ და შემათრიეს თავიანთ მანქანაში. კინოებში რომ გინახავთ, ეგეთი რაღაც მოხდა. თავზე ეგრევე ნიღაბი ჩამომაცვეს, ხელები ზურგს უკან გამიკრეს და „დამუშავება“ დამიწყეს. როცა ვეღარ ხედავ, გონება მუშაობს და* ***დაახლოებით მიხვდი, რომ თბილისის ზღვაზე ამიყვანეს. იქ წავიდა სერიოზული ფიზიკური „დამუშავება“, ძალიან პროფესიონალური ცემა, ასე ვთქვათ. როგორც მივხვდი, სამი ტიპი მირტყამდა და ერთი რაციაზე „იჯდა“, იმიტომ, რომ რაციის ხმა ისმოდა სულ.*** *იყო საშინელი შეურაცხყოფა, გინებები ახლობლებზე, ოჯახზე...* ***ნიშნობის ბეჭედიც კი მომაძრეს თითიდან, ალბათ, იცოდნენ, რომ ჟურნალისტი ვიყავი და ათივე თითი მომტეხეს.*** *მერე როგორც დასკვნაში წავიკითხე,* ***გატეხილი მქონდა 6 ნეკნი, ლავიწის ძვალი, უკანა ძვალი და ა.შ.*** *თავში არ მირტყამდნენ, რათა არ გავთიშულიყავი, ტკივილი შემეცნო და გამეგო, რატომ მსჯიდნენ.* ***მეუბნებოდნენ სასაცილო ფრაზებს — შენ კაი ბიჭებზე რაღაცა გითქვამსო, ესაო და ისაო...*** *ჩვენ ცხინვალიდან ჩამოვედით შენი მანქანის მოსაპარადო. ესე იგი, 12 წლის „მიცუბიში პაჯეროს“ მოსაპარად ჩამოვიდნენ ცხინვალიდან.* ***(ღიმება. რედ.).***

*ტკივილს ვითმენდი და ხმას არ ვიღებდი, მაგრამ მერე მივხვდი, რომ, პირიქით, უნდოდათ, შევხვეწებოდი —* ***ბიჭებო, არ მომკლათ...*** *დაახლოებით 45 წუთი გაგრძელდა სერიოზული ცემა. ღმერთმა ყველა დაიფაროს, ერთ წერტილში ათჯერ რომ გირტყამენ, ეს არის საშინელი ტკივილი, ჭკუიდან გადაჰყავხარ ტკივილს.*

სასტიკად ნაცემი **მამუკა კვარაცხელია,** რომელიც ხელებსა და ფეხებს ვეღარ გრძნობდა, ვაშლიჯვრის ტყეში, გზასთან ახლოს დააგდეს, სადაც ძაღლმა იპოვა და ყეფა ატეხა, მალე კი ძაღლის პატრონიც გამოჩნდა, რომელსაც **კვარაცხელიამ** შეკრული ხელების გახსნა სთხოვა და თავისი ძმის ტელეფონის ნომერი უკარნახა...

ძმამ რესპუბლიკურ საავადმყოფოში მიიყვანა.

**მამუკა კვარაცხელია იხსენებს, რომ ქართულმა ტელევიზიებმა, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა მაშინ ნაცმოძრაობის მიერ იყო ოკუპირებული, მისი გატაცებისა და ცემის შესახებ ინფორმაცია მხოლოდ საღამოს გაავრცელეს.**

თანაც, ფაქტი ისე გააშუქეს, როგორც რიგითი კრიმინალური შემთხვევა — თითქოს, უეფას მედიაოფიცერი ვიღაც





სასტიკად ნაცემი მამუკა კვარაცხელია. 2008 წლის 1 ივნისი

# გიორგი ნემსაძე:

# სააკაშვილი მეუბნება – ნემსა, სასწრაფოდ გამოაცხადე ახალი ყრილობა და ისე გააკეთე, რომ ეს განცხადება 3-საათიან კურიერში მოხვდესო...



## ფეხბურთის წინაშე ჩადენილ დანაშაულშიც ამხილეს!

ბანდიტებს ავტომობილის წართმევის მიზნით გაეტაცებინოთ!

*მამუკა კვარაცხელია: — ცნობილ ფეხბურთელ **მიქაელ ლაუდრუპს,** რომელიც **შოთა არველაძის** გაცილების მატჩზე იყო ჩამოსული, უეფამ დაავალა, საავადმყოფოში მოვენახულებინე. **ლაუდრუპი** მირეკავს — შენთან უნდა მოვიდეო! მე ვუთხარი — არ მოხვიდე, შენც არ მოგიტაცონ, გოლი შეაგდე ჩემს სახელზე-მეთქი! **(იცინის. რედ.).***

**მამუკა კვარაცხელიას** ბრძოლა არც მას შემდეგ შეუწყვეტია, რაც საავადმყოფოდან გამოწერეს და რეჟიმის მხილებას აქტიურად აგრძელებდა, სანამ ოჯახის წევრების განადგურების მუქარით არ აიძულეს, საქართველოდან წასულიყო.

*მამუკა კვარაცხელია: — ჩემი ალალი მამიდაშვილი, რომელიც წალენჯიხის რაიონის სოფელ საჩინოდან იყო, სრულიად მოულოდნელად მოვიდა ჩემთან, შეშლილი სახე ჰქონდა და რომ ვკითხე, რა მოგივიდა-მეთქი, მითხრა — მტკვრის სანაპიროზე დამიჭირეს, მანქანაში ჩამსვეს, მობილური ტელეფონი ეგრევე მტკვარში გადამიგდეს და ნარკოლოგიურში შემოწმებაზე წამიყვანესო... არ ვუცემივარ, მაგრამ ფსიქოლოგიურად „მამუშავებდნენ“, მერე კი პოლიციის ერთ-ერთი სამმართველოს სარდაფში ჩამიყვანეს და მითხრესო — ვიცით, რომ **მამუკა კვარაცხელია** შენი ბიძაშვილია, შიმშილობდა და შენც ხშირად სტუმრობდი მასთან კარავშიო... **აჩვენეს ჩემს ოჯახზე გადაღებული ფილმი — სად აყენებდა მანქანას ჩემი მეუღლე, დედაჩემი პურის რომელ მაღაზიაში დადიოდა, ჩემი ძმისშვილი ჩემს რძალს რომელ ბაღში დაჰყავდა... კვარაცხელიას** გადაეცი — თუ არ გაჩერდება, ყველაფერი ვიცით მაგაზეო! ალბათ, გესმით, რა მომივიდოდა! ოღონდ ოჯახის წევრებისთვის რამე არ დაეშავებინათ, ჩემი თავი ჯანდაბას-მეთქი და მესამე დღეს წავედი დანიაში, სადაც დიდი სამეგობრო მყავს და ერთ-ერთი ქალაქის საპატიო მოქალაქე ვარ. 6 თვეში დანიურ პასპორტს მაძლევდნენ, მაგრამ არ დავრჩი. ძალიან მინდოდა, 2012 წლის არჩევნებზე ჩემი ხმა დამეფიქსირებინა და თუ „ქართული ოცნება“ ვერ მოიგებდა, მერე წავსულიყავი ქვეყნიდან, მაგრამ მოხდა ისე, რომ მოვიგეთ!*

•

**მამუკა კვარაცხელიას** შემდეგ საგამოძიებო კომისიის წინაშე წარდგა **გიორგი ნემსაძე** — საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი კაპიტანი და 2007 წლის 13 მაისს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის არჩევნებში გამარჯვებული კანდიდატი, რომელიც არჩევიდან 1 საათში იძულებული გახადეს, თანამდებობიდან გადამდგარიყო.

აღსანიშნავია, რომ **ნემსაძე** ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობაზე კენჭს ჯერ კიდევ 2005 წელს იყრიდა, მაგრამ შინაგან საქმეთა სამინისტროში მაღალ თანამდებობაზე მომუშავე მისმა მეგობარმა არჩევნებამდე 3-4 დღით ადრე უთხრა — **გიგი უგულავა** ითხოვს, რომ კანდიდატურა მოხსნაო!

**ნემსაძეს** წინააღმდეგობა არ გაუწევია და კანდიდატურა მოხსნა, რადგან ნაციონალურ მოძრაობას ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად ლეგენდარული ქართველი მწვრთნელის — **ნოდარ ახალკაცის** ვაჟი, უმცროსი **ნოდარ ახალკაცი** ჰყავდა გამზადებული, რომელიც გერმანიიდან საგანგებოდ ჩამოიყვანეს.

რაც შეეხება 2007 წლის 13 მაისის არჩევნებს, **ახალკაცი,** როგორც მმართველი პარტიის ფავორიტი, კვლავ იყრიდა კენჭს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად, თუმცა, ნაციონალური მოძრაობის შიგნით მხარდამჭერები **ნემსაძესაც** ჰყავდა და მან გადაწყვიტა, ამჯერად ბოლომდე ებრძოლა.

კერძოდ, **გიორგი ნემსაძეს** ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობისათვის ბრძოლაში მხარს უჭერდა მისი სიჭაბუკის მეგობარი, ნაციონალური მოძრაობის წევრი **დავით კირკიტაძე,** რომელიც არწმუნებდა — ხელისუფლებაში პოლიტიკური ნება არსებობს, რომ არჩევნები გამჭვირვალედ და ობიექტურად ჩატარდესო!

ცხადია, ეროვნული ნაკრების ყოფილ კაპიტანს საფეხბურთო სამყაროშიც დიდი მხარდაჭერა ჰქონდა და სამართლიან არჩევნებში გამარჯვებას იმედოვნებდა!

გაიმარჯვა კიდეც!

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებში **გიორგი ნემსაძემ** 19 ხმა მიიღო და მეორე ადგილზე გასულ **ნოდარ ახალკაცს** 3 ხმით მოუგო!

გამარჯვებულმა კანდიდატმა მილოცვები მიიღო და მედიას ინტერვიუები ჩამოურიგა, რის შემდეგაც სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში“ ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომა უნდა ჩაეტარებინა, მაგრამ...

სასტუმროში **გიორგი ნემსაძესთან** შესახვედრად ნაციონალური მოძრაობის წევრი **დავით კირკიტაძე** და სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე **დავით ნამგალაური** მივიდნენ.

*გიორგი ნემსაძე: — **დათო კირკიტაძე** მეუბნება — **მიშა სააკაშვილმა** დაგვირეკა და სასწრაფოდ უნდა შენთან დაკავშირებაო. ძალიან შეურაცხყოფილი იყო — **მიშამ** დაგვახურა, გადაგვიარა, გადმოგვიარაო... ამ საუბარში ვართ, რეკავს ტელეფონი და **დათო** პასუხობს — გისმენთ, ბატონო პრეზიდენტოო... აქ ვარ, **გიორგისთან** და ახლავე დაგალაპარაკებთო... ხმამაღალ რეჟიმზე გადაიყვანა ტელეფონი, რომ ყველას მოგვესმინა და **სააკაშვილი** მეუბნება — **ნემსა, ძალიან გთხოვ, სასწრაფოდ გამოაცხადე ახალი ყრილობა და ისე გააკეთე, რომ ეს განცხადება 3-საათიან „კურიერში“ მოხვდესო... შიდა პოლიტიკური დაპირისპირება მაქვს და თავზე დამენგრევა ყველაფერი, ფეხბურთით ნუ დაიწყებ ქვეყნის ნგრევასო!** დილემის წინაშე დავდექი — ჯერ ქვეყანაა და მერე ვართ ყველანი ჩვენ... ფაქტობრივად, სხვა გადაწყვეტილების მიღების საშუალება არ დამიტოვა. ვუთხარი — არ არის პრობლემა, რაც ქვეყანას და მის კეთილდღეობას სჭირდება, ყველაფერზე მზად ვარ-მეთქი!*

*ძალიან უხერხული მდგომარეობა ჩამოვარდა. გამოცხადებულია, რომ არჩევნები მოვიგე, მილოცვები მიღებული მაქვს... ახლა სად გავიდე და როგორ გამოვაცხადო... რაღაცა გზა მაჩვენეს, სახანძრო კიბე იყო, იმით ჩავედით, სადღაც გავძვერით, მანქანა დამახვედრეს, გავიპარეთ, ასე გამოვიდა და „ლოკომოტივის“ სტადიონზე გავაკეთე გადადგომის განცხადება. ერთი კვირით, ფაქტიურად, იზოლირებულად ვიყავი, სახლში ჩაკეტილი. ძალიან დიდი დარტყმა მივიღე. ჩემი ცხოვრება მივეცი ფეხბურთს და ამ სფეროში მუშაობის საშუალება არ მომეცა.*

**კი მაგრამ, რა მოხდა?**

**ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად არჩეული გიორგი ნემსაძე ერთ საათში რატომ გადააყენეს?**

**რის ფასად მიაყენეს ქართულ ფეხბურთს და მთლიანად საქართველოს უმძიმესი დარტყმა და რეპუტაციული ზიანი ქართველი საზოგადოებისა და საერთაშორისო საფეხბურთო სამყაროს თვალში?**

რას ნიშნავდა სააკაშვილის მიერ ნემსაძისათვის ნათქვამი სიტყვები — **გუნდში შიდა დაპირისპირება მაქვს და თუ არ გადადგები, ქვეყანა თავზე დამენგრევაო?**

*გიორგი ნემსაძე: — დაზუსტებით ვიცი, რომ **მიშა სააკაშვილთან** მივიდნენ **კახა ლომაია, გიგი უგულავა, გოკა გაბაშვილი** და უთხრეს — თუ **ნემსაძე** გადადგომაზე განცხადებას არ გააკეთებს, საღამოს მიტინგს მოვაწყობთ და დაგიპირისპირდებითო!*

*არჩევნებზე უეფადან დელეგატად იყო გამოგზავნილი რუმინეთის ფედერაციის პრეზიდენტი და თუ **უეფაში** 24 საათში ჩაიტანდა საბუთს, უკვე ოფიციალურად ვხდებოდი ფედერაციის პრეზიდენტი. ეს იცოდნენ და ამიტომ ჩქარობდნენ, რომ გადადგომაზე განცხადება გამეკეთებინა. **სააკაშვილიც** ამიტომ მთხოვდა — 3-საათიანი „კურიერის“ დაწყებამდე გამოაცხადე ახალი ყრილობაო!*

**გიორგი ნემსაძემ** იმის შესახებაც ისაუბრა, რომ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობიდან **ნოდარ ახალკაცის** გადაყენება და მის მაგივრად **ზვიად სიჭინავას** დანიშვნა სააკაშვილის სპონტანური და ერთპიროვნული გადაწყვეტილებით მოხდა:

*— სააკაშვილს გასვლითი მთავრობის სხდომა ჰქონდა ზუგდიდში და იქ ნახა **ზვიად სიჭინავას** მიერ აშენებული საფეხბურთო ბაზა, რომელიც ძალიან მოეწონა. მაშინვე უთხრა **ნიკა რურუას (იმხანად კულტურისა და სპორტის მინისტრს. რედ.)** სასწრაფოდ მოხსენით ახალკაცი, ფედერაციის პრეზიდენტი **სიჭინავა** უნდა იყოსო!*

ასე იყო:

საქართველოში სპორტის, კულტურის, განათლების, მეცნიერების, დემოკრატიის, სამართლის, სახელმწიფოსა და ხალხის ბედი **სააკაშვილის** ხუშტურებისა და კაპრიზების მიხედვით წყდებოდა!

**ამიტომაც იყო გაუბედურებული სააკაშვილის საქართველოში სპორტიც, კულტურაც, განათლებაც, მეცნიერებაც, დემოკრატიაც სამართალიც, სახელმწიფოც და ხალხიც!**









**„მიშა სააკაშვილთან მივიდნენ კახა ლომაია, გიგი უგულავა, გოკა გაბაშვილი და უთხრეს — თუ ნემსაძე გადადგომაზე განცხადებას არ გააკეთებს, საღამოს მიტინგს მოვაწყობთ და დაგიპირისპირდებითო!“**

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს პარლამენტის საგამოძიებო კომისიაზე სააკაშვილის რეჟიმი ადამიანების წამებასთან, ბიზნესის ტერორთან, მკვლელობებთან და სხვა უმძიმეს ბოროტმოქმედებებთან ერთად ქართული ფეხბურთის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულიც იქნა მხილებული!

**ამ შტრიხის გარეშე სააკაშვილის რეჟიმის ავტოკრატიული და ანტიადამიანური პორტრეტი სრულყოფილი ვერ იქნებოდა!**

***ჯაბა ხუბუა***

# შალვა ოგბაიძე: იმ ღამის შემდეგ მე უგონოდ შემიტანეს საავადმყოფოში, ხოლო ჩემი შვილები ულმერთოდ აწამეს!

***2025 წლის 28 აპრილს საპარლამენტო-საგამოძიებო კომისიის წინაშე თბილისის საკრებულოს წევრი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი შალვა ოგბაიძე წარდგა. მან კომისიასა და საზოგადოებას იმ საშინელი ტერორის, წნეხისა და წამების შესახებ მოუთხრო, რომელიც სააკაშვილის გარყვნილი და კვაზიფაშისტური რეჟიმის მძლავრობის ჟამს, პირადად მან და მისი ოჯახის წევრებმა გამოსცადეს.***




მკითხველს აქვე შევახსენებთ, რომ მთელმა საქართველომ პირდაპირ ეთერში იხილა 2009 წლის 6 მაისს თბილისში, დიღმის პოლიციის მთავარი სამმართველოს შენობის წინ, მაშინდელი ოპოზიციის მშვიდობიანი საპროტესტო აქციის დარბევა, როცა **ვანო მერაბიშვილის** ნომრიანმა პროვოკატორებმა სისხლისღვრის გამოსაწვევად და ვითარების ესკალაციის მიზნით, მომიტინგეებს ჯერ მძიმე საგნები დაუშინეს, ხოლო შემდეგ ამ ყველაფერს პლასტმასის ტყვიები მოაყოლეს. ყველაზე მეტად ვინც მაშინ დიღმის პოლიციის სამმართველოსთან დაშავდნენ, სწორედ **შალვა ოგბაიძე** და აწ განსვენებული **გია მაისაშვილი** იყვნენ. **ოგბაიძეს** მერაბიშვილის პოლიციელებმა ჯერ ბეტონის ნატეხი ესროლეს და თავი გაუხეთქეს, ხოლო შემდეგ პლასტმასის ტყვიები დაუშინეს. სწორედ პლასტმასის ტყვიით მიღებული ტრავმის შედეგად განუვითარდა სიმსივნე გია მაისაშვილს, რომელიც წლების შემდეგ გარდაიცვალა.

**შალვა ოგბაიძის** განცხადებით, პრობლემები მას შემდეგ დაეწყო, რაც **ბიბი უგულავას** ცოლი ცნობილი ფეხბურთელის **რატი ალექსიძის** ძვირადღირებულ ავტომანქანას მოაჯდა. ეს ავტომანქანა ჩამორთმეული იყო და გენერალური პროკურატურის ავტოსადგომზე უნდა მდგარიყო, მაგრამ უგულავას ცოლმა გაგულავება მოინდომა... ცხადია, ეს ყველაფერი მაშინდელი საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსმა **შალვა ოგბაიძემ** გააპროტესტა, რასაც **მიხეილ სააკაშვილისა** და **ბიბი უგულავას** კარზე დიდი ბორიაყი და კბილთა ღრჭენა მოჰყვა!

აი, რა გაიხსენა **შალვა ოგბაიძემ:**

*„2003 წლის დეკემბრის დასაწყისი იყო, როცა საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსად დავინიშნე. მირეკავს უფლებადამცველი **ბელა ნიკოლაიშვილი** და მეუბნება — **რატი ალექსიძემ** მთხოვა, თქვენთვის მომემართა, რადგან **რატისთვის** ჩამორთმეულ ავტომობილს, რომელიც, წესით, საჯარიმო მოედანზე უნდა იდგეს, ქალაქში სხვადასხვა ადგილზე ხშირად ნახულობენო! როგორც გადმომცეს, **რატი ალექსიძის** მანქანით გადაადგილდებოდა ქალბატონი, რომლის მძღოლიც იყო **კობა სუბელიანი.** სულ ცოტა ხანში გავიგეთ, რომ ამ ავტომობილს ექსპლუატაციას უწევდა **ბიბი უგულავა.** აი, ამის შემდეგ დაიწყო, რაც დაიწყო... ჩემ წინააღმდეგ ააგორეს შავი პიარი...*

*თეა წულუკიანი: — **ვინ იყო ამ დროს შინაგან საქმეთა მინისტრი?***

*შალვა ოგბაიძე: — **გიორგი ბარამიძე!***

*თეა წულუკიანი: — **ანუ აღმოაჩინეთ, რომ ამ მანქანით, რომელიც ავტოსადგომზე უნდა მდგარიყო, კანონით დადგენილი წესით, სარგებლობდნენ ბატონი გიგი უგულავა და მისი ოჯახის წევრი ქალბატონი? ამას ამბობთ?***

*შალვა ოგბაიძე: — დიახ, დიახ! როგორც გადმომცეს, მისი მეუღლე სარგებლობდა!*

*თეა წულუკიანი: — **და დაგიბარათ გია ბარამიძემ?***

*შალვა ოგბაიძე: — დიახ!*

*თეა წულუკიანი: — **მინისტრმა რომ დაგიბარათ საგზაო პოლიციის ხელმძღვანელი, რა გითხრათ, რაში მდგომარეობდა თქვენი ხარვეზი?***

*შალვა ოგბაიძე: — მან მითხრა, რომ ძალიან ცუდად იყო საქმე! **ბარამიძე** იყო საკმაოდ შეშფოთებული და მე მომეჩვენა, რომ შეშინებულიც... მიხსენა, რომ მე აუცილებლად დამიჭერდნენ და ჩემთვის უმჯობესი იყო, თუ დავწერდი განცხადებას და გადავდგებოდი!*

*თეა წულუკიანი: — **რატომ? შინაგან საქმეთა მინისტრი თქვენ გეუბნებათ, რომ თქვენი დაჭერა რომ არ გახდეს საჭირო, უნდა მოვითმინოთო?***

*შალვა ოგბაიძე: — დიახ!*

*თეა წულუკიანი: — **შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ბარამიძეს ვიღაც ემუქრებოდა?***

*შალვა ოგბაიძე: — რასაკვირველია!*

*თეა წულუკიანი: — **ვისგან მოდიოდა ეს მუქარა?***

*შალვა ოგბაიძე: — ესენი იყვნენ — **ვანო მერაბიშვილი, ირაკლი ოქრუაშვილი, მიხეილ სააკაშვილი!** აი, ეს წრე... რომ არ გადავმდგარიყავი, მაინც გადამაყენებდნენ! მაგრამ გულწრფელად გეტყვით, ამ საუბრის შემდეგ არავითარი სურვილი არ მქონდა მათთან ერთად მემუშავა!*

*თეა წულუკიანი: — **რა თქმა უნდა, გასაგებია აბსოლუტურად!***

*შალვა ოგბაიძე: — ამის შემდეგ მე დავუბრუნდი სამოქალაქო საქმიანობას...“*

როგორც შალვა ოგბაიძემ კომისიას დაუკონკრეტა, ქალბატონი, რომელიც **რატი ალექსიძის** ავტომანქანას ქალაქში პირად მძღოლთან ერთად დააგელვებდა, გიგი უგულავას პირველი ცოლი იყო!

როცა მთაწმინდაზე ვცხოვრობდი, არსენას ქუჩაზე არაერთხელ შემიმჩნევია სიმპათიური, ახალგაზრდა ქალბატონი, რომელიც მცირეწლოვან შვილს ყოველ დილით ბაღში დაატარებდა. უბანში ამ გოგონას აქებდნენ — **ბიბი უგულავას** ცოლია, ძალიან წესიერი და კეთილშობილი ადამიანიაო! ე.წ. ვარდების რევოლუციის შემდეგ



**რეზინის ტყვიით თავგაჩეხილი შალვა ოგბაიძე თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოსთან, სადაც სააკაშვილის რეჟიმმა მშვიდობიანი აქცია სასტიკად დაარბია. 2009 წლის 6 მაისი**

> **„გონზე საავადმყოფოში მოვედი. მაპატიეთ „სლენგისთვის“, მაგრამ კარგად მახსოვს, ვიღაცა ყვიროდა — „დაიბრიდა, დაიბრიდაო!“**

## კვირგვინოსნები

**ეკა გიგაური**
*„გამჭვირვალობა საქართველოს“ დამფუძნებელი*



ახლა **ივანიშვილის** დრო და ენერგია იხარჯება იმაზე, რომ **ქონება გადამალოს.** ვფიქრობ, ქონების გარკვეულ ნაწილს ის დაკარგავს. **დღეს მთელი საერთაშორისო საბანკო სისტემა მისთვის არის დაკეტილი.** ვერსად ვერ გახსნის ანგარიშს.

ოპოზიცია **ვადამდელი არჩევნებისთვის** მზად უნდა იყოს.

„ახალი თაობა“

**მირიან მირიანაშვილი**
*ანალიტიკოსი*



**რუსეთის ორგანიზებული** იყო 1992 წლის სახელმწიფო გადატრიალება და **2003 წლის „ვარდების რევოლუცია“. შევარდნაძის გადაგდება ჩვეულებრივი სპექტაკლი იყო.** ქართველებმა ერთხელ და სამუდამოდ უნდა ჩამოვიყალიბოთ ამ სპექტაკლებზე ალერგია, თორემ **კიდევ იქნება შემდეგი სერიები.**

„კვირის პალიტრა“

**ვახტანგ ძაბირაძე**
*ექსპერტი*



**ივანიშვილი** თუ დაინახავს, რომ **ოპოზიცია ძლიერდება** და დიდ ერთობას ეყრება საფუძველი, **მაშინვე სააკაშვილს გამოუშვებს.**

„ახალი თაობა“

**თორნიკე შარაშენიძე**
*საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი*



**ტრამპმა** პირდაპირ თქვა, რომ **არავინ სთხოვს უკრაინას ყირიმის აღიარებას, მაგრამ თვითონ აპირებს, აღიაროს.** ეს ომი თუ ვინმეს აძლიერებს, **აძლიერებს ჩინეთს.**

„კვირის პალიტრა“


შალვა ოგბაიძე და მისი ვაჟი რუსთაველის გამზირზე, სადაც სააკაშვილის რეჟიმმა მშვიდობიანი აქცია სასტიკად დაარბია. 2011 წლის 26 მაისი

გიორგი აბდალაძის ფოტო

# თეა წულუკიანი:

## სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ „ოგბაიძეების საქმეზე“ დაადასტურა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა, რომელიც კრძალავს წამებას და არაადამიანურ მოპყრობას!




ეს ქალბატონიც და მისი მცირეწლოვანი შვილიც ერთბაშად გაუჩინარდნენ...

როგორც **შალვა ოგბაიძის** ნაამბობიდან ირკვევა, მთაწმინდის უბნიდან **ბიბი უგულავას პირველი ცოლისა** და მისი მცირეწლოვანი გოგონას გაუჩინარების მიზეზი, დიდი ალბათობით, ის იყო, რომ არსენას ქუჩაზე ფეხით სიარულს მათ **რატი ალექსიძისთვის** წართმეული მანქანით გრიალი არჩიეს! სხვათაშორის, **ბიბი უგულავას** ცოლის მსგავსად, წართმეულ-ჩამორთმეული მანქანებით გულავში **ნანუკა ჟორჟოლიანიც** არის შემჩნეული, რომელიც ამ ბოლო დროს სააკაშვილის სექტამ ლამის ღვთისმშობლად გამოაცხადა!

მოკლედ, სააკაშვილის სექტის მიერ შერისხული **ოგბაიძე** იძულებული გახდა, თანამდებობა დაეტოვებინა და სამოქალაქო სექტორს დაბრუნებოდა, მაგრამ ნაცებმა არც იქ მოასვენეს და ერთ მშვენიერ დღეს საავტომობილო ფედერაციაშიც მიაკითხეს, რომელსაც წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა. ამჯერად საავტომობილო ფედერაციის ქონებით და უფრო კონკრეტულად კი რუსთავის ავტოდრომით რაიხსმარშალი **ვანო მერაბიშვილი** დაინტერესდა.

როგორც **შალვა ოგბაიძემ** კომისიას განუცხადა:

*— „პირველი, ვინც საავტომობილო ფედერაციის ქონებასა და რუსთავის ავტოდრომზე საუბარი დაიწყო, **ვანო მერაბიშვილი** იყო. იგი ყოველნაირად მისაბუთებდა, რომ კარგი იქნებოდა, თუ ჩვენ ამ ავტოდრომს დავთმობდით! დამირეკა **გია გალდავამ,** რომელიც სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე იყო და მითხრა, რომ მიბარებდა. მივედი ამ შეხვედრაზე და იქ დამხვდა ერთი ახალგაზრდა ბიჭი, რომელსაც ხელი გავუწოდე და ვუთხარი — გავიცნოთ-მეთქი ერთმანეთი! მან მითხრა, რომ ის იყო **ნიკოლოზ ალასანია, თემურ ალასანიას** შვილი...“*

მოკლედ, საავტომობილო ფედერაციის ქონების ხელში ჩასაგდებად, როგორც ჩანს, ხროვის წევრებს შორის დიდი ომი ატყდა და იმისათვის, რომ რუსთავის ავტობაზრობაზე სრული საოჯახო კონტროლი დაემყარებინა, სააკაშვილმა საქმეში თავისი ბიძაშვილი — **ნიკოლოზ ალასანია** ჩართო, რომელმაც საავტომობილო ფედერაციის ხელმძღვანელის პოსტზე **შალვა ოგბაიძე** ჩაანაცვლა.

ერთი სიტყვით, **ოგბაიძეს,** რომელსაც ნაცხროვის მიერ განაჩენი ჰქონდა გამოტანილი, მშვიდად ცხოვრების უფლებას არსად აძლევდნენ და ყველგან ავიწროებდნენ. წნეხი და ტერორი **შალვა ოგბაიძისა** და მისი ოჯახის წევრების წინააღმდეგ საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტის პოსტიდან მისი იძულებითი გადადგომის შემდეგაც არ შეწყვეტილა. ერთ მშვენიერ დღეს ის სააკაშვილის ცნობილმა ასპიტმა **ერეკლე კოდუამ** მოდულის შენობაში დაიბარა.

აი, რა ჩვენება მისცა **თეა წულუკიანის** კომისიას ამ ფაქტთან დაკავშირებით **შალვა ოგბაიძემ:**

*„გაგონილი კი მქონდა, რომ არსებობდა რაღაც ე.წ. **სოდის სიები,** მაგრამ ეს ყველაფერი ვნახე პირადად, როდესაც **ირაკლი კოდუამ** მასალები მაჩვენა და მითხრა — ძალიან სამწუხაროა, მაგრამ შენ ამ სიაში ხარო! ეს იყო კომპიუტერში შენახული ფაილები, სადაც ჩემი საუბრები იყო ჩაწერილი. **ერეკლე კოდუამ** მითხრა, რომ ჩემი საუბარი ისმინებოდა!“*

ცხადია, ეს იყო უკანონო თვალთვალისა და მიყურადების შედეგად შექმნილი უბინძურესი პროდუქტი, რომელზეც ნაცხროვა, როგორც სექტა, იდგა და დღემდე დგას! პარალელურად, ნაცხროვამ **ოგბაიძის** იზოლირება ზუსტად იმ გეგმით სცადა, რაც **სააკაშვილმა და მისმა დანაშაულებრივმა ბანდამ** ცხინვალის რეგიონში 2008 წლის აგვისტოს ომის დაწყებამდე ჩაიდინეს, როცა **კოკოითის** საპირწონედ ქურთას დროებითი ადმინისტრაცია შექმნეს, რითაც კონფლიქტი არათუ ჩაქრა, პირიქით, უფრო გამწვავდა და ფეთქებსაშიში გახდა. სწორედ ასე ნაცებმა **შალვა ოგბაიძის „საავტომობილო ფედერაციის“** პარალელური სტრუქტურა შექმნეს!

როგორც **შალვა ოგბაიძემ** თეა წულუკიანის კომისიას განუცხადა:

*— ნაციონალურმა მოძრაობამ „შექმნა ახალი ფედერაცია, რომლის პრეზიდენტადაც აირჩიეს **დავით კირთაძე,** აი, ის ცნობილი „ყავის კაცი“ — ცესკოს თავმჯდომარის მოადგილე.“*

***თეა წულუკიანი:*** *— **დავით კირთაძეს** ჰქონდა საავტომობილო სპორტში გამოცდილება?*

**შალვა ოგბაიძე:** *— რა ვიცი, ახლა საბავშვო ბაღში „გონკაობას“ თუ თამაშობდა, ალბათ, „გამოცდილება“ ექნებოდა, რა!*

საქვეყნოდ ცნობილი ფაქტია, რომ 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ, როცა საქართველოში ხელისუფლება შეიცვალა და ნაცსექტა საპარლამენტო არჩევნებში დამარცხდა, ტელეკომპანია „იმედიდან“ ერთმანეთის მიყოლებით გამოიძურწნენ **გიორგი ტახიროვიჩ არველაძე** და მისი პირადი ასინეთა — სამარცხვინო „მოდელირებული „ქრონიკის“ პროდიუსერი **ეკა წამალაშვილი.** საპარლამენტო არჩევნებში დამარცხებიდან სულ რამდენიმე დღეში მიტაცებული „საავტომობილო ფედერაციიდან“ სწორედ ასე გამოლაგდნენ და გამოეთრნენ **ნაციონალი ნაგვები,** რამაც **შალვა ოგბაიძეს** საშუალება მისცა, იძულებით წართმეული ორგანიზაცია და ორგანიზაციის პრეზიდენტობა დაებრუნებინა.

აი, როგორ გაიხსენა ეს ამბავი **შალვა ოგბაიძემ:**

*„2012 წელს, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, ნაციონალებმა თვითონვე დაწერეს განცხადება და წავიდნენ. ამიტომ ჩვენ, სიმართლე გითხრათ, აღარ გვიცდია ფედერაციისთვის სახელის შეცვლა. ორგანიზაცია დაკომპლექტდა ახალგაზრდა მრბოლელებით, ხოლო მე აღმადგინეს ჩემს უფლებებში. დღესაც ძველი ფედერაციის პრეზიდენტი ვარ და ამ ფედერაციაში საპატიო პრეზიდენტის წოდება მაქვს!“*

**თეა წულუკიანის კომისიას შალვა ოგბაიძემ** იმ გაუგონარი წამების შესახებაც მოუთხრო, რაც მან და მთელმა მისმა ოჯახმა 2011 წლის 26 მაისს განიცადეს. მისი განცხადებით, რაც **სააკაშვილმა** და მთელმა მისმა ხროვამ 2011 წლის 25-26 მაისის ღამეს რუსთაველის პროსპექტზე ჩაიდინეს,

*„ეს იყო ოპერაცია „ყულფი“, როცა არსად გასაქცევი საშუალება არ იყო... ყველა ხორცსაკეპ მანქანაში უნდა მოყოლილიყო. იმ ღამის შემდეგ მე უგონოდ შემიტანეს საავადმყოფოში, ხოლო ჩემი შვილები — გიორგი და ლევანი უღმერთოდ აწამეს. როდესაც ხელები უკან შემიკრეს და მე და ლევანი დაგვაცილეს ერთმანეთს, უკნიდან ვიღაცამ მიცხო და კეფაში დამარტყა. ამის შემდეგ არაფერი მახსოვს... გონზე საავადმყოფოში მოვედი. მაპატიეთ „სლენგისთვის“, მაგრამ კარგად მახსოვს, ვიღაცა ყვიროდა,* ***„დაიბრიდა, დაიბრიდაო!“***

2011 წლის 26 მაისს **სააკაშვილმა და მისმა ხროვამ,** რომლებსაც ამერიკელი ინსტრუქტორები კურირებდნენ და პირდაპირ ეთერში რჩევებს აძლევდნენ, თუ როგორ „ეფექტურად“ უნდა გაეხეთქათ თავი ხალხისთვის, მართლაც ჩაიდინეს სამხედრო დანაშაული, როცა მშვიდობიანი მომიტინგეები **შაინიძის სპეცრაზმელებს** უმოწყალოდ აცემინეს, ხოლო ნიკა კვინტრაძის, სულიკო ასათიანის და კიდევ ორი კაცის გვამები ოლეგ ჟვანიას მაღაზიის სახურავზე შემოაწყვეს და მერე უტიფრად განაცხადეს **— ამ ხალხისთვის ჩვენ არაფერი დაგვიშავებია, დენმა დაარტყა და იმან მოკლაო!**

ის, რომ **სააკაშვილმა და მისმა ბინძურმა სექტამ** 2011 წლის 26 მაისს დანაშაული ჩაიდინეს, საპარლამენტო-საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე **თეა წულუკიანმა** კიდევ ერთხელ დაადასტურა და სხდომის დასასრულს ხაზგასმით აღნიშნა, რომ **„სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ „ოგბაიძეების საქმეზე“ დაადასტურა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა, რომელიც კრძალავს წამებას და არაადამიანურ მოპყრობას!“**

აი, ასე დასრულდა **შალვა ოგბაიძის** გამოსვლა თეა **წულუკიანის საპარლამენტო-საგამოძიებო კომისიის** სხდომაზე.

ახლა საკითხავი და გასარკვევი ის არის, **როგორ დასრულდება მწამებლებისა და ბანდიტების საქმიანობა და რა ვერდიქტს გამოიტანს პროკურატურა და სასამართლო იმათ მიმართ, ვინც შალვა ოგბაიძესა და მის ოჯახს ამდენი უბედურება და ტანჯვა-წამება მოუტანეს!**

***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**თამარ ჩერგოლეიშვილი**
*„ფედერალისტების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი*



ელჩებთან შეხვედრაზე გვკითხეს — **ახალი არჩევნები რომ დანიშნოს „ოცნებამ“, უკეთეს ფორმაში თუ ხართო?** გაფართოებაზე მიმართული ნებისმიერი პროცესი ოპოზიციას ამყოფებს უკეთეს ფორმაში.

„პირველი არხი“

**რასა იუქნევიჩიენე**
*ევროპარლამენტარი*



საქართველოში მოქმედი რეჟიმი არის **კრემლის მიერ სახელმწიფოს შიგნიდან მიტაცების მაგალითი** და ეს შეიძლება, მოუვიდეს ევროკავშირის წევრ ქვეყანასაც, **თუ ამ ინფექციას დროულად არ შევაჩერებთ.**

„პირველი არხი“

**თინა ბოკუჩავა**
*ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე*



ევროპა მოითხოვს **მიხეილ სააკაშვილის** და ყველა პოლიტპატიმრის გათავისუფლებას, ასევე **ახალი არჩევნების ჩატარებასა** და ქვეყნის დაბრუნებას ევროინტეგრაციის გზაზე.

„პირველი არხი“

**ლევან სანიკიძე**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



მიგვაჩნია, რომ, პოლიტიკური რეალობიდან გამომდინარე, **კოალიციური მთავრობის საკითხი** ჯერ საერთოდ არ უნდა იდგეს.

„პირველი არხი“



***ცნობილი ჰომეოპათი და ექიმი კახა საბახტარიშვილი ადამიანის ჯანმრთელობაზე ჯანსაღი და ღრმა ძილის გავლენის შესახებ საუბარს აგრძელებს და აცხადებს, რომ დაძინებისთვის ყველაზე ოპტიმალურია 21:30 საათიდან 21:45 საათამდე მონაკვეთი, რადგან სწორედ ამ დროს იწყება ძილის ჰორმონის, მელატონინის გამომუშავება:***

**კახა საბახტარიშვილი** — ექიმი ნევროპათოლოგი, საერთაშორისო ჰომეოპათიური ლიგის წევრი, საქართველოს ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. გასული საუკუნის 80-იან წლებში იყო კიბოს საწინააღმდეგო პრეპარატ **„კატრექსის“** ავტორის **ალექსანდრე ბაჩეჩილაძის** მიერ შექმნილი **საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი საიდუმლო სამეცნიერო ლაბორატორიის მთავარი ექიმი,** ქალაქ თბილისის №13 პოლიკლინიკის დირექტორი. აქვს გამოქვეყნებული 7 წიგნი და 1 მონოგრაფია, 50 სამეცნიერო სტატია. მსოფლიო აღიარება მოიპოვა მისი ხელმძღვანელობით შექმნილმა წამლებმა **„გულის ელექსირი ფორტე“, „ტონზილინი“ და „იმუნო ჰერბი ფორტე“, „ტონზილინმა“** ასობით ბავშვი გლანდების ამოჭრას გადაარჩინა. **„იმუნო ჰერბი ფორტემ“** ათასობით ადამიანს გრიპი და კოვიდი თავიდან აარიდა. **„გულის ელექსირი ფორტე“** საიმედო დაცვაა ინფარქტისა და ინსულტისაგან.



**თბილისი, ვაჟა-ფშაველას 43, მეტროსადგური „დელისი“ (პროფკავშირების სახლი). 593 31 70 34; ფეისბუქი: „კახა საბახტარიშვილის ჯანმრთელობის ცენტრი“ და „ლაზიკა-ფარმა“**

# კახა საბახტარიშვილი:

# თუ კარგი და ღრმა ძილი გვინდა, საძინებელი ოთახიდან მობილური ტელეფონი, გაჯეტი, ტელევიზორი და კომპიუტერი მოვაშოროთ!




— დღის განმავლობაში ჩვენს ხასიათს, ფიზიკურ აქტივობასა და შრომისუნარიანობას დიდად განსაზღვრავს ის ფაქტორი, როგორ გამოვიძინებთ ღამით! დავიწყოთ იმით, რომ მშვიდი და ღრმა ძილისთვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რომელ საათზე დაიძინებს ადამიანი. ბევრმა არ იცის, რომ თავის ტვინში არსებობს სუპრაქიაზმალური ბირთვი. ეს არის თავის ტვინის უბანი, რომელიც განსაზღვრავს, თუ როდის უნდა დავიძინოთ და გავიღვიძოთ. დაძინებისთვის ყველაზე ოპტიმალური და საუკეთესო დრო 21:45 საათიდან 23:00 საათამდე მონაკვეთია! თუ კარგად დავაკვირდებით, შევნიშნავთ, რომ ნორმალურ და მოსვენებულ მდგომარეობაში, სადღაც 21:30 საათზე უკვე ძილის მოთხოვნილება გვიჩნდება. თუ ამ დროს გადავაცილებთ და არ დავიძინებთ, დაძინების შესახებ ახალი მოთხოვნა დაახლოებით საათ-ნახევრის შემდეგ, ანუ 23:00 საათზე გაგვიჩნდება. თუ ამ დროსაც არ დავიძინებთ, ძილისპირულის დრო კიდევ საათ-ნახევრით გადაიწევს...

მოკლედ, **ძილი ადამიანს თავს საათნახევრიანი ან ორსაათიანი ინტერვალებით ახსენებს.** დაძინებისთვის ყველაზე ოპტიმალური 21:30 საათიდან 21:45 საათამდე პერიოდია, რადგან სწორედ ამ დროს იწყება ძილის ჰორმონის, მელატონინის გამომუშავება, რომელიც მაქსიმუმს 02:00-03:00 საათებს შორის შუალედში აღწევს.

**— რატომ ხდება, რომ ბევრი ადამიანი ადრე იძინებს, მაგრამ სწორედ 02:00 საათზე იღვიძებს და მერე მთელი ღამე უძილობისგან იტანჯება?**

— ამის ძირითადი მიზეზი თირკმელზედა ჯირკვლის მიერ გამოყოფილი სტრესის ჰორმონი **კორტიზოლია.** წესით და რიგით, მისი რაოდენობა ორგანიზმში 02:00 საათზე მინიმალური უნდა იყოს, ხოლო 07:00 საათზე, როცა ადამიანი იღვიძებს და გამოცოცხლება სჭირდება, კორტიზოლი მაქსიმუმს უნდა აღწევდეს. ვინც 02:00 საათზე იღვიძებს, სისხლში კორტიზოლის დონე მაღალი აქვს. ასეთი ადამიანები დილით დაღლილი და მოთენთილი დგებიან.

**— რა არის იმის მიზეზი, რომ ღამით სისხლში კორტიზოლის დონე იწევს, რაც არ გვაძინებს?**

— ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი **მაგნიუმის** დეფიციტია, რაზეც შემდეგი ჩივილები მიგვანიშნებს: ვისაც მაგნიუმის დეფიციტი აქვს, მისი ზურგის ზედა ნაწილის კუნთები დაჭიმულია. შესაძლოა, იმავე მოვლენასთან გვქონდეს საქმე, თუ წელის კუნთებიც დაჭიმულია. მაგნიუმი კუნთებს ადუნებს და კორტიზოლის დონეს ამცირებს. ამიტომ, ვისაც ღამით ძილი უტყდება და მთელი ღამე საწოლში ბორგავს, ვურჩევ, მიიღოს **მაგნიუმის გლიცინატი** ან მაგნიუმით მდიდარი საკვები — მწვანე ჩაი, ნუში, შოკოლადი, წიწიბურა, ჩია, ლობიო, სოია, თხილი... თუ საქმე პოდაგრით დაავადებულ ადამიანს ეხება, მაშინ თხილი და ლობიო კვების რაციონიდან უნდა გამოვრიცხოთ!

საერთოდ, ვიცოდეთ, რომ **ადამიანები, რომლებსაც მაგნიუმის დეფიციტი აქვთ, ინფარქტისა და ინსულტისკენ არიან მიდრეკილი!** ღამით ძილის დარღვევას და სისხლში კორტიზოლის დონის მატებას დიდად უწყობს ხელს დღის განმავლობაში დიდი ოდენობით ტკბილისა და ნახშირწყლების მიღება. როდესაც ადამიანი დაძინებამდე ორი-სამი საათით ადრე შაქრიან ან სახამებლიან საკვებს მიიღებს, სისხლში შაქარი იმატებს; თუ ადამიანი ამ მაღალი შაქრით დაწვება, გამოიყოფა ინსულინი და 01:00 საათიდან 02:00 საათამდე შაქარი სახიფათოდ დაეცემა. შაქრის ასაწევად და ნორმამდე მისაყვანად, თირკმელზედა ჯირკვალი **კორტიზოლს** გამოყოფს, რაც ორგანიზმისთვის კარგია, მაგრამ მაღალი კორტიზოლი ადამიანს დაძინების საშუალებას არ აძლევს! ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, გვახსოვდეს, რომ, **თუ გვინდა, კარგად დავიძინოთ, 18:00 საათის შემდეგ საკვების მიღებაზე უარი ვთქვათ!** არასასურველია დაძინებამდე ერთი ან ორი საათით ადრე მძაფრსიუჟეტიანი ფილმების ნახვა, რადგან სტრესსა და სისხლში კორტიზოლის მატებას იწვევენ. **ძილზე ძალიან ცუდად მოქმედებს საძინებელ ოთახში მობილური ტელეფონის, ტელევიზორის ან კომპიუტერის ჩართულ მდგომარეობაში დატოვება და მათი ლურჯი ნათება.** ამიტომ, თუ კარგი და ღრმა ძილი გვინდა, საძინებელი ოთახიდან მობილური ტელეფონი, გაჯეტი, ტელევიზორი და კომპიუტერი მოვაშოროთ! **გვახსოვდეს — მობილური ტელეფონი, გამორთულ მდგომარეობაშიც კი, ჩვენს ძილზე უარყოფითად მოქმედებს!**



**„თუ გვინდა, კარგად დავიძინოთ, 18:00 საათის შემდეგ საკვების მიღებაზე უარი ვთქვათ!“**

**„ძილი ადამიანს თავს საათნახევრიანი ან ორსაათიანი ინტერვალებით ახსენებს!“**

## კვირგვინოსნები

**არჩილ ჩხოტუა**
*უროლოგი*



გახსოვდეთ: **არც ჭარხალი, არც ბროწეული, არც წითელი ღვინო** ან სხვა საკვები და სასმელი **არ ფერავს შარდს წითლად,** ამიტომ დაუყოვნებლივ მიმართეთ უროლოგს **შარდში სისხლის არსებობის** პირველივე ეპიზოდისას.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**თიკა ჯამბურია**
*მომღერალი*



ზაფხულში **ვიყავი ჩემი ყოფილი ქმრის ქორწილში.** ვერ გააანალიზა ქართველმა ხალხმა — როგორ შეიძლება ეს, როცა ასე გული გეტკინა და გაწყენინაო. **ერთი წამითაც არ მახსოვს, რა მატკინა და რა მაწყენინა.** წარსულს თუ არ გაუშვებთ, თუ არ დაიწყებთ ლაღად ცხოვრებას, ისევ იმ წარსულში იცხოვრებთ, **ვერასოდეს იქნებით ბედნიერები.**

„სარკე“

**გიორგი ქობერიძე**
*მომღერალი*



სიმღერა უნდა იყოს **გამაერთიანებელი, გახლეჩილი საზოგადოების შემკვრელი.** სხვა ქვეყანაში რომ დავბადებულიყავი, **შეიძლება, მომღერალი არც ვყოფილიყავი.**

„კვირის პალიტრა“

**მაია ჯაბუა**
*მომღერალი*



**ზედმეტი მაკიაჟი,** ძალიან ეპატაჟური ჩაცმულობა — **ეს ჩემთვის დაბალი გემოვნებაა.**

„თბილისელები“

**მაგდა ჯოხაძე**
*მომღერალი, ანრი ჯოხაძის და*



სიტყვა **ბოროტის** მნიშვნელობაც კი არ ვიცი და **ამით ბედნიერი ვარ.**

„თბილისელები“

**— ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა პოზაში ვაპირებთ ძილს. წინა ინტერვიუში თქვენ ბრძანეთ, რომ ყველაზე სახიფათო ჩვენი ორგანიზმისთვის მუცელზე წოლაა! რატომ?**

— როდესაც მუცელზე ვწევართ, ფილტვები ბოლომდე არ იშლება და გულს ხშირად უწევს შეკუმშვა, რათა სისხლი ჟანგბადით გაჯერდეს. ყოველივე ეს იწვევს ტაქიკარდიას, წნევის მატებასა და სისხლის მიმოქცევის დარღვევას. გარდა ამისა, როცა მუცელზე ვწევართ, თავი მობრუნებული გვაქვს და ყური ბალიშზე გვიდევს. ასეთ დროს, ცხადია, თავის ტვინს სისხლი ცუდად მიეწოდება. თუ ამ მდგომარეობაში 7-8 საათის განმავლობაში გვძინავს, ხომ წარმოგიდგენიათ, როგორ შიმშილობს ტვინი და რა დღეშია ჩვენი წნევა?! **როცა მუცელზე ვწევართ, არათუ ძილი დაგვერღვევა, ასეთ დროს ინსულტისა და ინფარქტის განვითარების საშიშროება მკვეთრად იზრდება!** ალბათ, ძნელი მისახვედრი არ არის, რა დაგვემართებოდა დღისით 7-8 საათის განმავლობაში კისერმოღრეცილს რომ გვევლო! როცა მუცელზე ვწევართ, არამხოლოდ თავის ტვინის, არამედ უკლებლივ ყველა ორგანოს სისხლით მომარაგების პროცესი ირღვევა! გარდა ამისა, თავის არასწორი პოზიციის გამო, კისრის არეში ლიმფა გუბდება, რაც სერიოზულ პრობლემას ქმნის, რადგან სწორედ კისრის ლიმფურ სისტემას გამოაქვს თავის ტვინიდან ცხოველმოქმედების პროდუქტები. როცა ამ ტოქსინების თავის ტვინიდან გამოტანა შეფერხებულია, ადამიანი დილით თავის ტკივილით იღვიძებს. პარალელურად, მას ტკივილები აქვს კისრის არესა და ზურგში.

**მუცელზე წოლა აუარესებს საჭმლის მომნელებელი ორგანოების გამართულად ფუნქციონირებას.** არაფერს ვიტყვით იმის შესახებ, რომ ორსულთათვის მუცელზე წოლა დაუშვებელია, გარდა იმისა, რომ ეს ნაყოფისთვის არის ზიანის მომტანი. ორსული ქალები, რომლებიც ძილის დროს მუცელზე წვანან, მშობიარობის შემდეგ ხშირად იტანჯებიან ვენების პრობლემებით. უფრო მეტიც, ვისაც მუცელზე წოლა უყვარს, ხშირად უხდება ღამით მოსაშარდად წამოდგომა. ამის მიზეზი შარდის ბუშტზე განხორციელებული ზეწოლაა. მუცელზე წოლა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როცა ადამიანს ხერხემალზე ტრავმა აქვს. **მუცელზე წოლა გარკვეულ შემთხვევაში იძლევა გასტრიტული ტკივილებისა და მუცლის შებერვის დროსაც.**

**— ძილისთვის საუკეთესო პოზა რომელია?**

— ძილის დროს ორგანიზმისთვის განსაკუთრებით სასარგებლოა მარცხენა გვერდზე წოლა!



## „ვინც ძილში ხვრინავს, იმან აუცილებლად მარცხენა გვერდზე უნდა დაიძინოს!“

**როცა მარცხენა გვერდზე ვწევართ, კუჭი საყლაპავი მილის ქვემოთ არის მოქცეული და კუჭის წვენი საყლაპავში ნაკლებად ხვდება. გარდა ამისა, მარცხენა გვერდზე ძილის დროს საჭმლის მომნელებელი ორგანოები ბუნებრივ მდგომარეობაშია და ერთმანეთზე ზეწოლას არ ახდენს.**

ამის გამო საკვები თავისუფლად გადაადგილდება, მისი მონელებისა და გადამუშავების პროცესი უმჯობესდება, ხოლო პანკრეასის სადინარები დუნდება და ჯირკვალიც ისვენებს. რადგან მსხვილი ნაწლავის ბოლო მონაკვეთი მარცხნივ მდებარეობს, მარცხენა გვერდზე წოლა კუჭის მოქმედებასაც უწყობს ხელს. **ვინც ძილში ხვრინავს, იმან აუცილებლად მარცხენა გვერდზე უნდა დაიძინოს!**

**— თუ საძილე, ქიმიურ პრეპარატებს მხედველობაში არ მივიღებთ, რომლებსაც უამრავი გვერდითი მოვლენა აქვთ, მაინც რა უწყობს ხელს ჯანსაღ და ღრმა ძილს?**

— ადრეც ვთქვით და კიდევ ვიმეორებთ: **პირველ რიგში, საძინებელ ოთახში ტემპერატურა ზამთარ-ზაფხულ 16-20 გრადუსი ცელსიუსი და სრული სიბნელე უნდა იყოს!** იდეალური ტემპერატურაა 18 გრადუსი ცელსიუსი... ღრმა ძილს ძალიან უწყობს ხელს დღეში თუნდაც ორი ცალი კივის მირთმევა. იგი მდიდარია **სეროტონინით,** რომელიც **მელატონინად** გარდაიქმნება. ძალზე კარგია ალუბლის წვენი. საკმარისია, ძილის წინ 30 გრამი ალუბლის წვენი დავლიოთ, რომ ძილი საათ-ნახევრით მაინც გაგვიხანგრძლივდება. ალუბლის წვენი მდიდარია **ამინომჟავა ტრიპტოპანით,** რომელიც ჯერ **სერატონინად,** ხოლო შემდეგ **მელატონინად** გარდაიქმნება. ძილის წინ, საათ-ნახევრით ადრე, კეფირის მიღება საუკეთესო საშუალებაა. ზოგიერთი ფიქრობს, რომ დაძინებისთვის კარგია ლუდი. მას მართლაც გააჩნია მომთენთავი ეფექტი, მაგრამ ლუდი მაღლა სწევს **კორტიზოლის** დონეს, რომელიც იწვევს არასრულფასოვან ძილს და მეორე დღეს ადამიანი დაღლილი და ძალაგამოცლილი იღვიძებს. **ძილისათვის არაჩვეულებრივია მჟავე კომბოსტო, რომელიც ტრიპტოფანს შეიცავს** და გამა ამინომჟავად გარდაიქმნება. ეს ნეირომედიატორია, რომელიც ორგანიზმს ამშვიდებს. ამიტომაც **მოხუცებმა მჟავე კომბოსტო ხშირად უნდა მიირთვან, რადგან ის ამცირებს სტრესს და კორტიზოლის მაღალ დონეს!** აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ მჟავე კომბოსტოში გაცილებით მეტი C ვიტამინია, ვიდრე ლიმონში. ძილის წინ ძალიან კარგია ერთი-ორი გრამი გლიცინის მიღება, რომელიც სეროტონინის დონეს მაღლა სწევს და ბოლოს მელატონინად გარდაიქმნება!




## „ადამიანები, რომლებსაც მაგნიუმის დეფიციტი აქვთ, ინფარქტისა და ინსულტისკენ არიან მიდრეკილი!“

**— ბევრი იმის გამო ვერ იძინებს, რომ პულსი აქვს აჩქარებული!**

— ზოგჯერ პულსი მართლაც ისეა აჩქარებული, რომ ადამიანს ესმის საკუთარი გულისცემა. აღნიშნული პროცესი **კალიუმის დეფიციტზე** მიგვითითებს, რომელსაც ხანგრძლივი სტრესი და ბევრი ნახშირწყლების მიღება იწვევს. კალიუმის შესავსებად ბევრი ბოსტნეული, განსაკუთრებით სალათის ფურცლები უნდა მივირთვათ!

**თუ ძილის წინ ოთხი-ხუთი წამის განმავლობაში ნელა ჩავისუნთქავთ, ხოლო მერე იმავე ოთხი-ხუთი წამის განმავლობაში ნელა ამოვისუნთქავთ, ამით ნერვულ სტრესს მოვიხსნით, პულსის აჩქარებას შევამცირებთ და კარგადაც დაგვეძინება.**

ცნობისათვის, პულსაცია წუთში 72-ს არ უნდა ასცდეს, ხოლო საუკეთესო შემთხვევაში გულისცემა წუთში 60-65 ერთეული უნდა იყოს!



## „გვახსოვდეს, მობილური ტელეფონი, გამორთულ მდგომარეობაშიც კი, ჩვენს ძილზე უარყოფითად მოქმედებს!“

## „ორსულ ქალებს მუცელზე წოლის შედეგად შეგუბებითი მოვლენები უვითარდებათ, რაც ისედაც გართულებულ ვენოზურ სისხლის მიმოქცევას ართულებს!“

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**დავით ოქროპილაშვილი (დანტესი)**
*ქუთაისელი ფოტოგრაფი*



აუცილებლად მოვიყვან ცოლს, მაგრამ **ჯერ არ შემხვედრია ისეთი გოგო,** ოჯახის შექმნაზე დავფიქრებულიყავი.

„თბილისელები“

**გიორგი კალანდია**
*ისტორიკოსი*



**ჩემს დაბადების დღეზე** ერთი წესი მაქვს — **მობილურს ვრთავ და „ფეისბუქს“ ვაუქმებ.**

„თბილისელები“

**ლონარა გვრიტიშვილი**
*კინოსა და თეატრის მსახიობი*



ჩემზე მძიმედ აისახა **ნოსტალგია, შვილების, პროფესიის მონატრება...** ამ ყველაფერმა სნეულებაში ჩამაგდო. **ამერიკამ ყველაფერი გამიკეთა, მიმკურნალა, მაგრამ ჩემი ქვეყანა მაინც სულ სხვაა.** ახლა რეციდივი მაქვს და **სასწორზე დევს ჩემი სიცოცხლე.** ძალიან ცუდ მდგომარეობაში აღმოვჩნდი და **გადავწყვიტე, სამშობლოში მემკურნალა.**

„სარკე“

**ზანდა იოსელიანი**
*მსახიობი*



ცხოვრებისეულ ტკივილს, ახლობლების დაკარგვას ამ ფაქტს ვერ შევადარებ, მაგრამ **ყველაზე მეტად თეატრიდან წამოსვლა განვიცადე. მაშინ მოქმედი მსახიობი ვიყავი,** საპენსიო ასაკისაც კი არ გახლდით.

„სარკე“

**მარინა სალუქვაძე**
*ჟურნალისტი*



ასაკში ხვდები, **ნაძირალას უნდა უთხრა,** რომ ნაძირალაა.

„თბილისელები“

# რით უნდა ამაყობდეს ქართველი?

დასაწყისი იხ. „ა-დ“, 2025 წლის №1-2, 3-18

**პროფესორი სვიმონ მასხარაშვილი მსოფლიო საპატრიარქოებს შორის საქართველოს წმინდა სამოციქულო ეკლესიის განსაკუთრებულ სტატუსსა და გავლენაზე საუბრობს და აცხადებს, რომ მე-15 საუკუნეში, როცა ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრებაზე საქართველოს საპატრიარქოს წარგზავნილი მსოფლიოს დანარჩენ ხუთ პატრიარქთან ერთად სავარძელში იყო ჩაბრძანებული, რუსეთის წარმომადგენლები ფეხზე იდგნენ და კრების განაჩენს საპატიო წრის გარეთ მყოფნი უსმენდნენ:**



## სვიმონ მასხარაშვილი:

## ავტოკეფალურობის ნიშნები საქართველოს ეკლესიას ზოგიერთ მსოფლიო საპატრიარქოზე ადრეც კი ჰქონდა!

— ყველაზე საამაყო, რაც ქართველ ერს აქვს, გახლავთ ის, რომ მე-5 საუკუნიდან 1453 წლის 29 მაისამდე, ანუ კონსტანტინოპოლის დაცემამდე, მთელ მსოფლიოში, მსოფლიო საპატრიარქოების გარდა, მხოლოდ და მხოლოდ ერთადერთი ავტოკეფალური ეროვნული ეკლესია არსებობდა და ეს იყო **საქართველოს სამოციქულო, მართლმადიდებელი ეკლესია.** 451 წლამდე, ანუ ქალკედონის მეოთხე მსოფლიო საეკლესიო კრებამდე, საერთოდ არ არსებობდა ავტოკეფალურობის ფენომენი. სიმართლე რომ ვთქვათ, ეკლესიის დამოუკიდებლობის აღმნიშვნელ ტერმინად ცნება **ავტოკეფალია** მხოლოდ გვიანი შუა საუკუნეებიდან მკვიდრდება. ქალკედონის მსოფლიო საეკლესიო კრებაზე გამოიკვეთა და დამტკიცა როგორც დასავლეთ რომის, ისე ბიზანტიის იმპერიაში შემავალი ხუთი ეპისკოპოსის სტატუსი, რომლებიც სხვას არავის დაემორჩილებოდნენ, ერთმანეთის მიმართ თანასწორნი იქნებოდნენ, ხოლო დასავლეთ რომისა და ბიზანტიის იმპერიაში შემავალი ყველა ქვეყნის ეპისკოპოსი მათ დაემორჩილებოდათ!

**— ბატონო სვიმონ, ვინ იყო ეს ხუთი ეპისკოპოსი?**

— ესენი იყვნენ: რომის ეპისკოპოსი, კონსტანტინოპოლის მთავარეპისკოპოსი, ალექსანდრიის მთავარეპისკოპოსი, ანტიოქიის მთავარეპისკოპოსი და იერუსალიმის მთავარეპისკოპოსი. ამ ხუთ ეპისკოპოსს მიენიჭათ საპატიო წოდებები. კერძოდ, რომის ეპისკოპოსს ქალკედონის საეკლესიო კრებაზე 451 წელს დაუმტკიცდა ტიტული — **„პაპა“** და **„პონტიფიკუს მაქსიმუსი“**, ანუ **„მამა“** და **„უმაღლესი ქურუმი“;** კონსტანტინოპოლის პატრიარქს დაუმტკიცდა **„ოიკუმენოს პატრიარხოს“**, ანუ **„მსოფლიო პატრიარქი“;** ალექსანდრიის მთავარეპისკოპოსს დაუმტკიცდა **„პაპა“** და **„სრულიად აფრიკის მამამთავარი“;** ანტიოქიის მთავარეპისკოპოსს — **„სრულიად აზიის პატრიარქი“,** ხოლო იერუსალიმის მთავარეპისკოპოსს — **„პატრიარქი“.** სწორედ ამ დროს, **მცხეთის მთავარეპისკოპოს პეტრეს** ვახტანგ გორგასალმა ბიზანტიის იმპერატორის, რომის პაპის, ანტიოქიის, კონსტანტინოპოლის, იერუსალიმისა და ალექსანდრიის პატრიარქების თანხმობით მიანიჭა **„მსოფლიო მთავარეპისკოპოსის“,** ანუ **„კათოლიკოსის“** ტიტული!

**— მაშინ კათოლიკოსის ტიტული სხვას არავის ჰქონდა?**

— კათოლიკოსის ტიტული მაშინ ასევე მიიღეს იმ სახელმწიფოთა ეკლესიების მეთაურებმა, რომლებიც დასავლეთ რომისა და ბიზანტიის იმპერიაში არ შედიოდნენ და ავტოკეფალურობაზე ჰქონდათ პრეტენზია. მათ შორის იყო სომხეთის მთავარეპისკოპოსიც... საქართველოსგან განსხვავებით, სომხეთის მთავარეპისკოპოსები უკვე მონოფიზიტები იყვნენ, გმობდნენ და დღესაც გმობენ ქალკედონის 451 წლის კრების გადაწყვეტილებებს და, შესაბამისად, კრებაზე მიღებული სტატუსების საკითხსაც. გარდა ამისა, საქართველოსგან განსხვავებით, რომელიც ამ დროს დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო, სომხეთი 428 წლიდან სასანიდური ირანის რიგითი პროვინცია გახლდათ.

ირანის ხელისუფლება ყოველნაირად ცდილობდა, თავის ქვეშევრდომ ქრისტიანებში განემტკიცებინა ანტიბიზანტიური, ანტიქალკედონიკური ქრისტიანობა. მიუხედავად იმისა, რომ საბოლოოდ მონოფიზიტები და დიოფიზიტები ერთმანეთს იურიდიულად მე-7 საუკუნის ბოლოს გაემიჯნნენ, სომხეთის კათოლიკოსებს, ზემოთქმულიდან გამომდინარე, მსოფლიოს პატრიარქები კანონიკურად მაინც ვერ აღიარებდნენ. მოკლედ რომ ვთქვათ, 1990 წელს, როცა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურობის კანონიერების საკითხს მსოფლიო საპატრიარქო თავიდან განიხილავდა, ისტორიულ დოკუმენტებზე დაყრდნობით გამოიტანეს გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, რომის, კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის ეკლესიების მსგავსად, საქართველოს ეკლესიაც ავტოკეფალურია მე-5 საუკუნიდან. უფრო მეტიც, **ავტოკეფალურობის ნიშნები საქართველოს ეკლესიას ზოგიერთ მსოფლიო საპატრიარქოზე ადრეც კი ჰქონდა.** კერძოდ, ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის საპატრიარქოებში კანონიკურ საღვთისმეტყველო ენებად ითვლებოდა ძველი ბერძნული, ლათინური და არამეული. ამ დროს, **უკვე მე-5 საუკუნეში, საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის კანონიკური საღვთისმეტყველო ენა ქართული იყო!**

**— ეს რით დასტურდება?**

— ეს დასტურდება შემდეგი დოკუმენტებით: იერუსალიმის საპატრიარქოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი და მე-5 საუკუნით დათარიღებული ქართული საეკლესიო წარწერით! მე-5 საუკუნეში ქართულ ენაზე შექმნილი „შუშანიკის წამებით“; პალიმფსესტებში აღმოჩენილი მე-5 საუკუნის „ხანმეტი“ ქართულით დაწერილი ქართული სახარებებით. გარდა ამისა, ძალზე მნიშვნელოვანია შემდეგი გარემოებაც — მე-8 საუკუნეში, როცა ბიზანტიაში ხატმებრძოლეობა იყო გაბატონებული, ყირიმის ეპისკოპოსი, ანუ **იოანე გუთთა ეპისკოპოსი,** მცხეთაში საქართველოს კათოლიკოსმა აკურთხა ყირიმის ეპისკოპოსად. 787 წელს სწორედ ეს **წმინდა იოანე** გახდა მსოფლიოს მეშვიდე საეკლესიო კრების მოწვევის ინიციატორი ბიზანტიის **დედოფალ ირინესთან** ერთად, სადაც ხატმებრძოლეობა დაგმეს. უფრო მეტიც, მე-9 საუკუნის დასაწყისში **გრიგოლ ხანძთელის** მოწაფე **ეფრემ მაწყვერელმა** აღმოსავლეთის საპატრიარქოთა წარმომადგენლებს შორის იერუსალიმის პატრიარქისგან პირველმა მოიპოვა საქართველოში მირონის მოხარშვის უფლება! აქამდე რომის პაპის გარდა, ყველა სხვა საპატრიარქოს წარმომადგენლები ვნების კვირაში ჩადიოდნენ იერუსალიმში და იქ ყიდულობდნენ მირონს. რომის პაპი მირონს, წმინდა პეტრეს დროიდან მოყოლებული, თავად ხარშავდა. მცირემრევლიანი იერუსალიმის საპატრიარქოსთვის მირონის მოხარშვა შემოსავლის ერთ-ერთი მთავარი წყარო იყო. შესაბამისად, საქართველოსთვის მირონის ადგილზე მოხარშვის უფლების მინიჭება ჩვენს ეკლესიას აღმოსავლეთის სხვა ავტოკეფალურ ეკლესიებთან მიმართებაში პრივილეგირებულ მდგომარეობაში ამყოფებდა.

**— სომხეთის პატრიარქს ჰქონდა მირონის მოხარშვის უფლება?**

— მე-7 საუკუნიდან მოყოლებული, სომხეთის კათოლიკოსის მრევლს მსოფლიო საპატრიარქოები არაქრისტიანულად მიიჩნევდნენ. როგორც „რუისურბნისის ძეგლისწერაში“ წერია, სომეხი არის მოუნათლავი და მისი მართლმადიდებელ ეკლესიაში შესაყვანად აუცილებელია მისი მართლმადიდებელ ქრისტიანად მონათვლა! **გიორგი მთაწმინდელი** სომეხთა სარწმუნოებაზე პირდაპირ ამბობდა — „ბოროტსა სარწმუნოებასა სახელიც ნუ ედების!“ 1438-1439 წლებში იტალიურ ქალაქებში — ფერარასა და ფლორენციაში გაიმართა საეკლესიო კრება, რომელსაც ესწრებოდნენ როგორც კათოლიკური, ისე მართლმადიდებელი ეკლესიების მღვდელმთავრები. ამ კრების მიზანი იყო ეკლესიათა შორის არსებული წინააღმდეგობების აღმოფხვრა და კონსტანტინოპოლის ოსმალთაგან დასაცავად საერთო ძალების გამონახვა. საბოლოოო ჯამში ამ კრებამ ვერავითარი პრაქტიკული შედეგი ვერ გამოიღო. გარკვეული შეთანხმების მიუხედავად, რომელიც საქართველოს წარმომადგენლებმა მაშინ არც კი გაიზიარეს, ვერც ანტიოსმალური კოალიცია შედგა და ვერც ეკლესიათა შორის არსებული პრობლემები აღმოიფხვრა. მეტიც, მოსკოვისა და კიევის ეპარქიები პირველად სწორედ მაშინ გაიმიჯნენ და ერთმანეთი მწვალებლებად გამოაცხადეს.

რაც შეეხება საქართველოს საკითხს, ვატიკანის არქივში **ილია ანთელავამ** აღმოაჩინა დოკუმენტი, სადაც ფერარა-ფლორენციის კრების მონაწილე კათოლიკე კარდინალი პაპის წინაშე კრების მიმდინარეობას დეტალურად აღწერს. მისი თქმით, კრებაზე წრიულად დაიდგა ექვსი სავარძელი, სადაც დაბრძანდნენ დამოუკიდებელ ეკლესიათა მეთაურები. კერძოდ, რომის პაპისგან წარგზავნილი კარდინალი და კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმისა და მცხეთის, ანუ ივერიის პატრიარქების მიერ წარგზავნილი მთავარეპისკოპოსები და მიტროპოლიტები. ამ დროს რუსული, ბულგარული, სერბული და სხვა მართლმადიდებელი ეპარქიების წარმომადგენლები, როგორც არაავტოკეფალურები, იდგნენ ფეხზე და წრის გარეთ!

**— ეს ყველაფერი რაზე მეტყველებს?**

— ეს ყველაფერი მეტყველებს იმაზე, რომ ჯერ კიდევ 1439 წელს, როდესაც ამდენი უბედურება გვქონდა გადატანილი, რუმინელების, ბულგარელების, რუსებისა და სერბებისგან განსხვავებით, **მხოლოდ საქართველოს ეკლესია იყო ავტოკეფალური და საქართველოს პატრიარქი მსოფლიო პატრიარქების ტოლი და სწორი გახლდათ,** ანუ ჯერ კიდევ მე-15 საუკუნეში, როცა მსოფლიო პოლიტიკის ოლიმპზე ქართველები სავარძელში ისხდნენ, რუსები მოწაფესავით ფეხზე იდგნენ! ცნობისათვის, მოსკოვის ეკლესიამ ავტოკეფალია კონსტანტინოპოლის პატრიარქისგან 1589 წელს იყიდა, რაც დოკუმენტურად არის დადასტურებული. რუმინულ ეკლესიას რუმინულ ენაზე ბიბლია და სახარება მე-18 საუკუნის დასაწყისში პირველად უთარგმნა და რუმინულად წირვა-ლოცვა დაიწყო ქართველმა მიტროპოლიტმა **ანთიმოზ ივერიელმა,** რასაც ბერძნების ინტრიგების წყალობით შეეწირა კიდეც, ხოლო ბულგარეთის ეკლესიას კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსგან 1945 წელს**სტალინმა** მოუპოვა ავტოკეფალია. რაც შეეხებათ სერბებს, სერბებმა თავად მოიპოვეს და დაიმკვიდრეს საეკლესიო დამოუკიდებლობა.




რუმინული საფოსტო მარკა **ანთიმოზ ივერიელის** გამოსახულებით

## „რუმინულ ეკლესიას რუმინულ ენაზე ბიბლია და სახარება პირველად უთარგმნა და რუმინულად წირვა-ლოცვა დაიწყო ქართველმა მიტროპოლიტმა ანთიმოზ ივერიელმა!“

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

***აღდგომა დღეს ყაზბეგში 47 წლის კაცი სადისტურად მოკლეს — გარდაცვლილს სხეულის სხვადასხვა არეში 10-ზე მეტი ჭრილობა ჰქონდა მიყენებული. მთის წესების მიხედვით, მკვლელების საგვარეულოს მიმართ შურისძიების ტალღის აზვირთება გარდაუვალი იყო, მაგრამ მოხდა უპრეცედენტო მოვლენა: მკვლელის ნათესავი უხუცესები სამძიმარზე მივიდნენ და მოკლულის ოჯახს დაჩოქილებმა სთხოვეს შენდობა... „მიუტევე და მოგეტევება!“ — ღაღადებს მართლმადიდებელი სარწმუნოება! ნუთუ ყველაფრის პატიება შეიძლება? არსებობს თუ არა ისეთი ცოდვა, რასაც ადამიანი სხვა ადამიანს არ და ვერ აპატიებს? ანდა, რას არ პატიობს ადამის მოდგმას უფალი? გვესაუბრება წმინდა სამების საკათედრო ლავრის ბერი იერემია (ლომიძე):***



# ბერი იერემია (ლომიძე):

# გულწრფელი სინანულის შემთხვევაში, ყველაფრის პატიება შეიძლება!

## „თუ გულწრფელად ნანობს, შენ რომც არ აპატიო, მას ღმერთი მაინც აპატიებს!“



ყაზბეგში მკვლელის ნათესავი უხუცესები სამძიმარზე მივიდნენ და მოკლულის ოჯახს დაჩოქილებმა სთხოვეს შენდობა...

— საქართველო მართლმადიდებელი ქვეყანაა და მთაში შემორჩენილი ძველი აღთქმის („თვალი — თვალის წილ; კბილი — კბილისა წილ“) გამოძახილით ნასაზრდოები სისხლის აღების ტრადიცია სრულიად შეუსაბამოა ჩვენი სარწმუნოებისთვის. სისხლის აღება და ნებისმიერი სხვა ფორმით შურისძიება მიუღებელია არამხოლოდ როგორც ქმედება, არამედ ჩვენი სარწმუნოება სასჯელს უწესებს მათაც, ვინც თუნდაც აზრად გაივლებს მკვლელობას ან რომელიმე სხვა ცოდვას! რადგან რა ცოდვასაც ადამიანი აზრად გაივლებს, უმალ იმ ცოდვის თანაზიარი ხდება. განსხვავებული იყო ძველი აღთქმა, რომელიც ადამიანს ავალებდა კიდეც შურისძიებას, თუკი, მაგალითად, მის დედ-მამას შეურაცხყოფდა.

**— ღმერთი რას არ პატიობს ადამიანს?**

— სულიწმიდისა და სარწმუნოების გმობის გარდა, უფალი ადამის მოდგმას ყველაფერს პატიობს. ამ საზარელ ცოდვებსაც აპატიებს, თუ ადამიანისგან ჯეროვან, ღრმა და გულწრფელ სინანულს დაინახავს. მთავარია, ამ საზარელი ცოდვების ჩამდენი მოუნანიებლად არ გავიდეს ამ ქვეყნიდან. სხვა სიტყვებით რომ გითხრათ, თუ იმქვეყნად ღმერთისა და სულიწმიდის მგმობელი გადავა და ქრისტეს მიწიერ სიცოცხლეში არ მიიღებს, ის ვერ ცხონდება, მაგრამ, თუ ამ მდგომარეობას შეიცნობს, შეინანებს, ქრისტეს იწამებს, მაშინ მისი ცხონება შესაძლებელი ხდება. ღმერთი გპატიობს იმას, რასაც ნანობ, რის პატიებასაც თხოულობ. შესაბამისად, არ არსებობს უპატიებელი ცოდვა, გარდა მოუნანიებელი ცოდვისა.

**— რატომ ამბობენ, რომ თვითმკვლელობაც უპატიებელი ცოდვაა?**

— თვითმკვლელობაც სულიწმიდის გმობაა. ადამიანი თავს იკლავს სასოწარკვეთილებისგან, რადგან მას არ სწამს ღმერთის და მისი მოწყალების. ღმერთმა შეიძლება, შენზე დაუშვა განსაცდელი და შენ მას კი არ ერკინები, კი არ სძლევ, არამედ სასოწარკვეთილებაში მყოფი განერიდები. სწორედ ამ დროს ეშმაკი იოლად ეპატრონება შენს გონებას, გაკეთებინებს, რაც ღვთის საწინააღმდეგოა. ოღონდ **თვითმკვლელობად არ ჩაითვლება, თუ ადამიანი მოყვასის, სამშობლოს ან კეთილი საქმის გამო შეგნებულად წავა სიკვდილზე.**

**— როცა მეომარი თავს იკლავს, რათა მტერს ტყვედ არ ჩაბარდეს, ცოდვას სჩადის?**

— ადამიანი ბოლომდე უნდა ცდილობდეს ცოცხლად დარჩენას, მაგრამ, თუ თავს იკლავს იმ მიზნით, რომ, ვთქვათ, არ გასცეს საიდუმლო — ეს არ ჩაითვლება თვითმკვლელობად. ღმერთმა თავად იცის, როდის გაიყვანოს სული ხორცისგან და თუ ადამიანი საკუთარი ნებით განიშორებს სულს, ამით ღმერთის ნებას ეწინააღმდეგება. თუმცა, თუ ადამიანი თავს იკლავს, რათა ზნეობისა და ღვთის მცნებების ერთგული დარჩეს — ეს სრულიად სხვა გარემოებაა. ასე, მაგალითად, ყმაწვილი ქალები კლდიდან საკუთარი ნებით იჩეხებოდნენ და სიცოცხლის ფასად ირიდებდნენ ნამუსის ახდას. მთავარია, ქრისტეს რწმენის გარეშე არ გავიდეს სული სხეულიდან. სხვა მხრივ, ვინც თავს იკლავს, ის სარწმუნოებასთან გამიჯნულია!

**— სააკაშვილის რეჟიმის დროს არაერთ პატიმარს გადაუჭრია ვენები წამების სამხილებლად...**

— თუ ამას წამების შიშით აკეთებდა, თვითმკვლელობასა და ღმერთის გმობაში ეთვლება; ხოლო, თუ თავს შეგნებულად სწირავდა, რათა სხვები წამებისგან გადაერჩინა, ეს ცოდვა კი არა, მოყვასისთვის თავდადებაა.

**— რა არ უნდა აპატიონ ადამიანებმა ერთმანეთს? თუ არსებობს რაიმე, რისი პატიებაც არ შეიძლება?**

— ყველაფრის პატიება შეიძლება. რა თქმა უნდა, ადამიანი სხვა ადამიანს იმგვარი უცთომელი საწყაულით ვერ განსჯის, როგორითაც ღმერთი, მაგრამ ყველაზე დიდი ნიჭი, რაც შეიძლება ადამიანმა ღმერთისგან ითხოვოს, სწორად განსჯის ნიჭია. ადამიანი სხვა ადამიანს ბოლომდე სწორად მაინც ვერ განსჯის, რადგან სხვისი საქციელის არსს იგი ზედმიწევნით მაინც ვერ შეიცნობს. მხოლოდ ღმერთს შეუძლია ადამიანის საქციელისა და მოტივაციის აღქმა, ამიტომაც ეუბნება ადამიანს, რომ მის მაგივრად შურს თავად იძიებს. **ღმერთს არ მიუცია ადამიანისთვის შურისძიების, სხვისი მოკვლის ან დაზარალების უფლება. კანონი სწორედ ამ მიზნით არსებობს.** თავიდან წინასწარმეტყველები იყვნენ; მერე კაცობრიობამ მეფე მოითხოვა. მერე კანონების მიხედვით დაიწყეს ცხოვრება და განსჯა. ადამიანმა სხვა ადამიანს ყველაფერი უნდა აპატიოს და მერე ღმერთმა თავად იცის, დასჯის თუ არა ცოდვის ჩამდენს და თუ დასჯის, რა ხარისხის იქნება სასჯელი. თუ ადამიანი ინანიებს და მას არ აპატიებ, მის ცოდვას უკვე თავად იღებ კისრად.

**— მეგობრის ღალატის ანდა ცოლქმრული ღალატის პატიებაც შეიძლება?**

— პატიება შეიძლება, ოღონდ თანაცხოვრება გაგრძელდება თუ არა, წყვილმა ინდივიდუალურად უნდა გადაწყვიტოს. პატიებით შეიძლება, მოღალატე მეგობარს ან მეუღლეს აპატიო, მაგრამ მასთან ჩახუტება და თბილი ურთიერთობის გაგრძელება ვეღარ შეძლო, რადგან სიყვარული და ურთიერთნდობა ასეთ დროს ქრება ხოლმე. წმინდა წერილიც ცოლქმრული ღალატის შემთხვევაში იძლევა გაყრის უფლებას, თუმცა, ეს (ღალატის გამო გაყრა) არ არის ვალდებულება. არც მოღალატე მეგობართან მეგობრობის შენარჩუნებას ითხოვს წმინდა წერილი. თუ მოღალატე შეინანებს, უნდა ვაპატიო, მაგრამ, თუ მასთან მეგობრობას ვეღარ მოვახერხებ, ვერავინ დამავალდებულებს ამის გაკეთებას. ისედაც შეიძლება, რომ შანსი მივცე, მაგრამ, თუ ხელებს მომკვეთს, როგორღა ჩავეხუტო?!

**— ვთქვათ, ადამიანი ინანიებს ჩადენილს. პატიობ, მაგრამ ისევ იმ საქციელს სჩადის. რამდენჯერ შეიძლება მიუტევო?**

— უფალი ამბობს, 7-ჯერ კი არა, 7-ჯერ სამოცდაათჯერ რომ ითხოვოს პატიება, უნდა აპატიო! ოღონდ გულწრფელად უნდა თხოულობდეს! ადამიანმა შეიძლება, მომატყუოს, შედეგად ჩემი სიკეთით ისარგებლოს, ბოროტად გამოიყენოს ეს სიკეთე, მერე კი პატიება ფარისევლურად მთხოვოს... შეიძლება, ფული ისესხოს და არ დააბრუნოს, მერე კიდევ გთხოვოს სესხება. ანდა ვითომც წამლისთვის გთხოვოს ფული და შემდეგ ლოთობას ან ავ საქმეს მოახმაროს ის თანხა და ამის მერე მოგიბოდიშოს და ისევ გთხოვოს სესხება. უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება... არაგულწრფელობის შემთხვევაშიც, ჯობს, მაინც აპატიო, ოღონდ მერე ასეთი ადამიანისგან თავი შორს უნდა დაიჭირო, თუნდაც იმიტომ, რომ უნებურად თავად არ დაეხმარო ცოდვაში ჩარჩენაში.

**— მე თუ ადამიანს სინანულის მიუხედავად, რაღაც საქციელს არ ვაპატიებ, იმგვარივე საქციელს მეც არ მაპატიებს უფალი?**

— თუ გულწრფელად ნანობს, შენ რომც არ აპატიო, მას ღმერთი მაინც აპატიებს. შენ კი იმავე საწყაულით მოგკითხავს, რომლითაც მოყვასს მოეპყარი. ზოგადად, სინანულის ხარისხი — ეს არის ადამიანის შეგნების მდგომარეობა. შეგნებული ადამიანი ხვდება დანაშაულს და ნანობს, ხოლო შეუგნებელს და ამპარტავანს, თავი ყველაფერში მართალი ჰგონია. **ვინც თავის ნაკლოვანებას არ გამოასწორებს და სწორად ცხოვრებას არ შეუდგება, ის ვერც სინანულში იქნება სრულყოფილი, ხოლო, თუ გულწრფელად ნანობს, რომ გაწყენინა, შენ კი შენდობას არ აღირსებ, თავად ყოფილხარ ამპარტავანი.**

ერთი მნიშვნელოვანი ამბავი გამახსენდა, რომელიც პატიმრობის პერიოდში თავად გადამხდა თავს. ზონაზე ჩემთან მოვიდა ახალგაზრდა კაცი და გამომიტყდა, რომ სასჯელს იხდის აწ განსვენებული **მეუფე თადეოზის (იორამაშვილი)** შვილის მკვლელობის ბრალდებით. იცოდა რა მეუფესთან ჩემი ახლო დამოკიდებულების შესახებ, მთხოვა, ციხის ტელეფონით დამერეკა და მისთვის შენდობა გამომეთხოვა... ფრიად საჩოთირო მდგომარეობაში აღმოვჩნდი — როგორია, ადამიანს უთხრა, რომ მისი შვილის მკვლელი გვერდით გიდგას და პატიებას ითხოვს? ამის მიუხედავად, გადავდგი ნაბიჯი და მეუფეს ნომერი ავკრიფე. ავუხსენი სიტუაცია და პასუხის მოლოდინში გავირინდე. ნახევარწუთიანი დუმილის შემდეგ მეუფემ მიპასუხა — მისი სინანულის შესაბამისად მიეტევოსო!

**— შვილის მკვლელს შეიძლება ადამიანმა აპატიოს?**

— მეუფე მოერია საკუთარ განცდებს და ადამიანურ ფარგლებში დიდსულოვნად აპატია! მეორე მხრივ კი, როგორც ეკლესიის მსახურმა, კიდეც იზრუნა მთხოვნელზე, როდესაც პატიება სინანულის დოზის შესაბამისად უბოძა, რადგან თუ ცოდვილი გულწრფელად არ ნანობს და იტყუება, საკუთარ მდგომარეობას უფრო მეტად იმძიმებს და უარეს ცოდვაში ვარდება.

**— ქართველმა საზოგადოებამ უნდა აპატიოს თუ არა სააკაშვილს?**

— მან თავად სიამაყით განაცხადა, რომ ქართველებს მენტალობა შეუცვალა. ფაქტობრივად, ერი გარყვნა, განათლების სისტემა საფუძვლიანად შეცვალა იმგვარად, რომ ბავშვების გარყვნა მცირეწლოვანი ასაკიდან დღემდე მიმდინარეობს სკოლებში. ეს უდიდესი დანაშაულია, თუნდაც სხვა არაფერი მივიღოთ მხედველობაში. ამასთან, **მას დღემდე არაფერი უნანია, საზოგადოებისთვის შენდობა არ უთხოვია. ასეთი დიდი დანაშაულის პატიება არ შეიძლება.** თანაც, აშკარაა, სულიერად ეს ადამიანი არ არის ჯანმრთელი და ასეთი ადამიანისთვის პატიება — ცალკე უზარმაზარი განხილვის თემაა. რა თქმა უნდა, სააკაშვილს არ ეპატიება ჩადენილი საზარელი საქციელები, ვიდრე გულწრფელად არ მოინანიებს! ხალხმა რომ აპატიოს, ღმერთი მაინც არ აპატიებს!

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***

# კულინარიული ჰოროსკოპი




***ზოდიაქოს ნიშნები მხოლოდ ადამიანის ბედსა და ხასიათზე კი არ მეტყველებენ, არამედ გამოხატავენ კულინარიულ გემოვნებასაც: რა უყვართ, როგორ არჩევენ კერძებს, როგორ ამზადებენ და რატომ მოსწონთ ამა თუ იმ პროდუქტის გემო. ასტროლოგებს მიაჩნიათ, რომ, შესაძლოა, ეს ყველაფერი სწორედ დამოკიდებული იყოს ვარსკვლავების განლაგებაზე.***

**1. ვერძის** საკვები უნდა იყოს მსუბუქი და ჰაეროვანი, კუჭში დიდ ადგილს არ უნდა იკავებდეს, ზედმეტად არ უნდა დაიმძიმოს ორგანიზმი. ყველაზე მეტად უყვარს კარგი **წვნიანი, ნიგვზიანი კერძები, ბოსტნეულის სალათები.** ცეცხლის ნიშნით დაბადებული ვერძი ექსპერტია ხორცის მომზადებაშიც, უყვარს სტუმრის მიღება, არ ეშინია მათი რაოდენობის, არის გურმანი და გემრიელი კერძი კარგ განწყობაზე აყენებს.

ცოტამ თუ იცის, რომ ცნობილი **ვერძი** — **ჩარლი ჩაპლინი** გამოირჩეოდა კულინარიისადმი დიდი ინტერესით. ბავშვობაში ხშირად იყო მშიერი, თუმცა, მის ღარიბ ოჯახში კერძი თუ მომზადდებოდა, ეს იყო **ფაფა, ბოსტნეულისა** და **კარტოფილის წვნიანი.** როდესაც ჩაპლინმა მსოფლიო აღიარება მოიპოვა, ევროპისა და ამერიკის საუკეთესო რესტორნებში მიირთმევდა **ხამანწკებს, იხვის ხორცს, დესერტად — ტრიუფელებს, სუფლეს და მუსს. უყვარდა ყველიანი მაკარონი და პიცა „მარგარიტა“, იტალიური ნაყინი და ნამცხვარი „ტირამისუ“. ალმერთებდა შოკოლადს, უყვარდა ვაშლი, ფორთოხალი, ყურძენი და ეგზოტიკური მანგო პაპაიასთან ერთად. სვამდა ფრანგულ და კალიფორნიულ ღვინოებს. ჩაპლინს** ახასიათებდა უცნაურობაც — სადილს ყოველთვის დესერტით იწყებდა, ამ დროს იხსენებდა ბავშვობას, როდესაც ტკბილეული სანატრელი ჰქონდა. უყვარდა კერძების მომზადებაც, გამოსცა რეცეპტების წიგნი, სადაც თავი მოუყარა ცნობილი მსახიობების რეცეპტებს. თავად ჩარლიმ ამ წიგნში ვაშლის ფუნთუშის რეცეპტი ჩაწერა. **1925 წელს** გადაღებულ ფილმში **„ოქროს ციებ-ცხელება“,** სადაც ჩაპლინის გმირი ფეხსაცმელსა და თასმებს მიირთმევს, სინამდვილეში ეს იყო **ძირტკბილასაგან მომზადებული ფეხსაცმელი და თასმა, ხოლო ლურსმნები და თასმის წვერები — კარამელისგან.**




**2. კუროს** ძალიან უყვარს კულინარიულ საკითხებზე მსჯელობა და თავისი გამოცდილების გაზიარება. სუფრასთან გატარებული წუთები მისი ცხოვრების საუკეთესო მომენტებია, უყვარს როგორც რესტორნებში, ისე სახლში მომზადებული კერძები და ხარისხიანი ღვინო. თუ კერძი მოეწონა, აუცილებლად იკითხავს რეცეპტს. კუროს ნიშნის ქვეშ ხშირად იბადებიან შესანიშნავი მზარეულები და გურმანები. მსოფლიოში ცნობილ, **კუროს** ნიშნით დაბადებულ მსახიობს — **ოდრი ჰეპბერნს** ძალიან უყვარდა **იტალიური სამზარეულო, ხოლო თავად დახელოვნებული იყო სპაგეტისა და პომიდვრის სოუსის მომზადებაში.** ამბობენ, რომ პომიდვრის პიურე იმდენად უყვარდა, შეეძლო დიდი კოვზით პირდაპირ ტაფიდან ეჭამა.



**3. ტყუპები** ვერ ძლებენ **„ოლივიეს“** მსგავსი სალათების გარეშე. უყვართ **ხორცი, კიტრი, კვერცხი, ანანასი** და **ქათმის ხორცი.** კერძებს უხვად აზავებენ სუნელებით. უყვართ დესერტები: **ნაყინი, მუსი, ტკბილი ორცხობილები.**

**ტყუპების** ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებული იყო ცნობილი ამერიკელი მსახიობი **მერილინ მონრო.** საუზმეზე მიირთმევდა **შაქრიან რძეში ათქვეფილ ორ კვერცხს.** სახლში ამზადებდა **სტეიკებს, საქონლის ხორცს** და **ბოსტნეულს ხარშავდა წითელ ღვინოში, აცხობდა ბრინჯის პუდინგს.** აღმოჩენილია მისი რეცეპტების რვეულიც, უპირატესობას ანიჭებდა **საქონლის ხორცისგან, ქათმისა და ინდაურის ღვიძლისაგან მომზადებულ კერძებს.** ამ რვეულშივე ჰქონდა ჩაწერილი **ხაჭოს პურის** მომზადების რეცეპტი. უყვარდა **შოკოლადის სუფლე** და **შამპანური „დომ პერინიონი“,** რომელსაც, ზოგჯერ, გაღვიძებისთანავე სვამდა.




**4. გემრიელი საკვები კირჩხიბებისთვის** სიხარულის საწინდარია, უყვართ სხვადასხვა ქვეყნის სამზარეულო კერძების დაგემოვნება, ბევრ კირჩხიბ მამაკაცს უყვარს საჭმლის მომზადება, ჩვეულებრივი **ომლეტისაგან** შეუძლიათ პატარა შედევრების შექმნა. სიამოვნებთ ბებიების რეცეპტების გახსენება. **კირჩხიბის** ნიშნით არის დაბადებული ცნობილი ამერიკელი მსახიობი **პამელა ანდერსონი.** გამოცემული აქვს კულინარიული წიგნი: **„მიყვარხარ. რეცეპტები გულიდან“,** სადაც გვთავაზობს გამაჯანსაღებელი სუპების რეცეპტებს. **„ოსპი ნამდვილი საგანძურია, მდიდარია რკინით, კალიუმით, ფოსფორით და მაგნიუმით, ისინი ორგანიზმს აუცილებელ მაკროელემენტებს აწვდიან. B ვიტამინები კი, მათ შორის ფოლიუმის მჟავა, არამხოლოდ მეტაბოლურ პროცესებს უწყობს ხელს, არამედ სისხლის წითელი უჯრედების წარმოქმნას, გამოიმუშავებს ბედნიერების ჰორმონს“** — ამბობს მსახიობი და თაყვანისმცემლებს ურჩევს ოსპის სუპის მომზადებას.











**5. ლომის** ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულთათვის პომპეზურად და უხვად გაშლილი ვახშამი ყოველთვის ზეიმია. მათი საყვარელი კერძი **შემწვარი ხორცია,** უყვართ საუკეთესო და ახალი პროდუქტების ყიდვა და საჯაროდ კერძების მომზადება. სიამოვნებით დადიან სტუმრად და ასევე ეპატიჟებიან სტუმრებს. უყვართ ვახშმის დაგეგმვა და ორგანიზება.

**ლომის** ნიშნითაა დაბადებული ცნობილი ესპანელი მსახიობი **ანტონიო ბანდერასი.** დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სწორ კვებას, **ქათმისა** და **ღორის** ხორცისგან, ტრადიციული ესპანური სამზარეულოს რეცეპტების მიხედვით, თავადაც ამზადებს კერძებს. უყვარს ზღვის პროდუქტებიც. სწორედ მის მშობლიურ ქალაქ მალაგაში ცხვება მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული **პური უმაღლესი ხარისხის სიმინდის ფქვილით, ნატურალური გამომშრალი თაფლით და დაფქული ოქროთი.** ეს პური ლომის ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულთათვის სამეფო ფუფუნებაა.




**6. ქალწულის** ზოდიაქოს ნიშნით დაბადებული ადამიანები, სანამ კერძს დააგემოვნებენ, აკვირდებიან, რამდენად ჯანსაღია საკვები. ქალწულების სადილი უნდა იყოს მსუბუქი და დაბალკალორიული. რა თქმა უნდა, არც ვახშამზე უნდა თქვან უარი. მსუყე **ხორცის** კერძებს ქალწულები **ბოსტნეულისას** ამჯობინებენ.

ცნობილ იტალიელ ვარსკვლავს **სოფი ლორენს,** რომელიც **ქალწულის** ნიშნითაა დაბადებული, უყვარს **პარმეზანით (ყველი) შეზავებული ბადრიჯანი**. თვითონაც სიამოვნებით ამზადებს სპაგეტის, უყვარს **წითელი ღვინის** მირთმევა, ხოლო დესერტად — **ხილი.**







**7. სასწორის** ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულებს ყოველთვის აინტერესებთ იმ პროდუქტების რაოდენობა, რომლითაც კერძი უნდა მოამზადონ. მათი მადა დამოკიდებულია მათ ცვალებად განწყობასა და გარემოზე. უყვართ მასპინძლობა, მზად არიან სასიამოვნო გარემოს შესაქმნელად, ცდილობენ როგორც გემრიელი კერძების მომზადებას, ისე სუფრის გაფორმებას. უყვართ **ზღვის პროდუქტებიც, ტკბილეულიც.** თუკი რესტორანში ვახშმობენ, მათთვის აუცილებელია ყურადღება, კერძების შეთავაზება, მოხარულნი იქნებიან, თუ მენიუს შერჩევაში მიაღებინებენ მონაწილეობას. **სასწორის** ნიშნით არის დაბადებული ბრიტანელი მსახიობი **კეტრინ ზეტა-ჯონსი.** დილით, გაღვიძებისთანავე ადუღებს **ყავას,** მიირთმევს **ფაფას ბანანით და მოცვით,** ასევე **იოგურტს გრანოლასა და ჟოლოსთან ერთად. უყვარს ათქვეფილ კვერცხთან ერთად შემწვარი ბეკონი, გამომცხვარი ლობიო და ფრანგული ტოსტი** (ყველთან და მწვანილებთან ერთად).

**8. ღრიანკალის** ზოდიაქოს ნიშნით დაბადებული ადამიანები უპირატესობას ანიჭებენ რთულად მოსამზადებელ კერძებს, უარს არ ამბობენ ახალი რეცეპტების შესწავლაზე, უყვართ **ხორციანი, წიწაკით შეზავებული საჭმელები, ძეხვი.** უარს არასოდეს ამბობენ **ხორცსა** და **ქათამზე,** უყვართ **ტკბილეული** და **ხილის ასორტი. ღრიანკალი** მადას არასოდეს უჩივის.

**ღრიანკალის** ნიშნით არის დაბადებული ცნობილი მსახიობი **ლეონარდო დიკაპრიო.** უყვარს **გერმანული და იტალიური სამზარეულო, კერძოდ, ბავარიული ძეხვეული და იტალიური მაკარონი.**










**9. მშვილდოსნის** ნიშნით დაბადებული ადამიანები ყოველდღიურ ცხოვრებაში ყურადღებას არ აქცევენ, კერძი ხორცისგან არის მომზადებული თუ **ბოსტნეულისგან,** დაგემოვნებაზე უარს არ ამბობენ. უყვართ პიკნიკზე **ბუტერბროდებისა და წითელი ღვინის მირთმევა.** თვითონ საჭმლის მომზადება არ სიამოვნებთ, მაგრამ, თუკი სტუმარს ეპატიჟებიან, თავს არ შეირცხვენენ. მშვილდოსანი რესტორანში ძალიან პრეტენზიულია, სუფრას თავის სამეფოდ იხდის და, თუკი კერძი არ მოეწონა, პროტესტს მრისხანედ გამოხატავს.

**მშვილდოსნის** ნიშნით არის დაბადებული ცნობილი ამერიკელი მსახიობი **ბრედ პიტი.** დიდი ხანია, რაც ცხიმიან ხორცს არ მიირთმევს, უყვარს **ფრანგული კერძი „ჟულიენი“,** რომელიც მზადდება **ქათმის ფილეს, სოკოსა** და **ნაღებისაგან,** ასევე უკრაინული არომატული **ბორში,** იტალიური **პიცა, იოგურტი** და **ყავა.** უყვარს **ტკბილეული** და მსუბუქი დესერტები: ახალი **კენკრა** და **წვენები.**




**10. თხის რქის** უკიდურესად ორგანიზებული ხასიათის მიუხედავად, მინიმალურ დროს ატარებს სამზარეულოში, გასტრონომიული ფანტაზიები მისი სტიქია არ არის, მაგრამ, თუკი საქმიან სადილზე მიგიწვიათ, ყველაზე ელეგანტურ და მოდურ რესტორანს აირჩევს. მიუხედავად სიჯიუტისა, თხის რქამ თუკი მაინც გადაწყვიტა კერძის მომზადება, არ დაზოგავს პროდუქტის ხარისხს, გემრიელ კერძს მოამზადებს, თუმცა, ვერ აიტანს სამზარეულოში არეულობას. თუკი სტუმრად დაპატიჟეთ, მარტივი მენიუს გამო არ გაგიბრაზდებათ, მაგრამ ღვინოებს თვითონ აირჩევს.

**თხის რქის** ნიშნით არის დაბადებული ცნობილი იტალიელი მომღერალი **ადრიანო ჩელენტანო,** მისი საყვარელი კერძი იყო **ქათმის სტეიკი, სოკო** და **კრემისებური სოიოს სოუსი. ბოსტნეულის სალათები** და დესერტად — **მაყვლის კრემი.** მას შემდეგ, რაც **ჩელენტანომ** უარი თქვა **ხორცის** მიღებაზე, განაცხადა, რომ თავს უფრო ჯანმრთელად გრძნობდა და ასაკში მყოფ ადამიანებს ურჩია, თავიანთ რაციონში შეიტანონ პარკოსნები: **ლობიო, ოსპი, ბარდა.** რაც შეეხება სასმელს, ჩელენტანო უპირატესობას ანიჭებს მსუბუქ, იტალიურ ცქრიალა ღვინოს — ფრანჩაკორტას.







**11. მერწყულის** თვისებებიდან გამომდინარე, კმაყოფილი იქნება ნებისმიერი კერძით, მთავარია, ჭამის დროს არავინ შეაწუხოს. უპირატესობას ანიჭებს მყუდრო კაფეებს და ვერ იტანს მოდურ რესტორნებს. თუ გარშემომყოფები მოსწონს, მენიუს საერთოდ არ აქცევს ყურადღებას, მნიშვნელობა არა აქვს, პომიდვრის სოუსში შეზავებული თევზი მიართვეს, თუ ძეხვი. მასთან სახლში მიწვეული სტუმრები წინასწარ ვერასოდეს მიხვდებიან, რა კერძი დახვდებათ, ბუტერბროდები, წვნიანი თუ მხოლოდ ტკბილეული. ვახშამს ის კომუნიკაციის საშუალებად მიიჩნევს.

**მერწყულის** ნიშნით არის დაბადებული ცნობილი ამერიკელი მსახიობი **ჯენიფერ ენისტონი.** უყვარს უბრალო საკვები: **ათქვეფილ კვერცხის ცილას ამატებს შვრიის ფაფას.** მიაჩნია, რომ კვერცხის ცილა ადამიანს უნარჩუნებს ახალგაზრდობას. ასევე უყვარს **ქათმის ფილესა** და ახალი **ბოსტნეულისაგან** მომზადებული სალათი, რომელიც ჯენიფერს ხშირად მიაქვს გადასაღებ მოედანზე და მეგობრებთან ერთად მიირთმევს.



**12. თევზები** არ არიან ხმაურიანი ნადიმების მოყვარულები, უპირატესობას ანიჭებენ სიმყუდროვეს და პატარა კამპანიას. კერძის მომზადებისას არ ცდილობენ რეცეპტების ზუსტ დაცვას, უყვართ ექსპერიმენტები. სხვა ნიშანზე მეტად, **თევზები** სრულყოფილებისაკენ ისწრაფვიან, ამიტომ ზედმიწევნით უყვართ კერძის გაფორმება, არიან უპრეტენზიო სტუმრები და სტუმართმოყვარე მასპინძლები. ყოველთვის მზად არიან, შეაქონ დიასახლისი, არასდროს გამოხატავენ უკმაყოფილებას და, თუკი რამე არ მოეწონათ, მხოლოდ მათი სახის გამომეტყველებაზე მიხვდებით.

**თევზის** ნიშნით დაბადებულია ცნობილი მოდელი **სინდი კროუფორდი.** დიდი ხანია, ვეგეტარიანელია და ხორცს არ მიირთმევს, მისი ძირითადი რაციონია **მწვანე სალათის ფურცლები, მცენარეული ჩაი და ბოსტნეულის კერძები.** საუზმეზე მიირთმევს **ნუშის რძის, ბანანის, ისპანახის, პიტნის, კაკაოსა** და **კვერცხის ცილისაგან მომზადებულ შეიკს.** ასევე, **შოკოლადის ნაჭერს, ცხელ შოკოლადს ან ორცხობილას. ასევე, მისი კვების რაციონს შეადგენს ახალი ხილი, უყვარს წყალი.**




მოამზადა ქეთევან ხამიძაშვილმა

## საეკლესიო კალენდარი

✝ 5 მაისი. ორშაბათი. ღირსისა თეოდორე სიკეოტისა, ანასტასიოპოლელი ეპისკოპოსისა; მოციქულთა: ნათანაელისა, ლუკასი და კლიმენტისა.

✝ 6 მაისი. სამშაბათი. **წმიდისა დიდებულისა, დიდმოწამისა, ძლევაშემოსილისა და სასწაულმოქმედისა გიორგისა;** მოწამისა დედოფლისა ალექსანდრასი; მოწამეთა: ანატოლისა და პროტოლეონისა. წმიდა კეთილმსახურ მეფე სოლომონ I-ისა.

✝ 7 მაისი. ოთხშაბათი. **მოწამისა საბა სტრატილატისა და მისთანა სამოცდაათთა მხედართა;** მოწამეთა: პასიკრატისა და ვალენტინისა; მოწამეთა: ევსევისა, ნეონისა, ლეონტისა, ლონგინოზისა და სხვათა; ღირსისა თომა სალოსისა; ღირსისა ელისაბედ სასწაულმოქმედისა.

✝ 8 მაისი. ხუთშაბათი. **წმიდისა დიდებულისა, ყოვლადქებულისა მოციქულისა და მახარებელისა მარკოზისა.**



**6 მაისი – დღესასწაული წმიდისა დიდებულისა, დიდმოწამისა, ძლევაშემოსილისა და სასწაულმოქმედისა გიორგისა**

✝ 9 მაისი. პარასკევი. მღვდელმოწამისა ბასილისა, ამასიელი ეპისკოპოსისა; მართლისა გლაფირა ქალწულისა; სტეფანესი, ველიკოპერმელი ეპისკოპოსისა; ღირსისა იოანიკე დევიჩენელისა.

✝ 10 მაისი. შაბათი. მოციქულისა და მღვდელმოწამისა სვიმეონისა, იერუსალიმელი ეპისკოპოსისა, ნათესავისა უფლისა; მართლისა ევლოგი უცხოთშემწყნარებელისა; წმიდისა სვიმონ ნიგერისა.

✝ 11 მაისი. კვირა. **აღდგომიდან მე-4, განრღვეულის კვირიაკე.** მართლისა ტაბითასი; მოციქულთა 70-თაგანთა: იასონისა და სოსიპატრესი, კერკირა ქალწულისა და სხვათა, მათთანა ვნებულთა; მოწამეთა: დადასი, მაქსიმესი და კვინტილიანესი; მოწამეთა: სატორნისა, იაკისქოლესი, ფავსტიანესი, იანვარისა, მარსალისა, ევფრასისა, მამიასი, მურინესი, ზენონისა, ევსევისა, ნეონისა და ვიტალისა.




მაღაზია «ბუკვიცა»

ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს1945 წლამდე

574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90

მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.

100-პროცენტიანი გარანტიით კურნავს!

თოდუების საგვარეულო მალამოებითა და წამლებით ქალბატონმა ლამარამ ათასობით ადამიანი გამოაჯანმრთელა. ის კურნავს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, დარჩენილ ნაწიბურებს, ნაწოლებს, გამაგრებულ ნანემსრებს, თმის ბუდობრივ ცვენას, ბუასილს, დისბაქტერიოზს (შეკრულობას, აშლილობას). მისი მალამოები სწრაფად შეგიხორცებთ დაჩირქებულ ჭრილობებს (დიაბეტიანებს), მოგირჩენთ ჰაიმორიტს (ქრონიკულს), მოგაშორებთ ქერტლს, ტილებს (ერთი პროცედურით). სწრაფად და წარმატებით კურნავს სოკოვან დაავადებებს, ფრჩხილების გასქელებას, დახეთქილ ქუსლებს, ჩირქოვან გამონაყარს კანზე, მწერების ნაკბენს, „ტატუებს“ აცილებს უმტკივნეულოდ (პირველივე წასმაზე ქრება ქავილიც და სიწითლეც).

ტელეფონები: 599-16-10-82, 593-99-62-52

იმედის კლინიკა

თბილისი, დიდი დიღომი, მირიან მეფის 10ა

imediclinic.com

* ორსულ ქალთა კონსულტაცია
* სამშობიარო სახლი
* პედიატრიული კლინიკა
* გინეკოლოგიური დეპარტამენტი

პროფესიონალიზმი, უახლესი აპარატურა, ოჯახური გარემო

სამშობიარო: 032 229-56-50

პედიატრიული კლინიკა: 032 223-85-80




### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 3. ფანჯარა; 8. პიკასო; 11. სინუსი; 12. ბონდი; 13. შამპუნი; 14. ცერეცო; 15. კურარე; 16. ლიტრი; 17. რეესტრი; 18. კუნელი; 19. პითონი; 22. ლოცია; 23. ჯიუ; 25. აი; 26. ტაიგა; 28. ვოსტოკი; 29. მაგო; 32. ლოცმანი; 33. ნარდი; 34. ეპიფიზი; 38. მარკა; 39. ლარუსი; 42. ბერულავა; 43. ვაპორეტო; 47. ტიბალტი; 48. დონიცეტი; 52. ლირიკოსი; 53. პეკინი; 56. დერმატინი; 57. ოსანა; 58. ბან; 60. ნაბადი; 61. გუნო; 62. კენ; 63. გოლფი; 64. მილე; 65. ინი; 66. ათინათი; 67. არამ.

შვეულად: 1. მინუტი; 2. სუნამო; 3. ფიშერი; 4. ნამქერი; 5. აბუეტი; 6. აბილილი; 7. ანოტაცია; 8. პიციკატო; 9. კორუნდი; 10. სიცილია; 19. პავლე; 20. თესლი; 21. ნეონი; 23. ჯილი; 24. უნცია; 25. ამადუ; 27. გაროტე; 29. მიმი; 30. გორდა; 31. კინტო; 33. ნატო; 35. პრევო; 36. ფლუსი; 37. ზვარე; 39. ლატი; 40. რაბლე; 41. სელფი; 43. ვილისი; 44. პერანგი; 45. როკო; 46. ტასმანია; 48. დუდუკი; 49. ნერონი; 50. ცვაიგი; 51. ტრიალი; 53. პინია; 54. კობრი; 55. ნოდია; 58. ბუ; 59. ნო; 61. გეა; 64. მი.

**ბაზარისკიბობინამარხილიპომადავარიეტელაგუნა**
**სანდინომერინოსირიალიკანტელეკალორიადინალია**

# კუროს ზოდიაქოს ნიშანი –

*კუროების დამოუკიდებლობა და სიფრთხილე მათი წარმატების გარანტიაა. არ ჩქარობენ გადაწყვეტილების მიღებას და ყოველთვის ელოდებიან ხელსაყრელ მომენტს, რადგან იციან, საკუთარ მოსაზრებებს თუ უგულებელყოფენ, გამოუსწორებელ შეცდომას დაუშვებენ. არ უყვართ წარსული ურთიერთობების გახსენება და არც ჩქარობენ გაწყვეტილი კავშირების აღდგენას.*

## ზოდიაქოს ნიშნები

**ვერძი:** 21 მარტი — 20 აპრილი; **კურო:** 21 აპრილი — 20 მაისი; **ტყუპები:** 21 მაისი — 22 ივნისი; **კირჩხიბი:** 23 ივნისი — 22 ივლისი; **ლომი:** 23 ივლისი — 23 აგვისტო; **ქალწული:** 24 აგვისტო — 23 სექტემბერი; **სასწორი:** 24 სექტემბერი — 22 ოქტომბერი; **ღრიანკალი:** 23 ოქტომბერი — 22 ნოემბერი; **მშვილდოსანი:** 23 ნოემბერი — 21 დეკემბერი; **თხის რქა:** 22 დეკემბერი — 19 იანვარი; **მერწყული:** 20 იანვარი — 18 თებერვალი; **თევზები:** 19 თებერვალი — 20 მარტი.



ლიწადში.



**1930 წლის 6 მაისს, ცხენის წელიწადში,** დაიბადა მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი **გურამ ლორთქიფანიძე.** პოპულარობა მოუტანა ელდარ შენგელაიას ფილმმა „არაჩვეულებრივი გამოფენა", სადაც აგულის როლი შეასრულა. გარდაიცვალა 78 წლის ასაკში, ღორის წელიწადში.



**1932 წლის 6 მაისს, მაიმუნის წელიწადში,** დაიბადა მხატვარი და მოქანდაკე, საქართველოს სახალხო მხატვარი, თბილისის საპატიო მოქალაქე **ჯუნა (დიმიტრი) მიქატაძე.** გარდაიცვალა 73 წლის ასაკში, მამლის წელიწადში.



**1940 წლის 6 მაისს, დრაკონის წელიწადში,** დაიბადა კინოსა და თეატრის მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი **ბონდო ჩეიშვილი.** პოპულარობა მოუტანა გურამ პატარაიას ფილმებმა „რეკორდი" და „კუჩხი ბედინერი". გარდაიცვალა 80 წლის ასაკში, ვირთხის წელიწადში.



**1909 წლის 8 მაისს, მამლის წელიწადში,** დაიბადა დრამატურგი, კინოკრიტიკოსი და პედაგოგი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე **კარლო გოგოძე.** ის ავტორია და თანაავტორი მხატვრული ფილმების სცენარებისა: „დაკარგული სამოთხე", „დაგვიანებული სასიძო", „ქაჯანა", „მაგდანას ლურჯა". გარდაიცვალა 68 წლის ასაკში, დრაკონის წელიწადში.



**1939 წლის 8 მაისს, კურდღლის წელიწადში,** დაიბადა ისტორიკოსი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი და ტელეწამყვანი, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის — **სალომე ზურაბიშვილის** მეუღლე **ჯანრი კაშია.** გარდაიცვალა 72 წლის ასაკში, დრაკონის წელიწადში.

**1910 წლის 9 მაისს, ძაღლის წელიწადში,** დაიბადა მსახიობი, საქართველოს სახალხო

## მიმდინარე კვირა: 5 - 11 მაისი

### კუროს ნიშნით დაიბადნენ ცნობილი ქართველები:



**1972 წლის 5 მაისს, ვირთხის წელიწადში,** დაიბადა ტელეწამყვანი, გადაცემა „რა? სად? როდის?" ავტორი და წამყვანი, საქართველოს კლუბის „რა? სად? როდის?" პრეზიდენტი **გიორგი მოსიძე.**



**1991 წლის 5 მაისს, თხის წელიწადში,** დაიბადა ფეხბურთელი, საქართველოს ეროვნული ნაკრების ცენტრალური მცველი და 2024 წლის ევროპის ჩემპიონატის მონაწილე **გიორგი გველესიანი.** ამჟამად თამაშობს თეირანის საფეხბურთო კლუბში „პერსეპოლისი".



**1945 წლის 6 მაისს, მამლის წელიწადში,** დაიბადა ეკონომისტი და პოლიტიკოსი, საქართველოს პირველი პრემიერ-მინისტრი 1991 წლის 26 აგვისტოდან 1992 წლის 6 იანვრამდე **ბესარიონ გუგუშვილი.** 1994 წლიდან ემიგრაციაშია.



**1937 წლის 7 მაისს, ხარის წელიწადში,** დაიბადა კომპოზიტორი და პედაგოგი, ქართული ხალხური სიმღერების ცნობილი შემსრულებლის **მარო თარხნიშვილის** შვილიშვილი, მომღერალ **ეკა კვალიაშვილის** მამიდა **მარიკა კვალიაშვილი.**



**1962 წლის 8 მაისს, ვეფხვის წელიწადში,** დაიბადა მომღერალი, ყოფილ პიონერთა და მოსწავლეთა სასახლესთან არსებული ბავშვთა ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლის „მზიურის" პირველი შემადგენლობის წევრი **მაია ჯაბუა.**

**1979 წლის 8 მაისს, თხის წელიწადში,** დაიბადა მსახიობი **ნანკა კალატოზიშვილი.** 2007 წლიდან არის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის თეატრის — ახლანდელი „ახალი თეატრის" მსახიობი.





**1950 წლის 8 მაისს, ვეფხვის წელიწადში,** დაიბადა შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი, სერიალ „ჩემი ცოლის დაქალების" გმირი გრიშა კაკაჩია, იგივე **დავით კვირცხალია.**



**1976 წლის 8 მაისს, დრაკონის წელიწადში,** დაიბადა ვეტერანი კალათბურთელი, საქართველოს ნაკრების ყოფილი წევრი, პირველი ქართველი ჩრდილოეთ ამერიკის მამაკაცთა პროფესიონალურ საკალათბურთო ლიგაში — NBA-ში **ვლადიმერ სტეფანია.**



**1948 წლის 9 მაისს, ვირთხის წელიწადში,** დაიბადა კომპოზიტორი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, თბილისის საპატიო მოქალაქე **ვაჟა დურგლიშვილი.**



**1948 წლის 9 მაისს, ვირთხის წელიწადში**, დაიბადა მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი **ალექსანდრე (ბიზო) კაკაურიძე.**



**1972 წლის 9 მაისს, ვირთხის წელიწადში,** დაიბადა ისტორიკოსი და ჟურნალისტი, ტელეკომპანია „რუსთავი-2"-ის გადაცემა „საქართველოს უახლესი ისტორიის" ავტორი **თომა ჩაგელიშვილი.**

**1939 წლის 10 მაისს, კურდღლის წელიწადში**, დაიბადა თეატრალური მხატვარი, სცენოგრაფი, საქართველოს სახალხო მხატვარი, მსახიობ **ნატო მურვანიძის** მამა **მურაზ მურვანიძე.**





**1966 წლის 10 მაისს, ცხენის წელიწადში,** დაიბადა მწერალი **დათო ტურაშვილი.**



**1981 წლის 11 მაისს, მამლის წელიწადში,** დაიბადა მსახიობი, ტელეწამყვანი, თბილისის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრის ყოფილი მსახიობი **იმედა არაბული.** 2018 წლიდან ცხოვრობს ამერიკის შეერთებულ შტატებში.



**1982 წლის 11 მაისს, ძაღლის წელიწადში,** დაიბადა მსახიობი **მიხეილ (მიშა) მესხი.** პოპულარობა მოიპოვა აკა მორჩილაძის რომანის „მოგზაურობა ყარაბაღში" ეკრანიზაციის შემდეგ, სადაც ერთ-ერთი მთავარი გმირის — გოგლიკოს როლი შეასრულა.

### კუროს ნიშნით იყვნენ დაბადებულნი:



**1862 წლის 5 მაისს** (სავარაუდო თარიღი), **ძაღლის წელიწადში,** დაიბადა მსოფლიოში ცნობილი ქართველი მხატვარი **ნიკო ფიროსმანაშვილი — ნიკო ფიროსმანი.** გარდაიცვალა 56 წლის ასაკში, ცხენის წელიწადში.



**1955 წლის 5 მაისს, თხის წელიწადში,** დაიბადა რუსთაველის თეატრის მსახიობი, ბორჯომის საპატიო მოქალაქე **ტრისტან სარალიძე.** გარდაიცვალა 69 წლის ასაკში, დრაკონის წე-

## ასტროლოგიური კვირა მიხეილ ცაგარელის მიხედვით

### 5 მაისი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება კუროს ზოდიაქოში. ამოდის 04.53 საათზე, ჩადის 19.04 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს ქალწულის ზოდიაქოში 23.49 საათზე. ამოდის 12.00 საათზე, ჩადის 01.46 საათზე (მთვარის მე-9 დღე იწყება 12.55 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 17.05 საათიდან 23.41 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს გაცემული დაპირება და ფიცი აუცილებლად უნდა შესრულდეს. მაღალია ილუზიების, მოტყუების ალბათობა. შესაძლებელია ჯანმრთელობის გაუარესებაც. საღამოს გაჩნდება პასუხისმგებლობისგან თავის დაღწევის სურვილი. დღეს ჩადენილი კარგი და ცუდი საქმეები შემდგომ ბუმერანგივით დაგიბრუნდებათ უკან. შედეგიანია თვალების, ვენების, ნერვული სისტემის მკურნალობა. მოერიდეთ აბანოს, საუნას, სოლარიუმს, ნერვიულობას, ფიზიკურ გადაღლას, სიმძიმეების აწევას, გაუფრთხილდით გულს. არვარგა ყურების გახვრეტა. მოერიდეთ ფინანსურ გარიგებებს, ხელშეკრულების დადებას, ადგილსამყოფლის შეცვლას, მცენარეების დარგვა-გადარგვას, ნიშნობასა და ქორწინებას, ცხოველებით ვაჭრობას. კარგი დღეა იურიდიული საქმეებისთვის, ახალი სამსახურისა და თანამდებობის დასაკავებლად, თმების შეჭრამოვლისთვის, საყიდლების, მეგობრული კონტაქტებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია გული, სისხლძარღვები, ხერხემალი. **ქვები:** ბრილიანტი, მთის ბროლი, სარდიონი, ქარვა, სერდოლიკი. **პოზიტიური დღეა** ტყუპებისთვის, ლომისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

### 6 მაისი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება კუროს ზოდიაქოში. ამოდის 04.51 საათზე, ჩადის 19.05 საათზე. **მთვარე** იმყოფება ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 13.05 საათზე, ჩადის 02.10 საათზე (მთვარის მე-10 დღე იწყება 14.16 საათზე. მე-2 ფაზა). **ტენდენციები:** კარგი დღეა სწავლისთვის, ლოცვისთვის, კოსმეტიკური პროცედურებისთვის, საოჯახო ურთიერთობისთვის, დალაგება-დასუფთავებისთვის, ძველი ნივთებისგან გათავისუფლებისთვის. კარგია ალსარება, ზიარება. პარტნიორულ ურთიერთობებში ნუ იქნებით ზედმეტად პირდაპირი და მეწვრილმანე. შედეგიანია ღვიძლის, ლიმფური სისტემის, ტერფების, ნაღვლის ბუშტის, თვალების მკურნალობა. რთული დღეა სიყვარულისა და ქორწინებისთვის, მეგობრობისა და ახალი ნაცნობობისთვის, გამოცდების ჩასაბარებლად. უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისთვის, ცხოველთა კასტრაციისთვის, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მისაღებად, სარისკო მოქმედებებისთვის. სასიკეთო დღეა საფინანსო-საბანკო ოპერაციებისთვის, საქმიანი მიმოწერისთვის, ვაჭრობისთვის, აუდიტისთვის, გასაუბრებისთვის, ქიმწმენდისთვის, დიეტის დასაწყებად, მცენარეების დარგვა-გადარგვისთვის, თმების შესაჭრელად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, ელენთა, კუჭქვეშა ჯირკვალი. **ქვები:** ყვითელი და მწვანე იასპი, მალაქიტი, ონიქსი, აქატი. **პოზიტიური დღეა** კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, სასწორისთვის.

### 7 მაისი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება კუროს ზოდიაქოში. ამოდის 04.50 საათზე, ჩადის 19.06 საათზე. **მთვარე** იმყოფება ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 14.08 საათზე, ჩადის 02.30 საათზე (მთვარის მე-11 დღე იწყება 15.33 საათზე. მე-2 ფაზა). **ტენდენციები:** კარგი დღეა ადრე მოფიქრებული საქმეების და იდეების რეალიზაციისათვის, ბიზნესსაქმიანობისთვის, დაწყებული სასამართლო საქმის წარმატებით განვითარებისთვის. პარტნიორულ ურთიერთობებში მეტი ყურადღება გამოავლინეთ. საკვებ რაციონში მეტად შეიტანეთ ბოსტნეული, თაფლი, მაწონი. შედეგიანია ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის, ტერფების, ლიმფური სისტემის, მხედველობის მკურნალობა. მოერიდეთ ქორწინებას, მეგობრულ კონტაქტებს, ახალ ნაცნობობას, გამოცდების ჩაბარებას. უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვას, ცხოველთა კასტრაციას, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებას, სარისკო მოქმედებებს. პოზიტიური დღეა საფინანსო-საბანკო ოპერაციებისთვის, დალაგება-დასუფთავებისთვის, ქიმწმენდისთვის, სწავლისთვის, ვაჭრობისთვის, საქმიანი მიმოწერისთვის, აუდიტისა და გასაუბრებებისთვის, დიეტის დასაწყებად, თმების შესაჭრელად, ცხოველებთან ურთიერთობისთვის, მანიკიურისა და პედიკიურისთვის, ხელშეკრულების დასადებად, სხვათა რჩევის გარეშე მათ საქმეებში ნუ ჩაერევით. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, ელენთა, კუჭქვეშა ჯირკვალი. **ქვები:** ყვითელი და მწვანე იასპი, მალაქიტი, ქრიზოპრაზი, ოპალი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

### 8 მაისი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება კუროს ზოდიაქოში. ამოდის 04.49 საათზე, ჩადის 19.07 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს სასწორის ზოდიაქოში (11.19 საათზე). ამოდის 15.09 საათზე, ჩადის 02.08 საათზე (მთვარის მე-12 დღე იწყება 16.48 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 08.12 საათიდან 11.07 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** სიფრთხილე გმართებთ საქმიანობისას. აკონტროლეთ ემოციები. სამყარო ამოწმებს თქვენი გეგმებისა და სურვილების ჭეშმარიტებას. კარგი დღეა სიყვარულის ახსნისთვის. შედეგიანია კბილების, სისხლძარღვების, გრძნობათა ორგანოების მკურნალობა, კოსმეტიკური პროცედურების ჩატარება. მოერიდეთ ზედმეტი სითხის მიღებას, ციტრუსს, თაფლს და სხვა ალერგიის გამომწვევ პროცედურებს, მანქანის ყიდვა-გაყიდვას, სხვისი ზეგავლენის ქვეშ მოქცევას, მარილიან საკვებს, ცხოველთა კასტრაციას, მჭრელ საგნებთან ურთიერთობას. სასიკეთო დღეა შემოქმედებითი მუშაობისთვის, სწრაფად შესრულებადი საქმეებისთვის, ქორწინებისთვის, მეგობრული კონტაქტებისთვის, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, პარფიუმერიის, კოსმეტიკის, ავეჯის, მუსიკალური აპარატების, აქსესუარების, ტექნიკის შესაძენად, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, პარტნიორული თანამშრომლობისთვის, დიზაინისა და არქიტექტურისთვის, ექიმებთან კონსულტაციისთვის, საიუბილეო საღამოებისთვის, ყვავილების დარგვა-გადარგვისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, თირკმლები, კანი. **ქვები:** ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, საფირონი, თოფაზი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის.

# 21 აპრილი – 20 მაისი





არტისტი **ვასილ კახნიაშვილი.** პოპულარობა მოუტანა ქართულმა ფილმებმა „კუჩხი ბედნიერი" და „ცისფერი მთები, ანუ დაუჯერებელი ამბავი". გარდაიცვალა 80 წლის ასაკში, ცხენის წელიწადში.



**1917 წლის 9 მაისს, გველის წელიწადში,** დაიბადა თეატრალური მხატვარი, საქართველოს სახალხო მხატვარი **ფარნაოზ ლაპიაშვილი.** გარდაიცვალა 77 წლის ასაკში, ძაღლის წელიწადში.



**1882 წლის 10 მაისს, გველის წელიწადში,** დაიბადა ფსიქიატრი, მეცნიერული ფსიქიატრიის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში, ფსიქოთერაპევტი **მიხეილ ასათიანი.** გარდაიცვალა 56 წლის ასაკში, ხარის წელიწადში.



**1882 წლის 10 მაისს, ცხენის წელიწადში,** დაიბადა ცნობილი ექიმი-კარდიოლოგი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, აკადემიკოსი, თერაპიული სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში **მიხეილ წინამძღვრიშვილი.** გარდაიცვალა 74 წლის ასაკში, მაიმუნის წელიწადში.



**1923 წლის 10 მაისს, ძაღლის წელიწადში,** დაიბადა ქართველი და საბჭოთა კალათბურთელი, საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი **ოთარ ქორქია.** გარდაიცვალა 81 წლის ასაკში, მამლის წელიწადში.



**1937 წლის 10 მაისს, ხარის წელიწადში,** დაიბადა მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი, ცნობილი რეჟისორის — **გიგა ლორთქიფანიძის** მეუღლე **ქეთევან კიკნაძე.** გარდაიცვალა 87 წლის, დრაკონის წელიწადში.



**1937 წლის 11 მაისს, ხარის წელიწადში,** დაიბადა საქართველოს სახალხო არტისტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, **ნატო ვაჩნაძისა და ნიკოლოზ შენგელაიას** ვაჟი, მსახიობი, კინორეჟისორი და სცენარისტი **გიორგი შენგელაია.** გარდაიცვალა 82 წლის ასაკში, ვირთხის წელიწადში.

## კუროს ნიშნით დაიბადნენ:



**1961 წლის 6 მაისს, ხარის წელიწადში,** დაიბადა ამერიკელი მსახიობი, რეჟისორი და სცენარისტი, ამერიკის კინოაკადემიის პრიზის — „ოსკარის" მფლობელი მსახიობი **ჯორჯ კლუნი.**



**1952 წლის 6 მაისს, დრაკონის წელიწადში,** დაიბადა ჩეხური კინოსა და თეატრის მსახიობი **ანდრეა ჩუნდერლიკოვა.** 1977 წელს მან მთავარი როლი შეასრულა თემურ ფალავანდიშვილის ფილმში „რაჭა, ჩემო სიყვარულო".



**1984 წლის 7 მაისს, ვირთხის წელიწადში,** დაიბადა მსოფლიოში ცნობილი რუსი ბალერინა, სან-ფრანცისკოს ბალეტის ყოფილი მთავარი მოცეკვავე და ფინეთის ეროვნული ბალეტის ყოფილი წევრი **მარია კოჩეტკოვა.**



**1975 წლის 8 მაისს, კურდღლის წელიწადში**, დაიბადა ესპანელი მომღერალი, მსახიობი და მოდელი, მომღერალ ხულიო იგლესიასის ვაჟი **ენრიკე იგლესიასი.**

## კუროს ნიშნით იყვნენ დაბადებულნი:



**1813 წლის 5 მაისს, მამლის წელიწადში,** დაიბადა დანიელი პოეტი, ფილოსოფოსი, თეოლოგი და კრიტიკოსი **სერენ კირკეგორი.** გარდაიცვალა 42 წლის ასაკში, კურდღლის წელიწადში.



**1818 წლის 5 მაისს, ვეფხვის წელიწადში,** დაიბადა გერმანელი ფილოსოფოსი, ეკონომისტი, ისტორიკოსი, სოციოლოგი და პოლიტიკური თეორეტიკოსი, კომუნისტი და რევოლუციონერი **კარლ მარქსი**, რომლის იდეებმაც დიდი გავლენა მოახდინა მსოფლიო ეკონომიკურ და პოლიტიკურ აზროვნებაზე. გარდაიცვალა 64 წლის ასაკში, თხის წელიწადში.



**1758 წლის 6 მაისს, ვეფხვის წელიწადში,** დაიბადა ფრანგული რევოლუციის ერთ-ერთი ლიდერი, იაკობინელების მეთაური **მაქსიმილიან რობესპიერი.** მართავდა საზოგადოებრივი გადარჩენის კომიტეტს და დაუნდობელი იყო რევოლუციის მოწინააღმდეგეების მიმართ. თავი მოკვეთეს გილიოტინაზე 36 წლის ასაკში, ვეფხვის წელიწადში.



**1856 წლის 6 მაისს, ვირთხის წელიწადში,** დაიბადა ავსტრიელი ფსიქიატრი, ფსიქოლოგი და ნევროპათოლოგი, ფსიქოანალიზის ფუძემდებელი **ზიგმუნდ ფროიდი.** გარდაიცვალა 83 წლის ასაკში, კურდღლის წელიწადში.



**1904 წლის 6 მაისს, დრაკონის წელიწადში,** დაიბადა შვედი მწერალი და პოეტი **ჰარი მარტინსონი,** რომელსაც ეივინდ იუნსონთან ერთად მიენიჭა ნობელის პრემია. გარდაიცვალა 73 წლის ასაკში, ცხენის წელიწადში.



**1915 წლის 6 მაისს, კურდღლის წელიწადში,** დაიბადა ამერიკელი მსახიობი, რეჟისორი და სცენარისტი **ორსონ უელსი.** მიღებული აქვს ჯილდო — საპატიო ოსკარი. გასული საუკუნის 50-იან წლებში გადაიღეს ფილმში „ბატონი არკადინი", რომლის სცენარის მიხედვითაც, მისი გმირი — ბატონი არკადინი, ქართველია. გარდაიცვალა 70 წლის ასაკში, ხარის წელიწადში.



**1861 წლის 7 მაისს, მამლის წელიწადში,** დაიბადა ბენგალელი მწერალი, პოეტი, კომპოზიტორი და მხატვარი, საზოგადო მოღვაწე **რაბინდრანათ თაგორი.** მინიჭებული აქვს ნობელის პრემია ლიტერატურაში. გარდაიცვალა 80 წლის ასაკში, გველის წელიწადში.



**1833 წლის 7 მაისს, გველის წელიწადში,** დაიბადა გერმანელი კომპოზიტორი, პიანისტი და დირიჟორი **იოჰანეს ბრამსი.** გარდაიცვალა 64 წლის ასაკში, მამლის წელიწადში.



**1840 წლის 7 მაისს, ვირთხის წელიწადში,** დაიბადა რუსი კომპოზიტორი, უდიდეს კომპოზიტორთა ხუთეულის წევრი **პეტრე ჩაიკოვსკი.** გარდაიცვალა 53 წლის ასაკში, გველის წელიწადში.



**1901 წლის 7 მაისს, ხარის წელიწადში,** დაიბადა ამერიკელი მსახიობი **გერი კუპერი,** რომელიც წარმატებით მონაწილეობდა კომედიურ, დრამატულ და კრიმინალური ჟანრის ფილმებში. მიღებული აქვს ორი ოსკარი მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის. გარდაიცვალა 60 წლის ასაკში, ხარის წელიწადში.



**1931 წლის 7 მაისს, თხის წელიწადში,** დაიბადა ამერიკელი მომღერალი, პოპის, ქანთრისა და ჯაზის შემსრულებელი **ტერეზა ბრიუერი.** ჩაწერილი ჰქონდა 600-ზე მეტი სიმღერა. გარდაიცვალა 76 წლის ასაკში, ღორის წელიწადში.



**1884 წლის 8 მაისს, მაიმუნის წელიწადში,** დაიბადა ამერიკის 33-ე პრეზიდენტი **ჰარი ტრუმენი** (დემოკრატიული პარტიიდან). 1945 წლის იანვარში აირჩიეს ვიცე-პრეზიდენტად, ხოლო ფრანკლინ რუზველტის გარდაცვალების შემდეგ, პრეზიდენტის პოსტი დაიკავა. 1948 წელს აირჩიეს მეორე ვადით. გარდაიცვალა 88 წლის ასაკში, ვირთხის წელიწადში.



**1906 წლის 8 მაისს, ცხენის წელიწადში,** დაიბადა იტალიელი რეჟისორი, იტალიური ნეორეალიზმის წარმომადგენელი **როზერტო როსელინი.** მინიჭებული აქვს „ოქროს პალმის რტო" ფილმისთვის „რომი — ღია ქალაქი". გარდაიცვალა 71 წლის ასაკში, გველის წელიწადში.



**1903 წლის 8 მაისს, კურდღლის წელიწადში,** დაიბადა ფრანგი კომიკოსი, მომღერალი და მსახიობი **ფერნანდელი.** ქართველი მაყურებელი მას იცნობს ფილმებიდან „კანონი კანონია" და „ეშმაკი და ათი მცნება". გარდაიცვალა 67 წლის ასაკში, ღორის წელიწადში.



**1899 წლის 10 მაისს, ღორის წელიწადში,** დაიბადა ამერიკელი მსახიობი, მომღერალი, მოცეკვავე და ქორეოგრაფი **ფრედ ასტერი.** გარდაიცვალა 88 წლის ასაკში, კურდღლის წელიწადში.



**1810 წლის 11 მაისს, ცხენის წელიწადში,** დაიბადა რუსი მხატვარი და ხელოვნებათმცოდნე **გრიგოლ გაგარინი.** გარდაიცვალა 82 წლის ასაკში, დრაკონის წელიწადში.



**1904 წლის 11 მაისს, დრაკონის წელიწადში,** დაიბადა ესპანელი მხატვარი-სიურრეალისტი, ფერმწერი, გრაფიკოსი და სკულპტორი **სალვადორ დალი.** გარდაიცვალა 84 წლის ასაკში, გველის წელიწადში.

*მოამზადა*
***ქეთევან ხამიცაშვილმა***

## ასტროლოგიური კვირა მიხეილ ცაგარელის მიხედვით

### 9 მაისი, პარასკევი

**მზე** იმყოფება კუროს ზოდიაქოში. ამოდის 04.48 საათზე, ჩადის 19.08 საათზე. **მთვარე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 16.10 საათზე, ჩადის 03.06 საათზე (მთვარის მე-13 დღე იწყება 18.04 საათზე. მე-2 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** ყურადღებას ნუ გაფანტავთ, ძირითად საკითხებზე გაამახვილეთ ყურადღება, აკონტროლეთ გამახვილებული სიამაყე. შესაძლებელია სხვებზე ზეგავლენის მოხდენა, თუმცა, თქვენც არ აღმოჩნდეთ სხვების ზეგავლენის ქვეშ. კარგი დღეა ფარული ცოდნის მისაღებად. პარტნიორულ ურთიერთობებში შესაძლებელი იქნება შერიგება. შედეგიანია კბილების, სისხლძარღვების, გრძნობათა ორგანოების მკურნალობა. საკვებ რაციონში მეტად გამოიყენეთ ხილი, ბოსტნეული, მათ შორის ყვავილოვანი კომბოსტო, ჭვავის ცეხვილი პური. ნუ მიიღებთ ბევრ სითხეს, მარილიან საკვებს, თაფლს, თხილს და სხვა ალერგიის გამომწვევ პროდუქტებს. პოზიტიური დღეა სწრაფად შესრულებადი საქმეებისთვის, შემოქმედებითი მუშაობისთვის, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, ავეჯის, პარფიუმერიის, კოსმეტიკის, მუსიკალური აპარატურის, აქსესუარების შესაძენად, კოსმეტიკური პროცედურებისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, დიზაინისა და არქიტექტურისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, თირკმლები, კანი. **ქვები:** ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, საფირონი, აქვამარინი. **პოზიტიური დღეა** ტყუპებისთვის, ლომისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, თევზებისთვის.

### 10 მაისი, შაბათი

**მზე** იმყოფება კუროს ზოდიაქოში. ამოდის 04.47 საათზე, ჩადის 19.09 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს ღრიანკალის ზოდიაქოში 23.06 საათზე. ამოდის 17.11 საათზე, ჩადის 03.25 საათზე (მთვარის მე-14 დღე იწყება 19.21 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 10.19 საათიდან 23.59 საათამდე. **ტენდენციები:** კარგი დღეა ჯგუფური ტრენინგებისთვის, ურთიერთობების გასაუმჯობესებლად საქმიან და საოჯახო ურთიერთობებში. პარტნიორულ ურთიერთობებში შესაძლებელი იქნება ერთობლივი გეგმების დასახვა. არ გაიციოთ წელი, თირკმლები. ნუ მიიღებთ ბევრ სითხეს, თხილს, თაფლს და სხვა ალერგიის გამომწვევ პროდუქტებს. საკვებ რაციონში შეიტანეთ კვერცხი, ხაჭო, მაწონი, ხილი. შედეგიანია კბილების, სისხლძარღვების, გრძნობათა ორგანოების მკურნალობა. ფრთხილად ცეცხლსასროლ იარაღთან და მჭრელ საგნებთან ურთიერთობისას. არ ვარგა მოძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, ცხოველთა კასტრაცია. სასიკეთო დღეა კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, შემოქმედებითი მუშაობისთვის, ქორწინებისთვის, მეგობრობისთვის, პარტნიორული თანამშრომლობისთვის, დიზაინისა და არქიტექტურისთვის, პარფიუმერიის, კოსმეტიკის, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, ავეჯის, მუსიკალური აპარატურის შესაძენად, ექიმებთან კონსულტაციისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, თირკმლები, შარდსასქესო სისტემა. **ქვები:** ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, ციტრინი, ლაბრადორი. **პოზიტიური დღეა** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, ღრიანკალისთვის.

### 11 მაისი, კვირა

**მზე** იმყოფება კუროს ზოდიაქოში. ამოდის 04.46 საათზე, ჩადის 19.10 საათზე. **მთვარე** იმყოფება მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 18.14 საათზე, ჩადის 03.45 საათზე (მთვარის მე-15 დღე იწყება 20.41 საათზე. მე-2 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** არ აჰყვეთ ცუდ ხასიათს. **ინტელექტის, გონების, კომუნიკაციის მმართველი პლანეტა მერკური დღეიდან 26 მაისამდე გადაინაცვლებს კუროს ზოდიაქოში** და ამით მეტად განავითარებს ხასიათში ორგანიზებულებას, დისციპლინას, შეუპოვრობას, პრაგმატულ აზროვნებას, მესაკუთრულ ინსტინქტებს, ერთგულებას, სიფრთხილეს, მოთმინებას, ამავდროულად განავითარებას სიჯიუტეს, პირდაპირობას, სიზარმაცეს. ხვალინდელი სავსემთვარეობის წინ არ აჰყვეთ პროვოკაციებს. გაიაზრეთ წარსულის მოვლენათა მიზეზები. საკვებ რაციონში შეიტანეთ კარტოფილი, ხილი, ბოსტნეული, რძის ნაწარმი. შესაძლებელი იქნება საიდუმლო ცოდნის მიღება. პარტნიორულ ურთიერთობებში მოიმატებს მზრუნველობა და ყურადღება. ნუ იქნებით სარკასტული და ეჭვიანი. თავი შეიკავეთ ინტიმური კონტაქტებისგან, ახალი საქმის დაწყებისგან, მგზავრობისგან. მოერიდეთ ადგილსამყოფლის შეცვლას, სესხის აღებას. სასიკეთო დღეა თვითშემეცნებისთვის, კომპეტენტურობის გამოსავლენად, მანქანის ყიდვა-გაყიდვისთვის, გეგმების დასახვისთვის, ცხოველთა შესაძენად, ნადირობისა და თევზაობისთვის, მასაჟისა და კოსმეტიკური პროცედურებისთვის, თმის შესაჭრელად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია შარდსასქესო, რეპროდუქციული სისტემა. **ქვები:** ოპალი, თოფაზი, ობსიდიანი, მარჯანი, გიშერი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპებისთვის.



| საქონელბრუნვის გასაღების სფერო | მარხილით მთიდან დაშვების სახეობა | გადაშენებული ცხოველის ნაშთი ან ანაბეჭდი | ცხიმოვანა | ნესტან-დარეჯანის მამიდა | მწერალი ... ლილიან ვოინიჩი | ყურძნის ღვთაების პატივსაცემი საახალწლო რიტუალი (ძვ.) |
|---|---|---|---|---|---|---|

| მთავარი საწყობი | ალალბედზე მოქმედება | მაგნიტოფონის გორგოლაჭი, რომელზეც იხვევა ფირი | თოვლზე სასრიალო საზიდარი | ტუჩის საცხი | მსუბუქი ჟანრის თეატრი | წყალმარჩხი ყურე |
|---|---|---|---|---|---|---|



თარაზულად: 3. სარკმელი; 8. ფრანგი (წარმოშობით ესპანელი) ფერმწერი; 11. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 12. აგენტი 007, ჯეიმს ... (იან ფლემინგი); 13. თხევადი საპონი; 14. მწვანილის სახეობა; 15. ისრების მოსაწამლი ძლიერი შხამი, რომელსაც მცენარეებიდან იღებდნენ ინდიელები; 16. სითხის საზომი ერთეული; 17. სია, აღწერა; 18. ვარდისებრთა ოჯახის მორჩილი ხე ან ბუჩქი; 19. მსხვილი მახრჩობელა გველი; 22. ნაოსნობის ერთ-ერთი ძირითადი სახელმძღვანელო; 23. უიარაღოდ თავდაცვის ილეთების სისტემა ...-ჯიცუ; 25. ჩვენებითი ნაწილაკი; 26. ხშირი წიწვოვანი ტყის ზოლი ევროპის, აზიისა და აშშ-ის ჩრდილოეთ ნაწილში; 28. რუსული კოსმოსური ხომალდის სახელი; 29. აფრიკული უკუდო მაიმუნი; 32. ერთგვარი ზღვის თევზი; 33. თამაში კამათლებით; 34. ტვინის ზედა დანამატი; 38. საფოსტო ნიშანი; 39. ენციკლოპედიების გამომცემლობა პარიზში; 42. ქართველი მწერალი (პოემა „კოლხური ლეგენდა“); 43. წყლის ტრამვაი ვენეციაში; 47. ჯულიეტას ნათესავი, რომელიც რომეომ მოკლა (შექსპირი); 48. იტალიელი კომპოზიტორი; 52. პოეტი, რომელიც ლირიკულ ლექსებს წერს; 53. ჩინეთის დედაქალაქი; 56. ხელოვნური ტყავი; 57. საეკლესიო სახოტბო შეძახილი — „დიდება“; 58. ქართული ბ-ის სახელი; 60. მწყემსების წამოსასხამი; 61. ფრანგი კომპოზიტორი; 62. ამერიკელი მწერალი ... კიზი; 63. ერთგვარი სპორტული თამაში; 64. ფრანგი ფერმწერი; 65. „იანის“ საპირისპირო მცნება; 66. ჰუჭრუტანიდან ბნელში შემოსული სინათლის სხივი; 67. კომპოზიტორი ... ხაჩატურიანი.

შვეულად: 1. კუთხისა და რკალის საზომი ერთეული; 2. პარფიუმერიული ხსნარი; 3. ამერიკელი ექს-მოჭადრაკე; 4. ქარისგან შეგროვილი თოვლი; 5. შტერი, ჩერჩეტი (საუბ.); 6. ხვიარა დეკორატიული მცენარე; 7. წიგნის შინაარსის მოკლედ გადმოცემა; 8. თითის ამოკვრით, უხმოდ დაკვრა; 9. ძალიან მაგარი მინერალი; 10. იტალიის კუნძული; 19. ქრისტეს ერთ-ერთი მოციქული; 20. დასათესად განკუთვნილი მარცვალი მცენარის გამრავლების მიზნით; 21. ქიმიური ელემენტი, „გასანათებელი“ გაზი; 23. იტალიელი საოპერო მომღერალი ბენიამინო ...; 24. წონის ერთეული ძველ რომში; 25. ბრაზილიელი მწერალი; 27. სიკვდილით დასჯა დახრჩობით ესპანეთში; 29. პანტომიმის მსახიობი; 30. მოკლე უვადო ხმალი; 31. ძველი თბილისის კოლორიტული პერსონაჟი, ხელზე მოვაჭრე გამორჩეული თავისებური ჩაცმულობით; 33. ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია, სახელმწიფოების სამხედრო პოლიტიკური კავშირი; 35. ფრანგი მწერალი, რომლის პერსონაჟია მანონ ლესკო; 36. ღრძილის ჩირქოვანი სიმსივნე; 37. ქართული მინერალური წყალი; 39. ლატვიის ფულის ერთეული; 40. ფრანგი მწერალი; 41. მობილურით გადაღებული ფოტო; 43. ავტომობილის სახეობა; 44. გრიგოლ რობაქიძე — „გველის ...“; 45. ფილმი „... და მისი ძმები“; 46. ავსტრალიის კუნძული; 48. ქართული ჩასაბერი საკრავი; 49. რომის იმპერატორი; 50. ავსტრიელი მწერალი („ამოკი“); 51. ბრუნვა; 53. იტალიური ფიჭვი; 54. თევზის სახეობა; 55. ქართველი ექსფეხბურთელი; 58. ღამის ფრინველი; 59. იაპონური თეატრის სახეობა; 61. მიწის და ქვესკნელის ბერძნ. ქალღმერთი; 64. მესამე ნოტი.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 29-ე გვერდზე*

| ნიკარაგუის ეროვნული გმირი | ცხვრის ჯიში | ირანის ფულის ერთეული | კარელურ-ფინური სიმებიანი საკრავი | სითბოს რაოდენობის საზომი ერთეული | ძალის ერთეული (ფიზ.) | მსახიობი ... ელიავა |
|---|---|---|---|---|---|---|

| მწერალი ჟორჟ ... | ოთახი სასტუმროში | სოფელი სენაკის რაიონში | ქალაქი ესპანეთში | ფიგურული სახაზავი | საუდის არაბეთის დედაქალაქი ელ-... | სასიმინდე |
|---|---|---|---|---|---|---|

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.


დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზეპარტიული

# ასავალ დასავალი

2025 წლის 5 – 11 მაისი №19 (1590)

გამოდის ორშაბათობით

მედიაჰოლდინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:**

**mail@asavali.com**

„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**

ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: **www. facebook.com/Asavali.com**

გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**


2 009882 637296


THE FLAG OF THE UNITED STATES OF AMERICA

This is to certify that the accompanying flag was flown over the United States Capitol on April 26, 2007, at the request of the Honorable Frank R. Lautenberg, United States Senator.

This flag was flown for Lasha Nadareishvili, in honor of the 15th anniversary of the newspaper, Asaval-Dasavali.

2007-032096-001

Stephen T. Ayers, AIA
Acting Architect of the Capitol